619
1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 5 მაისი 1958

გაზაფხულისა და ბედნიერების ზეიმზე

1 მაისი მსოფლიოს ხალხთა ძმობისა და სოლიდარობის საერთაშორისო დღეა. ჩვენს დროში ეს ზეიმი მშვიდობის ძალთა დათვალიერების დღედ არის გადაქცეული. მშვიდობა სურთ თბილისელ გოგონებს, რომლებიც საპირველმაისო ზეიმზე მსოფლიოს სხადასხვა ხალხთა ნაციონალურ ტანსაცმელში გამოვიდნენ, მშვიდობისათვის იბრძვიან კულტურის მუშაკები—თბილისელი მსახიობები, და ყველა მათგანის—მუშისა თუ მოსამსახურის, გლეხისა თუ ინტელიგენტის მშვიდობიან ცხოვრების სადარაჯოზე ფხიზლად დგას ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (82) მაისი 1958 წ.

გამოცემის VII წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Х 746



კარლ მარქსი
(დაბადების 140 წლისთავის გამო)

საქართველოს მრეწველობის შჯაბში

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს რიგითი სხდომა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ჩოგოვაძემ გახსნა და სთხოვა მდივანს შემოეყვანათ დარბაზში პირველი საკითხის გამო მოწვეულნი.

საკითხი თითქმის არაფერს საინტერესოს არ შეიცავდა! — ლაპარაკი იყო ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაობის შესახებ და გარეშე დამსწრეს შეიძლება ეფიქრა, რომ ასევე აუღელვებლად და წყნარად იქნება გამოთქმული რამდენიმე აზრი, მიღებული იქნება წინასწარ მომზადებული დადგენილება, შეიძლება, „ზოგიერთი შესწორებით“ და საბჭო შემდეგი საკითხის განხილვაზე გადავა.

მაგრამ მოხსენება ჯერ მოთავებული არ იყო, რომ საბჭოს ყველა წევრს და გამოძახებულ ხალხსაც აღელვება დაეტყო.

...შახტში მოპოვებული ქვანახშირი შეიცავს გარკვეული პროცენტის რაოდენობით უწვად მინარევებს. შახტი აწვდის ქვანახშირს გამამდიდრებელ ქარხანას. თვით დასახელება ამ ქარხნისა განმარტავს მის დანიშნულებას: ამ ქარხანაში ნახშირი იწმინდება გარეშე მინარევებისაგან, უფრო მდიდარი ხდება სასარგებლო — წმინდა ნახშირის ნივთიერებით, — აქედან ვიღებთ ნახშირის კონცენტრატს, რაც უფრო მეტადაა გამდიდრებული ნახშირი, მით უფრო საუკეთესო ხარისხის კონცენტრატს მიაწვდის ქარხანა მომხმარებელს, მაგრამ... საკითხის ტექნიკური შინაარსის გადმოცემა შორს წაგვიყვანდა, არსებითად კი ლაპარაკი ეხებოდა დიდი ხნის მტკივნეულსა და გადაუჭრელ საკითხს, იმ „შეჩვეულ ჭირს“, რომელსაც ხშირად „შეუჩვეველ ლხინს“ ამჯობინებენ ხოლმე, ცდილობენ როგორმე გვერდი აუარონ, ანდა რაიმე საკომპრომისო გადაწყვეტა უპოვნონ.

მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭო არც საკომპრომისოდ იყო განწყობილი და არც ამ მტკივნეული საკითხის გვერდის ავლა უნდოდა.

მრავალი, მეტად საგულისხმო გარემოება გაირკვა. ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელები, რომლებიც „თავისი“ შახტის ჭიშკრის იქით არაფერს ხედავენ. ოღონდ „მათი“ შახტიდან გატანილი ქვანახშირი გამამდიდრებელ ქარხანაში მიიტანონ, ჩაბარონ და საბუთი მიიღონ, მერე ქარხანას კისერიც უტეხია.

წარმოების ხელმძღვანელთა მიერ ისიც ითქვა რომ „ოდითგანვე ასე მოდიოდა“, რომ „სჯობია შევისწავლოთ საკითხი და დავავალოთ ეს საქმე სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს“, რომ „საკითხის ასე ერთბაშად გადაჭრა ქვანახშირის მოპოვებაზე იმოქმედებს“... მოკლედ, დაიწყო ის საკმაოდ მომაბეზრებელი წუწუნი, რომელიც მოძველებულ ყაიდის „სამეურნეო მუშაკებსა“ და „ხელმძღვანელებს“ სჩვეოდათ ერთ დროს. მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭო გამოცდილ და მრავალნაცადი ინჟინრებისგან შესდგება და აქ ყოველი საკითხი ტექნიკური მიზანშეწონილობის, ზოგად სამეურნეო სარგებლიანობის თვალსაზრისით და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე წყდება.

სახალხო მეურნეობის საბჭო ნამდვილი შტაბია რესპუბლიკის მეურნეობისა — იგი განაგებს 526 ქარხანასა და ფაბრიკას, მაღაროსა და შახტს.

საბჭო ხედავს მთელ, ერთობლივ პერსპექტივას სახალხო მეურნეობისა, ყველა მის საჭიროებასა და სატკივარს და ამავე დროს, საბჭო აქვეა, უშუალოდ წარმოების მახლობლად — ათასი უწყვეტი ცოცხალი ძაფითაა მასთან დაკავშირებული.

ბჭობის დროს დაირღვა „აკადემიური უდრტვინველობა“ და მოკამათეთა ხმაში უკვე ულერდა ყველა ის ბგერები, რომლებიც ჭეშმარიტ აღელვებას, გულწრფელ გულისწყრომასა და სამართლიან აღშფოთებას ამჟღავნებს ადამიანში.

ამ პაექრობაში კიდევ ერთი რამ იყო საგულისხმო. საბჭოს წევრები ცდილობდნენ უკუუგდოთ ყოველი არა მთავარი, წვრილმანი, ყოველივე ის, რაც საკითხის შინაარსსა და აზრს აბუნდოვანებს, და ცხადი გაეხადათ საკითხის არსებითი მხარე, მისი ტექნიკური შინაარსი, გამოენახათ კონკრეტული გზები ნაკლის გამოსასწორებლად.

საკითხისადმი მიდგომა კიდევ ერთ რამეს ამჟღავნებდა — ამ მაღალი, ნდობით აღჭურვილი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს წევრები არა მარტო მეურნეობის ხელმძღვანელები იყვნენ, არამედ მაღალკვალიფიციური ინჟინრები, რომლებიც შესანიშნავად ერკვევიან თუნდ ყველაზე რთული საკითხის საინჟინრო-ტექნიკურ შინაარსში.

მართლაც, დაწყებული თვით საბჭოს თავმჯდომარით — ინჟინერ გიორგი ჩოგოვაძით, რომელიც წლების განმავლობაში ჰიდროელსადგურებს აშენებდა, ყველანი გამოცდილი სპეციალისტები არიან — სამთო ინჟინერი ნიკო გომელაური, რომელიც საბჭოში მეტალურგიული ქარხნიდან მოვიდა, ინჟინერი ივანე კეკელიძეც, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშაობდა, ინჟინერ-მშენებლები — გრიგოლ ხომერიკი და თევდორე კინწურაშვილიც, მანქანათმშენებელი ვალერიან ვადაჭკორია და კვების დარგის ინჟინრები, გიორგი ჯიმარჯიძე და მიხეილ კოდუაც, სამთო ინჟინრები, იოსებ ჭიაევი და ბორის გუჯეჯიანიც, ინჟინერ-მექანიკოსი ბორის აკიმენკო, ინჟინერი-მეტყევე ზაქარია ჩხუბიანიშვილი, ინჟინერი პავლე ბურჯანაძეცა და ინჟინერი გიორგი რობაქიძეც...

იმ დღეს არა ერთი და ორი საკითხი განიხილა და გადაჭრა სახალხო მეურნეობის საბჭომ. ამ საკითხისადმი მიდგომაში თავს იჩენდა სრულიად გარკვეული სტილი მუშაობისა — ოპერატიული და გამბედავი: საკითხი, თუნდაც დიდი და მნიშვნელოვანი, რომელიც საფუძვლიანად იყო შესწავლილი, ყოველმხრივ დასაბუთებული და არავითარ დაეჭვებას არ იწვევდა — სწრაფად და სრულად წყდებოდა.

— დაისვა საკითხი 1958 წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკაში სამრეწველო პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის შესახებ. დამტკიცდა ამ დიდი ღონისძიების განხორციელების გეგმა.

— დამტკიცდა დარკვეთში მარგანეცის მადნის მძლავრი გამამდიდრებელი ქარხნის საპროექტო დავალება.

და კიდევ დაირღვა სხდომის აკადემიურად თანაბარი და მშვიდი მსვლელობა, როდესაც მომხსენებელმა, საბჭოს საფინანსო განყოფილების უფროსმა — სხირტლაძემ გააცნო საბჭოს თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის რევიზიის შედეგები. რევიზიამ გამოარკვია ფინანსური დისციპლინის ზოგიერთი დარღვევა, კიდევ მცირე რამ ნაკლოვანებანი... მცირე რამ დანაკლისი, ერთი სიტყვით, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო. ბოლოს, მომხსენებელმა აღნიშნა ქარხნის დირექტორის დ. სამადაშვილის უტაქტო საქციელი და უხეში დამოკიდებულება, როგორც საკუთარი „ქვეშევრდომების“, ისე სამმართველოს თანამშრომელთა მიმართ.

სწორედ ამ უკანასკნელ საკითხს მიაქცია საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება.

თვით სამადაშვილიც წარსდგა საბჭოს წინაშე. ეს იყო ის ერთ დროს საკმაოდ გავრცელებული ტიპი დირექტორისა, რომლის „ხელმძღვანელობის მეთოდები“ ძირითადად ყვირილზეა დამყარებული.

ყოველგვარი დათმობისა და შეწყნარების გარეშე საბჭომ სასტიკად გაკიცხა და უკანასკნელი გაოფრთხილა დრომოჭმული მეთოდების „უკანასკნელი მოჭიკანი“. კიდევ ერთი საკითხი იდგა დღის წესრიგში, გარეგნულად თითქოს არცთუ ისე საინტერესო.

სახალხო მეურნეობის საბჭომ დაამტკიცა თავისი „ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს პლენუმის შემადგენლობა“. წაიკითხეს სია იმ 175 კაცისა, რომლებიც შევიდნენ ამ საბჭოში... ეს საკითხი მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა უმნიშვნელო და არა საინტერესო, არსებითად კი იგი მეტად მნიშვნელოვანი და ბევრი რამის მანიშნებელი აღმოჩნდა.

ამ საბჭოს წევრებად დასახელებული იქნენ — დიდი წარმოებების ხელმძღვანელები, ჩვენი რესპუბლიკის სახელმოხვეჭილი მშენებლები და ჰიდროტექნიკოსები, სამთო ინჟინრები და მეტალურგები, ქიმიკოსები და მექანიკოსები, მეცნიერებათა აკადემიის წევრები და წარმოების მოწინავე ადამიანები.

მომხსენებელი სიას კითხულობდა, გვარს გვარზე ასახელებდა ისე, თითქოს არაფერია გასაკვირველი და მნიშვნელოვანი, რომ ამ საბჭოში სახელოვანი მეცნიერების ელეფთერ ანდრონიკაშვილისა და რაფიელ აღლაძის, იოველ ჭუთათელაძისა და იოსებ ბუაჩიძის გვერდით დასახელებული იქნენ — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ელმავლის მოწინავე მემანქანე ა. ღამბაშიძე და რუსთავის აზოტ-ტუკის ქარხნის უფროსი მეაპარატე ვ. ქაჯაია, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე მუშა გ. დიაკონიძე და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფოლადიხმდნობელი ამირან ფანცულაია.

არც ის გაჰკვირვებია ვინმეს, რომ ამ საბჭოს წევრებად თანაბარი უფლებითა და მოვალეობებით შევიდნენ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე და ტყვარჩელელი მეშახტე ხაჩიპერიძე, რესპუბლიკის უდიდესი წარმოების რუსთავის ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე და თბილისის ავეჯის ქარხნის ხარატი ნ. კაპლიევი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო-სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის უფროსი — გივი მიქელაძე და ქარხანა „პლასტმასის“ დაზგის მუშა ა. ჩერეპუხინი.

დასახელებულ იქნენ ინჟინრები და მეცნიერები, მუშები და ეკონომისტები, წარმოების მეთაურები და ტექნიკური ხელმძღვანელები. შეიქმნა ნამდვილი ასამბლეა საქართველოს მრეწველობისა — ის სათათბირო ორგანო, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, ჩვენი სამშობლოს მრეწველობის მართვისა და წინსვლის საქმეში.

მიმდინარეობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სხდომა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ახალი დიდი ამოცანების წინაშე

გიორგი ჩოგოვაძე

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, საქ. სსრ მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საბჭოები, რომლებიც 1957 წლის პირველი ნახევრის დასასრულს შეიქმნა, წარმოადგენენ მრეწველობისა და მშენებლობის სახელმწიფოებრივი ძართვის ძირითად ორგანიზაციულ ფორმას. თავისი არსებობის მოკლე პერიოდში მათ მთლიანად და სავსებით გაამართლეს მათზე დამყარებული იმედი. ამას პირველ ყოვლისა ცხადყოფს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები, რასაც საბჭოთა ადამიანები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

გარდაქმნის შემდეგ ეკონომიური განვითარების ახალი ეტაპი დაისახა საქართველოს სახალხო მეურნეობაშიც. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების 1957 წლის გეგმა შეასრულა 102,5 პროცენტით. ამ პროდუქციის გამოშვების ვალდებულება გადაჭარბებულია 265 მილიონი მანეთით.

1956 წელთან შედარებით წარმოებულია საერთო პროდუქცია 488 მილიონი მანეთით მეტი, მათ შორის 1957 წლის მეორე ნახევარში, როცა მოისპო უწყებრივი ზღუდეები და მუშაობა გაშალა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, 305 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1956 წლის შესაბამის პერიოდში. 1957 წელს, 1956 წელთან შედარებით, საერთო პროდუქცია 5,6 პროცენტით გაიზარდა.

გადაჭარბებით არის შესრულებული შრომის ნაყოფიერების გეგმა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება.

გასულ წელს ამუშავდა ორი მარტენის ღუმელი და ფურცელსაგლინავი საამქრო ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, რუსთავის ცემენტის ქარხანა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროს პირველი რიგი და გამამდიდრებელი ფაბრიკის მეორე რიგი, შახტი № 6 ტყვარჩელში და შახტი № 3 ახალციხეში, გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგური და სხვა ობიექტები.

დიდი მუშაობა ჩატარდა მრეწველობისა და მშენებლობის ტექნიკური აღჭურვისათვის. წარმოებაში უფრო ფართოდ ინერგება ავტომატიკა, ტელემექანიკა, პროგრესული ტექნოლოგია, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

მშენებლობის მართვის რეორგანიზაციამ უზრუნველყო კაპიტალური მშენებლობის საქმის გაუმჯობესება.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა 1958 წელს შეხვდა წარმოების შემდგომი ზრდისა და სრულყოფის გაცილებით უფრო დიდი პოტენციური შესაძლებლობებით. ვიდრე ეს გასულ წელს იყო. ჩვენი საწარმოების კოლექტივები ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე თავიანთი შემოქმედებითი შრომით ფართოდ იყენებენ ამ შესაძლებლობებს და ამრავლებენ საწარმოო წარმატებებს.

1958 წელს წარმოებული უნდა იქნას 12 მილიარდზე მეტი მანეთის საერთო პროდუქცია. მიმდინარე წელს, 1957 წელთან შედარებით, ამ პროდუქციის გამოშვება 8,6 პროცენტით გაიზრდება.

ეს მონაცემები ნათლად ლაპარაკობენ საქართველოს სოციალისტური მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპებზე.

უეჭველია, მეურნეობის მართვის აპარატის მუშაობაში ყველაზე არსებითია ისეთი ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო გეგმების შესრულებას და წარმოების შიდა რეზერვების სრულად გამოვლენასა და მაქსიმალურად გამოყენებას. სწორედ ამ მიმართულებით წარმართავდა და წარმართავს თავის საქმიანობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო.

მრეწველობის მართვის გარდაქმნის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო სახალხო განხილვის დროს თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა წინადადება წამოაყენა, რომ ქარხანას ახალი პროფილი მისცემოდა. მუშაობის ახალ პირობებში, სრულიად მოკლე ვადაში, მშრომელთა წინადადების განხორციელების შედეგად, 1957 წლის დამლევს ქარხანამ სამშობლოს მისცა პირველი ქართული რვაღერძიანი ელექტრომავალი.

ახლა თბილისის ელექტრომავალმშენებელი ქარხანა დიდი პერსპექტივების წინაშეა. გათვალისწინებულია ელექტრომავლების გამოშვება გადიდებული იქნეს.

საწარმოთა ეკონომიკის შესწავლამ საშუალება მოგვცა ქმედითი ზომები მივიღეთ მთელ რიგ დარგებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის გადიდებისათვის. მაგალითად, ინგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი ექსპლოატაციაში ვადაცემის დღიდან არარენტაბელურად მუშაობს, ყოველწლიური გეგმიური ზარალი 20 მილიონ მანეთს აღემატება. საკავშირო სამინისტრო, რომელსაც კომბინატი ექვემდებარებოდა, მოწყვეტილი იყო ამ წარმოებას და არ იცნობდა ადგილობრივ შესაძლებლობებს.

სახალხო მეურნეობის საბჭო უკვე შეუდგა ამ კომბინატის რეკონსტრუქციას, რაც გაადიდებს ქაღალდის გამოშვებას 40 პროცენტით.

სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს მუშაკთა თანასწორი, პირველად სამამულო ქაღალდის მრეწველობის ისტორიაში, ინგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი შეუდგა ქაღალდის წარმოებაში ხეხმელის მერქნის წარმატებით გამოყენებას. ეს შესანიშნავი ღონისძიება 1958 წელს მოგვცემს ეკონომიას 3 მილიონ მანეთის რაოდენობით და იმავე დროს გაათავისუფლებს ჩვენი მშენებლობების საჭიროებისათვის 25 ათას კუბურ მეტრამდე მაღალხარისხიან წიწვიან მერქანს, რომელიც აქამდე ქაღალდის წარმოებაზე მიდიოდა.

კასპის ი. ბ. სტალინის სახ. ცემენტის ქარხანაში საკავშირო ორგანოების მიერ გადაწყვეტილი იყო მეორე ტექნოლოგიური ხაზის რეკონსტრუქცია, რომელიც ქარხნის წარმადობას გაადიდებდა 10 ათასი ტონა ცემენტით, მაგრამ სამუშაოთა ჩასატარებლად ეს ხაზი ერთ თვეზე მეტს უნდა გაჩერებულიყო. ქარხნის კოლექტივმა წინადადება წამოაყენა, რომლის მიხედვით მეორე ხაზის რეკონსტრუქციისათვის განკუთვნილი დეტალებისა და, აგრეთვე, ქარხანაში არსებული სათადარიგო ნაწილების გამოყენებით, მოეწყოს ახალი, მეოთხე ტექნოლოგიური ხაზი, რაც ცემენტის გამოშვებას გაადიდებს ათას ტონობით, ისე, რომ მეორე ტექნოლოგიური ხაზის გაჩერება აღარ იქნება საჭირო.

გარდა ამისა, კასპის მეცემენტეებმა დააყენეს საკითხი, რომ წლების განმავლობაში უმოქმედო მოწყობილობის გამოყენებით, მცირე კაპიტალური დაბანდებით, რომელიც არ აღემატება 1,5-2 მილ. მან., თეძამის ტუფის კარიერის ნარჩენების ბაზაზე მოეწყოს საკედლე ბლოკების წარმოება მჩატე ბეტონისაგან. ამ საამქროს წარმადობა 20-25 მილიონი ცალი პირობითი აგური უნდა იყოს. ამ ღონისძიების მნიშვნელობის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს საამქრო უტოლდება აგურის დიდ ქარხანას, რომლის ასაგებად აუცილებელი იქნებოდა არა ნაკლები 25 მილიონი მანეთისა.

ამავე ქარხნის მუშაკებმა ინიციატივა აიღეს თავისი ძალებით მოაწყონ ფიბროლიტის წარმოება, რისთვისაც გამოიყენებენ ფიქალის საამქროს შენობას და უკვე მიმდინარე წელს შესძლებენ ამ ახალი სახის პროდუქციის გამოშვებას. ამ საამქროს დაწყებითი წარმადობა 400 ათასი კვადრატული მეტრი ფიბროლიტი იქნება.

სახალხო მეურნეობის საბჭომ მოიწონა და მხარი დაუჭირა, აგრეთვე, მეტეხის აგურის ქარხნის კოლექტივს, რომელმაც წინადადება შემოიტანა რეკონსტრუქციის პარალელურად, რაც ამჟამად მიმდინარეობს, აიგოს ოთხი გამოსაწვავი ღუმელი, დაიდგას 1-2 წნეხი და. ამგვარად, ქარხნის წარმადობა გაჯიდებული იქნეს 75-80 მილიონ ცალ აგურამდე, ნაცვლად 50 მილიონი ცალისა, რომლის მიღებაც რეკონსტრუქციის შედეგად იყო გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა უახლოეს წლებში სწრაფი ნაბიჯებით განვითარდება. ძრწველობის განვითარების 1959-1965 წ. წ. პერსპექტიული გეგმის პროექტით საერთო პროდუქციის წარმოება 1965 წელს ერთიორად უნდა გაიზარდოს 1958 წელთან შედარებით. პროდუქციის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაფართოვდება მისი ასორტიმენტი და ნომენკლატურა. კვლავაც უმთავრესი ყურადღება მიექცევა მძიმე მრეწველობის უპირატეს განვითარებას,

შემდგომი ტექნიკური პროგრესის ბაზაზე შრომის ნაყოფიერების ზრდამ 1965 წელს უნდა მიაღწიოს შედარებით 1958 წელთან 32 პროცენტს, ხოლო 1955 წელთან კი—40 პროცენტს.

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება 1959-1965 წ. წ. უნდა შემცირდეს 1958 წელთან შედარებით 12,5 პროცენტით, რის შედეგად შიდა სამრეწველო დაგროვება გაიზრდება 391 მილიონი მანეთიდან 1958 წელს, 1980 მილიონ მანეთამდე 1965 წელს, ანუ 5-ჯერ.

პერსპექტივაშია ქიმიური მრეწველობის წარმოების მკვეთრად გადიდება, რომელიც ტემპების მხრივ წინ გაუსწრებს სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენ დარგებს. გათვალისწინებულია 7 წლის განმავლობაში მოეწყოს კაპროლაქტამის წარმოება და მის საფუძველზე ხელოვნური ბოჭკოს ქარხანა, აშენდეს და ექსპლოატაციაში გადაეცეს პერმანგანატის, ქლორისა და სხვა ქარხნები. გარდა ამისა, გაფართოვდება რუსთავის აზოტოვანი სასუქების კომბინატი, ქუთაისის ლიტოპონის, ბათუმის კოფეინისა და თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტიული ქარხნები. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია 1965 წელს შედარებით 1958 წელთან უნდა გაიზარდოს 7-ჯერ მეტად.

ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ შეიქმნას და განვითარდეს მძლავრი ელექტროტექნიკური მრეწველობა. სპეციალისტების დასკვნით მიზანშეწონილია პირველ რიგში მოეწყოს 9 ახალი მსხვილი საწარმო, რომლებიც გამოუშვებენ ტრანსფორმატორებს, კაბელს, ელექტროაპარატურას, გამმართველებს, ჰიდროტუმბოებსა და ტურბინებს, ნათურებსა და სხვა პროდუქციას. ამ საწარმოებს აუცილებელ მასალებს მიაწვდის საქართველოს მრეწველობა, ხოლო კადრებით ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნან ჩვენი ახალგაზრდობის რიგებიდან, რომელთაც აქვთ საშუალო და უმაღლესი ტექნიკური განათლება. ეს იმავდროულად ხელს შეუწყობს მათ შრომით მოწყობას რესპუბლიკის ფარგლებშივე.

საქართველოს ეკონომიურ განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ელექტროენერგეტიკას, რომელიც ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სუსტ რგოლს წარმოადგენს. თუმცა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ელექტროენერგიის გამომუშავება 100-ჯერ მეტად გა-

ზარდა, ელექტროსადგურების ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩა მრეწველობის ზრდის ტემპებს.

საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ჩამორჩენას, რაც უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაზე. ისე უნდა წარიმართოს ჰიდროშენებლობის ობიექტების პერსპექტიული ძიება და დაპროექტება, რომ უახლოეს 2 წელში გვქონეს რამდენიმე დამთავრებული და დამუშავებული პროექტი მშენებლობის პირველი რიგის ობიექტის შესარჩევად, პირველ ყოვლისა მდინარეებზე — ენგურზე, რიონზე, მტკვარზე და ალაზანზე.

სახალხო მეურნეობის კვების მრეწველობის წამყვანი დარგების შემდგომი აღმავლობა დამოკიდებულია მათი ნედლეულის ბაზის, — ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე. ამ მხრივ ახალ, დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენენ ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულ დადგენილებაში „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“.

ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახულია დიდი და საპატიო ამოცანა — უახლოეს 10 წელიწადში უზრუნველყოს საბჭოთა კავშირი სამამულო წარმოების ჩაით. მიმდინარე წელს ჩვენი მრეწველობა ქვეყანას მისცემს 35 ათას ტონამდე მზა ჩაის.

მიუხედავად დიდი მიღწევებისა ღვინის მრეწველობაში, საწარმოთა წარმადობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნედლეული ბაზის ზრდას. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ვენახების ფართობი საქართველოში უნდა გაიზარდოს 80 ათას ჰექტარამდე 1960 წელს, და 120 ათას ჰექტარამდე 1965 წელს.

ამასთან, აღმავლობის გზით უნდა წარიმართოს საკონსერვო, ეთერ-ზეთოვანი, თამბაქოს და კვების მრეწველობის დანარჩენი დარგების განვითარება.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი მანქანებისა და მოწყობილობათა შექმნას სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა, სასოფლო-სამეურნეო შრომის შემსუბუქებისა და მეცნიერებრივ-ტექნიკური ... ების შემდგომი გადიდებისათვის.

იმისათვის, რომ ეს დიადი პერსპექტივები განვახორციელოთ, ამ თავითვე უნდა გავაჩაღოთ ბრძოლა ახალი შრომითი მიღწევებისათვის, მოქმედებაში მოვიყვანოთ საწარმოო რეზერვები, დავნერგოთ და სწორად გამოვიყენოთ ტექნიკა, გაბედულად გადავლახოთ ყოველგვარი სიძნელე და პირნათლად შევასრულოთ ამოცანები, რომლებიც ჩვენმა შრომლიერმა კომუნისტურმა პარტიამ დაგვისახა. ამისათვის ჩვენ ყველა პირობა და შესაძლებლობა გვაქვს.

526

526 — ეს არის ნუსხა საქართველოს რესპუბლიკის მსხვილი ქარხნებისა და ფაბრიკებისა, მაღაროებისა და შახტებისა, ჰიდროელსადგურებისა და სამრეწველო კომბინატებისა, რომლებიც სახალხო მეურნეობის საბჭოს განკარგულებაში შედიან.

526 — ეს არის საქართველოს მძლავრი ინდუსტრიის ის ნუსხა, რომელშიაც შეტანილია არა წვრილი წარმოებები (ასეთები საქართველოში 4300-ზე მეტია), არამედ ინდუსტრიული საქართველოს სიამაყე — დიდი ქარხნები, მძლავრი ჰიდროელსადგურები და დიდი წარმადობის მაღაროები.

526-ის ნუსხის ყოველი „ერთეული“ რთული და მრავალ დარგთან დაკავშირებული წარმოებაა, ამასთანავე იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობასთან და როდესაც იწყებ ამ რთული კავშირების გარკვევას—წარმოგიდგება მთელი საბჭოთა მრეწველობის გრანდიოზული და მწყობრი სქემა, რომელიც მართლა და „მანქანასავითაა აწყობილი“. სადღაც კავკასიონის მაღალმთიან სოფელ ყაზბეგში ანდა თრიალეთის სოფელ ბაკურიანში დამზადებული სიმაგვგამძლე ანდეზიტის ბლოკების დროულად მიწოდებისაგან დამოკიდებულია უდიდესი ქიმიური ქარხნების მუშაობა.

...ქუთაისის მახლობლად მდებარე ჰატარა სოფელ გუმბრში მდებარე გუმბრინის მაღაროები ამარაგებენ ბაქოსა და გროზნოს ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებს, ხოლო ხორშისა ან გალის, ბაბუშერისა ან ყვარელის ეთერზეთოვანთა ქარხნების პროდუქცია ლენინგრადისა და მოსკოვის სახელმოხვეჭილ „ტეეესა“ და „ლენეტის“ ქარხნებს ხმარდება. „526-ის ნუსხის“ ყოველი რიცხვი სრულუფლებიანი წევრია საქართველოს მრავალდარგოვანი ინდუსტრიისა. ამ ციფრის თვითეულ ერთეულს მხოლოდ ერთი სტრიქონი უჭირავს ამ ნუსხაში, მაგრამ რამდენი ათასი სტრიქონისა და ფურცლის დაწერა შეიძლება იმ ადამიანებზე, რომელთაც შექმნეს — დაგეგმეს და ააგეს ეს ქარხნები, ელსადგურები, მაღაროები და კომბინატები.

საქართველოს ინდუსტრიის ამ ჯერ დაუწერელ ეპოპეაში ცალკეულ თავებად შევლენ ტყიბულისა და ტყვარჩელის, ჭიათურისა და ახალციხის შახტები და მაღაროები, ჩვენი მეტალურგიის სიამაყე — რუსთავისა და ზესტაფონის ქარხნები, მძლავრი ჰიდროელსადგურების კასკადები — მხოლოდ ერთი ასეთი კასკადი, რომელიც ლაკონიურად აღნიშნულია, როგორც „კასკადი № 1“, შეიცავს საქართველოს ენერგეტიკის მთელ ისტორიას ზაჰესიდან—ორთაჭალაჰესამდე—ხოლო ამ ისტორიის უფრო უახლოესი ფურცლები, ამოიკითხება რიონის კასკადის მძლავრი, ელსადგურთა სულ ახლახან შექმნილ რიგში — გუმათის ჰიდროელსადგურებს რომ უწოდებენ.

ბრწყინვალე თავები ამ ეპოპეისა მიეძღვნება საქართველოს მსუბუქსა და კვების მრეწველობას, რომელიც ტანთაცმევს და მოსავს მრავალ მილიონ ადამიანს. აქ დაიწერება ქება აბრეშუმსაქსოვი და ბამბეულის, სამკერვალო და ფეხსაცმელის ქარხნებისა, ავეჯისა და ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი ქარხნებისა... ქება კონსერვებისა და ჩაის, ღვინისა და კონიაკის ქარხნებისა, რომელთა პროდუქცია საერთაშორისო გამოფენებზე საერთო მოწონებას იმსახურებს და რომელთაც სადაურობას აღნიშნული სიტყვა „ქართული“ („ქართული ღვინო“, „ქართული ჩაი“) საუკეთესო ხარისხის მანიშნებლად გახადეს.

526... მაგრამ იმ დროს, როდესაც თქვენ ამ სტრიქონებს კითხულობთ, შეიძლება, ეს ციფრი ზუსტი აღარ იყოს, რადგან სულ ახალი და ახალი წარმოებები დგებიან კომუნიზმისათვის ბრძოლის მწყობრში, და შესაძლოა ახლად ამუშავებულმა ქარხნებმა შეცვალონ ეს მუდამ მზარდი ციფრი...

* * *

ეს სტრიქონები უკვე აწყობილი იყო, როდესაც რადიომ მთელ ქვეყანას აუწყა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 7 მაისის პლენუმის შესახებ. პლენუმმა განიხილა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და გამოიტანა დადგენილება „მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისთვის ქიმიური მრეწველობის და განსაკუთრებით სინთეზური მასალების და მათ ნაკეთობათა წარმოების განვითარების დაჩქარების შესახებ“.

ამ დადგენილებას კითხულობდნენ ყველგან და იგი ყველასათვის გასაგები იყო, რადგან ქიმიური მრეწველობის განვითარება მიმართულია იქით, რომ ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტას — უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეობაზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სინთეზური მასალების წარმოების განვითარების საფუძველზე 1965 წელს გადიდდება სახალხო მოხმარების საგანთა გამოშვება — შალის ქსოვილებისა — 500 მილიონ მეტრამდე, აბრეშუმის ქსოვილებისა 1.485 მილიონ მეტრამდე (აქედან ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოვანი ქსოვილებისა 1.237 მილიონ მეტრამდე). ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოვანი ბამბის ქსოვილებისა — 480 მილიონ მეტრამდე, ტრიკოტაჟის ნაწარმოებისა — 940 მილიონ ცალამდე, ხელოვნური კრაველისა — 5 მილიონ კვადრატულ მეტრამდე, ფეხსაცმლისა 515 მილიონ ცალამდე.

პლასტიური მასები ფართოდ იქნება გამოყენებული მრეწველობის მრავალ დარგში — მანქანათმშენებლობასა და საბინაო მშენებლობაში; იაფი, გამძლე და ლამაზი საყოფაცხოვრებო ნივთების დასამზადებლად.

ამ პროგრამის განსახორციელებლად უნდა აიგოს და რეკონსტრუირებულ იქნას 257 საწარმო, აქედან ახალი—120. მათი საერთო ღირებულება 100 მილიარდ მანეთს აღემატება.

მნიშვნელოვანია საქართველოს ქიმიური მრეწველობის წვლილი ამ გეგმის განხორციელებაში. რესპუბლიკაში აშენდება სინთეზური ბოჭკოს ქარხანა და სხვა საწარმოები. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სიმძლავრე გადიდდება 2-ჯერ, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნისა — 6.7-ჯერ, ქუთაისის ლიტოპონის ქარხნისა — 2-ჯერ, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნისა — 3-ჯერ, ბათუმის კოფეინის ქარხნისა — 7-ჯერ.

2,5-ჯერ გაიზრდება ამონიაკის წარმოება, 4-ჯერ მინერალური სასუქების გამოშვება... ზუსტდება ნავთობის ბუნებრივ გაზების, კოკს-ქიმიური მრეწველობის მონარჩენების და სხვათა გამოყენების საშუალებანი ძვირფასი სინთეზური პროდუქტების დასამზადებლად.

ქიმიური მრეწველობის ახალი მძლავრი აღმავლობა მიმართულია ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი ზრდისაკენ. ახალი ციფრები შეცვლიან 526-ს, ახალი საწარმოები მიემატება ჩვენი წარმოებების ამ შესანიშნავ ნუსხას. ამის თავდებია პარტიისა და ხალხის განუწყვეტელი ზრუნვა რესპუბლიკის მრეწველობის აყვავებისათვის.



ჭიათურა. მაღაროდან გამამდიდრებელ ქარხანაში მარგანეცის მადანი საჰაერო-საბაგირო გზით მიდის.

ფოტო ვლ. გინზბურგისა
და ო.თ. თურქიანი

...ეროვნული სახელმწიფოებრივ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყოველ დღეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისას, იმდენი ახალი რამ მოაქვს, რომ თითქმის შეუძლებელია ხრულად მოავლო თვალი ყოველივე ახალს, რაც ხდება მრეწველობასა და ხოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და მშენებლობაში.

ხელოვანისათვის გაცილებით უფრო ადვილია სიტყვით, ფერით და ხაღებავებით გამოხატოს ის გრძნობები და აზრები, რომელსაც აღძრავენ მასში კომუნიზმის დიადი მშენებლობების ბუმბერაზული მასშტაბები და კომუნიზმის მშენებელთა შრომითი გმირობა და თავდადება, ვიდრე ნარკვევით — ფაქტებისა და რიცხვების ენით შეეცადო დაახლოებით მაინც მოხაზო ზოგადი სურათი ჩვენი ქვეყნის სამრეწველო აღმავლობისა.

ყოველი ჩვენთაგანი თვითონ არის მონაწილე ამ დიდი მშენებლობისა და ამიტომ დრო და განუხრელი წინხწრაფვა არ გვაძლევს საშუალებას ყოველთვის უკან მივიხედოთ, მაგრამ ტრადიციად იქცა, რომ ისტორიულ მიჯნებზე — ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებულ თარიღებსა და პარტიის ყრილობებზე ხალხი აჯამებს ყოველივე გაკეთებულს, აფასებს მას და სახავს მომავლის ახალ გეგმებს.

ერთი ასეთი ისტორიული თარიღი იყო გასული წლის ივნისში — სახალხო მეურნეობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა, როდესაც ერთი უმაღლესი ორგანოს — სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელში თავი მოიყარა რესპუბლიკის მთელმა მრეწველობამ და ამან საშუალება მოგვცა კიდევ უფრო თვალნათლივ და მეტუველად დაგვენახა ის, რაც გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში.

ყოველი დიდი ნაგებობის დასამზერად უკან დახევა და მისგან დაშორებაა საჭირო — მაშინ უფრო მთლიანად და სრული სიდიადით გამოჩნდება მისი მოხაზულობანი და ნაკვთები.

ჩვენ არ მოგვიხდება შორს დახევა, რომ წარმოვიდგინოთ ის დრო, როდესაც გაპარტახებულ და მრავალი საუკუნეების უსწორო ბრძოლისა და კრეტება-ოტებისაგან სისხლდაცლილ ქვეყანაში თითქმის არ მოიძებნებოდა სასიცოცხლო ძალები, რომლებსაც შეეძლოთ მისი აღორძინება.

ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ რუსეთის იმპერიის ამ ნახევრად-კოლონიური განაპირა მხარის ეკონომიური ცხოვრება, და მისი მრეწველობის აღსანუსხავად ბევრი დრო და ადგილი არ დაგვჭირდება.

სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში ჯერ კიდევ არ იყო დავიწყებული ის დრო, როდესაც „ხალხსა და ერს მხოლოდ ხორციელი ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორციც არ დავიღუპოვო“ (ილ. ჭავჭავაძე), როდესაც რკინიგზების გაყვანამ (ფოთი—თბილისი 1872 წ. სამტრედია — ბათომი და თბილისი — ბაქო—1883 წ.) საგრძნობლად გამოაცოცხლა მხარის ეკონომიური ცხოვრება, ხოლო წიაღისეულ სიმდიდრეთა დამუშავების საფუძველზე სამრეწველო ცენტრების აღმოცენებამ (ბაქო, ჭიათურა, ტყიბული) აზრთა ახალი დინება შექმნა მოწინავე მოაზროვნე ადამიანებში.

ქვეყანა მდიდარი იყო ყოველგვარი ბუნებრივი სიკეთით, წიაღისეულითა და ტყით, ნიადაგითა და ჰავით.

„აქეთ-იქით იყურები,—წერდა ილია ჭავჭავაძე,—სინჯავ და ხედავ, რომ მთელი ეს მშვენიერი კუნძული დედამიწისა შავი და თეთრი (კასპიის) ზღვის შუა მდებარე, თითქოს საბუდარია, რომელშიაც უანგარო და გულუხვი ბუნება, როგორც კრუხი ჩამჯდარა და დაუღალავად, განუწყვეტლივ, შეუფერხებლად სჩეკს ყოველგვარ სიმდიდრესა. აქ მცხოვრები კაცი კი მაინც ღარიბია და ღარიბი“.

აკაკი წერეთლის თაოსნობით დაიწყო მსოფლიო მნიშვნელობის ჭიათურის მარგანეცის საბადოს დამუშავება, მაგრამ საზოგადოებაში, რომელშიაც „კაპიტალიზმის მგლური კანონები“ მოქმედებენ, სიკეთეც ჭირად იქცევა. წვრილი მწარმოებლები ტურებივით შეეხიენ ჭიათურის სიმდიდრეს, ყველა ცდილობდა წაეგლიჯა საუკეთესო ნაჭერი — „ერთის სიტყვით, შურს, მტრობას, წვრილმანობას, შავი ქვის საქმე იქამდე მიუყვანია, რომ ლამის შავმა ქვამ მართლა „შავი ქვა და ნაცარ-ცხელი“-ღა მოუტანოს თვით მწარმოებელსაც, მადნის პატრონსაც და მუშასაც. ლამის ეს ღვთისგან მონიჭებული სიმდიდრე და სიკეთე ჭირად და უბედურებად გადაექცეს“, — წერდა ილია ჭავჭავაძე. მეცხრამეტე საუკუნის დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე იძულებული იყვნენ გამოხმაურებოდნენ ყოველ ახალ წამოწყებას, ხელი შეეწყოთ მისთვის, და თვითონაც ჩაბმულიყვნენ პრაქტიკულ საქმიანობაში — რათა დახმარებოდნენ ქვეყნის საწარმოო ძალთა გამოვლინებას და ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენებას. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნება იყო...

როდესაც შესანიშნავმა ქართველმა გეოლოგმა გრიგოლ წულუკიძემ (სხვათა შორის იგი იყო პირველი და მრავალი წლების განმავლობაში ერთადერთი ქართველი გეოლოგი უმაღლესი განათლებით) ალგეთის ხეობაში აღმოაჩინა ლითოგრაფიული ქვა და მისი დამუშავებით ევროპელი მრეწველები დაინტერესდნენ, ილია ამ ამბავს გამოეხმაურა საგანგებო წერილით — „ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა“. ილია იგონებს, რომ უცხოელებმა უკვე ჩაიგდეს ხელში შავი ქვის საქმე და წერს:

„აი ეხლაც აღმოჩენილა ჩვენს ქვეყანაში წყარო სიმდიდრისა აღბულაღში თავად დ. ზ. ბარათაშვილის მამულში. ალგეთზედ გამოჩენილა მშვენიერი ქვა ხალითოგრაფიო და საკირე ქვა ისეთი მაღალის ღირსებისა, თურმე, რომ უკეთესი აღარ გინდა“... მაგრამ „ჰნახავთ თუ ეს მზა-მზარეული აუარებელი სიმდიდრეც პირიდან არ გამოეცალოთ ჩვენ ფულიან კაცებს“, რადგან ევროპელებმა უკვე მიაქციეს ყურადღება და „ეს წყაროც აუარებელის სიმდიდრისა ჩაუვარდებათ ხელში ევროპელებს“.

აკი უვარდებოდათ კიდევაც—როტშილდებსა და ნობელებს..

მეფის მთავრობა მრავალი წლების განმავლობაში ხელს უშლიდა და ეწინააღმდეგებოდა ყოველ წამოწყებას, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა და ქვეყნის საკეთილდღეოდ იყო მიმართული. გავიხსენოთ თუნდაც ბედი ა. ს. გრიბოედოვისა და ზაველეიხის მიერ შედგენილი „რუსეთის ამიერკავკასიის კამპანიის“ პროექტისა, რომელიც მათ გრაფ პასკევიჩ-ერივანსკის წარუდგინეს. ეს პროექტი დაწუნებულ იქნა. შესანიშნავია ამ დაწუნების „თეორიული დასაბუთება“.

„ვერ აიძულებ აყვავდეს იგი, რაიცა ბუნებით არ არის შექმნილი საამისოდ და სანამ საამისო დრო არ დამდგარა“ და ამ ახალის „აყვავებისა და განვითარების“ მაინცდამაინც არც დახმარებაა საჭირო, იმიტომ რომ ერთგვარი პროცესი თავისთავადაც ეტყობა... ჰოდა, რაღა თავი შევიწუხოთ, როდესაც მრეწველობა მაინც იზრდება... „ხოლო რახან იზრდება მას კვლავაც შეუძლია ზრდა თავისის ბუნებით და მხოლოდ მთავრობის ზედამხედველობაა“ საჭირო... და ამგვარად „თავისის ბუნებით“ და „მთავრობის ზედამხედველობით“ რუსეთის შორეული მხარის — საქართველოს მრეწველობა „განვითარდა“ იმგვარად, რომ

როდესაც იქუხა რევოლუციამ, გაიარეს სამოქალაქო ომისა და მეწშევიკთა ბატონობის წლებმა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (სმუსი) მის განკარგულებაში ორასიოდე ნახევრადკუსტარული სახელოსნო და ათიოდე მოზრდილი ფაბრიკა-ქარხანა და მაღარო აღმოჩნდა...

1925 წელს სმუსის უდიდესი სარეწაოები სამთო მრეწველობას ეკუთვნოდნენ — მათგან — ჭიათურის მაღაროები წელიწადში 18.374 ათას ფუთ მარგანეცს იძლეოდა, ტყიბულში,—ნახშირის მაღაროებში—644 კაცი მუშაობდა, ხოლო ერთადერთმა მეტალურგიულმა ქარხანამ — ჩათახის თუჯის სადნობმა ქარხანამ, 1923-24 წელს 85 ათასი ფუთი თუჯი გამოადნო. თბილისში თავმოყრილი იყო მთელი ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, რომელიც შესდგებოდა ერთი სპილენძსაგლინავი, ორი მექანიკური და 2 ავტოსარემონტო ქარხნისგან (ხუთივეში 718 მუშა მუშაობდა). „ქიმიურ მრეწველობას“ შეადგენდა თბილისის ქარხანა „ასანთი“, სადაც 47 კაცი მუშაობდა და დღეში ათას კოლოფ ასანთს ამზადებდა. ტყავეულის ოთხი ქარხანა, ღვინისა და არაყ-სპირტის 3 ქარხანა (44 მუშით), 7 ლუდის ქარხანა, შუშის ქარხანა ავჭალასა და ბორჯომში, აგურის და კირის საწვავი „ქარხნები“ და ბიდონების ქარხანა ბათუმში.

ეს იყო და ეს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე დღეებიდანვე — 1922 წლის შემოდგომიდან — სმუსი შეუდგა ზემო ავჭალაში საქართველოს პირველი და ყველაზე დიდი ჰიდროელსადგურის აგებას (მისი სიმძლავრე 18.000 ცხენის ძალა იყო. ე. ი. ორჯერ აღემატებოდა თბილისში არსებული 44 ელსადგურის სიმძლავრეს), აჭარის-წყალზე და აბაშაზე დაიწყო კიდევ ორი ჰიდროელსადგურის შენებლობა, და მოსკოვიდან ჩამოტანილი მაუდის ქარხნის მანქანებს უკვე აწყობდნენ ქუთაისში.

სოციალისტური საქართველოს მრეწველობა ერთი თაობის თვალწინ ჩაისახა და გაიზარდა.

...1924 წელს ჩვენ მეოთხე ჯგუფის მოწაფეები ვიყავით და სამრეწველო დაწესებულების საჩვენებლად ეექსკურსიაზე წაგვიყვანეს ავლაბარში, ყოფილ კარლინსკის ზეთსახდელ ქარხანაში. ზეთსახდელმა წნეხმა განგვაცვიფრა თავისი გრანდიოზულობით, შვიდწლედის დამთავრებისას ექსკურსიით ვიყავით ქუთაისში და უკვე ამუშავებული ქუთაისის მაუდის ქარხანა ვნახეთ... ზაჰესის მშენებლობა ხომ ჩვენ თვალწინ მიდიოდა. ჩვენ გვახსოვს პირველი შაბათობები მისი ქვაბულის გათხრაზე და დღესასწაული, როდესაც თბილისმა პირველი ელდენი მიიღო, პირველი ხუთწლედის დასაწყისში ჩვენ უკვე სტუდენტები ვიყავით, ხოლო მეორეში უკვე ვშრომობდით მშენებლობებსა და ქარხნებში.

საქართველოს მრეწველობას საქართველოსავე უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში აღზრდილი ასეული და ათასეული ინჟინრები აშენებდნენ და ჰქმნიდნენ.

ტექნიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი და უხუცესი ქართველი ინჟინერი, პროფესორი ივანე ყიფშიძე იგონებს, რომ 1904 წელს სოფრომ მგალობლიშვილის სახლში — იგი, მაშინ პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა სტუდენტი, გააცნეს ილიას და მათ შორის გაიბა საუბარი საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ. ილია ნანობდა, რომ ახე ცოტა ინჟინერი და აგრონომი გვყავს და ასე ცოტა სტუდენტია ტექნიკურ და აგრონომიულ უმაღლეს სასწავლებელშიო. — 30 ქართველი ინჟინერი და აგრონომი რომ მაინცა გვყავდეს!—წამოუძახია ილიას.

სოციალისტური მშენებლობის პირველსავე წლებში ერთმა შესანიშნავმა ფაქტმა იჩინა თავი და გამომზეურდა. როდესაც ძველი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გაბნეულმა ძველი თაობის სამთო ინჟინრებმა და ქიმიკოსებმა, აგრონომებმა და მშენებლებმა მოიყარეს თავი და თავის განახლებულ სამშობლოში დაიწყეს შრომა, აღმოჩნდა, რომ ყოველ მათგანს — რაიმე პროექტი და გამოგონება, რაიმე ოცნება და განზრახვა ჰქონია, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამუშავებდა და აზუსტებდა—და ყველა ეს ნანატრი და ნოცნებარი — საქართველოს ბუნებრივ საწარმოო ძალთა გამოჩინებას ეხებოდა. ახლა შესაძლებელი გახდა მათი განხორციელება და დანერგვა, გამოყენება და ხორცშესხმა. ეს იყო გამოვლინება იმ სახალხო ინიციატივისა, რომელიც ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალთაგანია ჩვენი მშენებლობისა, ეს იყო ის ოცნება სამშობლოს განახლებაზე, რომელმაც შორეულ უკრაინაში პოტტა და მებრძოლს დავით გურამიშვილს წისქვილის პროექტი შეადგენინა, პეტერბურგელ სტუდენტს ხმიადაშვილს — ავტობლოკირების პირველი მოდელი შეაქმნევინა.

შესანიშნავი ქაროველი ინჟინრები— ენერგეტიკოსი ბესარიონ ჭიჭინაძე, მეტალურგები გიორგი ნიკოლაძე და გიორგი გედევანიშვილი, გეოლოგი ალექსანდრე გიუმყრელი, სამთო ინჟინერი გრიგოლ წულუკიძე ოცნებობდნენ იმ დროზე, როდესაც შესძლებდნენ თავისი ცოდნისა და უნარის, გამოცდილებისა და ოსტატობის სამშობლოსათვის მოხმარებას.

სულ ოცდაათიოდე წლის განმავლობაში შეიქმნა, გაშენდა, გაძლიერდა და დავაუკაცდა საქართველოს ინდუსტრია, რომელმაც ჩვენი ქვეყანა მოწინავე ინდუსტრიის, ჰიდროელექტროსადგურების, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის ქვეყნად გადააქცია.

წინათ იტყოდნენ: „ვილაპარაკოთ ციფრების ძუნწი და მშრალი ენითაო“. მართლაც ციფრების ენა ძუნწი იყო, რადგან დიდს არაფერს მოასწავებდა...

მაგრამ დაუკვირდით ზოგიერთ ციფრებს და დაინახავთ, რომ ისინი ძუნწი კი არა — უხვნი არიან, მშრალი — კი არა — მრავალმეტყველი და თავისებური პოეზიით სავსე. პოეზიით, რადგან ასახავენ იმ ფართო გაქანებას, იმ უხვსა და ცოცხალ ფანტაზიას, ურომლისოდ არავითარი ახლის შექმნა, ახლის აშენება არ შეიძლება.

დავიწყოთ ამ ციფრებიდან.

ქვეყნის სამრეწველო განვითარება შეიძლება დახასიათდეს ერთ მცხოვრებზე სამრეწველო პროდუქციის გამომუშავებით.

ქვანახშირი — 707 კილოგრამი (ოსმალეთში — 273 კგ). ელექტროენერგია — 607 კილოვატსაათი (1956), ოსმალეთში — 6. სამრეწველო პროდუქციის გამომუშავება თითო მცხოვრებზე — 3650 მანეთისა (1913 წელს — 18 მანეთისა იყო).

განა შეიძლებოდა ოცნებაც კი, რომ 1957 წელს საქართველო გამოიმუშავებდა 120-ჯერ მეტ ენერგიას 1913 წელთან შედარებით. და ახლა რესპუბლიკის ელექტროსადგურები ერთ დღეში გამოიმუშავებენ იმდენ ელექტროენერგიას, რაც გამოიმუშავეს მთელი 1913 წლის განმავლობაში.

საქართველომ, სადაც არც ერთი მანქანა არ იქმნებოდა, 1956 წელს გამოუშვა 2,5-ჯერ მეტი ლითონსაჭრელი ჩარხები, ვიდრე მთელმა მეფის რუსეთმა 1913 წელს. მანქანათმშენებლობაში ჩაბმულია რესპუბლიკის სამრეწველო მუშების 20%.

1957 წელს ნახშირის მოპოვება გაიზარდა 1913 წელთან შედარებით — 43-ჯერ.

საქართველოს მეტალურგიული ქარხნები თუჯით, ფოლადით, მილებით, არმატურით 83 ეკონომიური რაიონის საწარმოებს ამარაგებენ. ზესტაფონის ქარხნის ქართული ფეროშენადნობე-



ახალი ჩარხის აწყობა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში.



სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის თბილისის ქარხანაში მზადაა გამოსაშვებად ჩაისსაკრეფი ახალი მანქანა...



თბილისის ელექტრომავალმშენებელ ქარხანაში აგებული პირველი სამაგისტრალო ელექტრომავალი.

მსხვილი ბლოკებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას სულ მეტი და მეტი გასაქანი ეძლევა...

ფოტოზე: დიდი ბლოკების მოედანი დიდუბეში.



ბით მარაგდება არა მარტო საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, არამედ ისეთი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები, როგორიც ინგლისია.

მთელი საბჭოთა კავშირის კომუნიზმის მშენებლობებზე და საკოლმეურნეო ველებზე ჭუთაისის ავტოქარხნის მარკის თვითმცლელები, ცემენტმზიდავები და ავტომატარებლები მუშაობენ.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ლითონმჭრელი ჩარხები მუშაობენ მოსკოვსა და ლენინგრადში, იაკუტსკსა და აშხაბადში, და ამ ქარხანაში დამზადებული უახლესი კონსტრუქციის ჩარხები „163“, შორს გასცდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს..

საქართველოს ქარხნებში მარტო 1957 წლის განმავლობაში დამზადებული ფეხსაცმელით შეიძლება შეგვემოსა საქართველოს, ესტონეთის, სომხეთისა და თურქმენეთის მოსახლეობა და კიდევ დაგვრჩებოდა 700.000 წყვილი, ეს „მონარჩენი“ 3,5-ჯერ აღემატება იმას, რაც საქართველოში 1927 წელს დამზადდა.

რომ საქართველოში მოყვანილი და დამზადებული ჩაი შეადგენს საბჭოთა კავშირის ჩაის წარმოების 97%-ს. და რომ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა, 1913 წელთან შედარებით, 30-ჯერ და მეტადაც გაიზარდა—სამრეწველო პროდუქციის გამოშვება უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში 3-ჯერ გადიდდა.

ფულად გამოსახულებაში — საერთო პროდუქციის მოცულობამ 1957 წელს 14 მილიარდი და 553 მილიონი შეადგინა.

ცნობილია, რომ ჩვენი მრეწველობა განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ომის შემდგომ წლებში. 1957 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1940 წელთან შედარებით 230%-ით გადიდდა.

ამ ზრდის ნატურალური გამოხატვა — მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ასეთია:

1957 წელს — 1955 წელთან შედარებით — გამომუშავებულ იქნა — ქაღალდი — 4.455 ტონით მეტი, კონსერვები — 20 მილიონი ქილით მეტი, ყურძნის ღვინო — 734 ათასი დეკალიტრით მეტი—მრეწველობის ზრდის წლიური ტემპი 7%-ს შეადგენს.

ახლა რესპუბლიკის მგეგმავი და სამრეწველო დაწესებულებანი ადგენენ მრეწველობის განვითარების შვიდწლიან გეგმას (1959-1965), რომლის მთავარი გეზი მოცემულია სკკპ-ის დადგენილებაში „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შესახებ“.

დაჩქარდება დარიალისა და ინგურის უმძლავრესი ელექტროსადგურების მშენებლობა.

და ყოველივე ეს იმ ანგარიშით, რომ 1965 წელს 1956 წელთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება 4-ჯერ გადიდდეს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობას შეემატება ახალი საბადო — შაორისა, რომლის უკვე დადგენილი მარაგი 700 მილიონ ტონას შეადგენს.

ახალციხეში აიგება ქვანახშირის ბრიკეტების ქარხანა. კოლხეთში გამოვლინებულია იმნათის ტორფის დიდი საბადო, რომელიც 1961 წელს მისცემს რესპუბლიკას 250 ათას ტონა ტორფის ბრიკეტებს.

კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოს ინდუსტრიის სიამაყის — რუსთავის მრეწველობა. 1963-64 წლებში ექსპლოატაციაში შევა სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მესამე ბრძმედი, 1960 წელს — წვრილფურცლოვანი საგლინავი დგანი, 1959-63 წლებს აშენდება რუსთავის ლითონის ნაკეთობათა ქარხანა.

რუსთავი გადაიქცევა არა მარტო მეტალურგიის, არამედ საქართველოს ქიმიური მრეწველობის ცენტრად.

1959 წელს აქ დაიწყება კაპრონის ბოჭკოს დამამზადებელ ქარხნის მშენებლობა. 1960 წელს პერმანგანატის ქარხნის გაფართოება, მინერალური სასუქების გამოშვება ორნახევარჯერ გაიზრდება.

მძლავრი ტემპებით განვითარდება მანქანათმშენებლობა. 1958 წელთან შედარებით მისი პროდუქციის გამოშვება 1965 წლისათვის სამნახევარჯერ გაიზრდება...

ბათუმიდან — თბილისში მომავალ მგზავრს თვალწინ სამრეწველო ქვეყნის ინდუსტრიული პეიზაჟები გადაეშლება...

გახედეთ დავით კაკაბაძის სურათებით დაკანონებულ იმერეთის პეიზაჟს, მასში მოულოდნელად პატარა სოფლის ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობები შემოიჭრა.

ჭითურის მარგანეცის მადნით და ჭუთაისური ავტომობილებით დატვირთულ ეშელონებს მძლავრი ელექტრომავლები მიაქანებენ... რკინიგზის გაყოლებით ბუმბერაზულად მიაბიჯებენ მაღალძაბვის ელექტროდენის გადამცემი ხაზების ანძები.

ჩემს წინ იშლება სურათები ქვეყნისა, რომელმაც ორმოცი წლის განმავლობაში გაიარა გზა თოხით შეიარაღებული გლეხიდან, აი, იმ ფრიალოებზე რომ სიმინდს თოხნიდა — შესანიშნავ, მსოფლიოში საუკეთესო ჩაის მკრეფავი მანქანებითა და უახლესი საკუთარი ტექნიკით აღჭურვილ მძლავრ კოლმეურნეობებამდე, გადაშალა გზა ქვეყნისა, რომელშიც ლიხის უღელტეხილიდან თბილისამდე — ორიოდე სპირტის სახდელი ქარხანა და ავჭალის შუშის ქარხანა იყო მხოლოდ. ახლა კი ყოველი სადგური რომელიმე დიდი წარმოების ადგილსამყოფელია.

აგარა — შაქრის მძლავრი ქარხანა; გორი — ბამბეულის კომბინატი; მეტეხი — მშრალად დაწნეხილი აგურის მექანიზირებული ქარხანა; კასპი — ცემენტის უდიდესი ქარხანა და თეძმის ტუფის წარმოება; ქსანი — კრამიტისა და აგურის ქარხანა, ძეგვი — კირის საწვავი ქარხნები, მცხეთა — ხის დამუშავებელი და ასანთის ქარხანა; მერეზაჰესი, და იწყება საქართველოს ინდუსტრიული ცენტრის — თბილისის პანორამა — ავჭალა, ღრმა-ღელე, დიდუბე... და ცხადია, რომ ხალხი, რომელმაც ააგო ეს ქარხნები და ელექტროსადგურები, ქალაქები და დაბები — ყველაფერს შესძლებს. თვით ეს შვიდწლიანი გეგმაც სდგება არა მყუდრო კაბინეტების აკადემიურ სიჩუმეში — არამედ წარმოებებში.

ტყიბულელმა მეშახტემ, სოციალისტური შრომის გმირმა პოლიეკტ ჭეიშვილმა, რომელიც 40 წელი შრომობს ტყიბულის მაღაროებში — გასული წლის გაზაფხულზე პირველი წერაქვი დაჰკრა საბელასურის მარცხენა ნაპირზე და დაიწყო ახალი მაღაროს „სამხრეთ აღმოსავლეთის № 2 — მშენებლობა“. იგი დაამთავრებს ამ მშენებლობას, და მას სჯერა, რომ ეს მაღარო უახლესი ტექნიკით იქნება აღჭურვილი. და როდესაც წითელ კუთხეში იგი კითხულობდა ლექციას, ასე უთხრა ახალგაზრდებს: „დაიხსომეთ, ბიჭებო, დადგება დღე და ადამიანის ხელი აღარ შეეხება ნახშირს, რადგან მეექვსე ხუთწლედი ითვალისწინებს უახლესი მანქანების და მექანიზმების გამოყენებას ფართო მექანიზაციისთვის. ამიტომ კარგად უნდა აითვისოთ ტექნიკა“.

ჩვენ გვჯერა, რომ ეს ასე იქნება და მართალია ბათუმელი ხარატი მიხეილ დუნდუა, რომლის ბრიგადა დღეში 2,5 ნორმას ასრულებს, როდესაც ამბობს:

„37 წელი არ არის დიდი ვადა ისტორიისათვის, მით უმეტეს, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის. ადამიანთა ერთი თაობის თვალწინ ქართულმა მიწამ საზღაპროდ იცვალა სახე და მას უწერია კიდევ უფრო გაფურჩქვნა და აყვავება, რადგან საქართველო ჩამდგარია ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს რესპუბლიკების ძმურ მწყობრში, რომელიც კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ძლევამოსილად მიდის კომუნიზმის სრული გაბარჯვებისაკენ“.

მერაბ მელითაური

კალიუმის პერმანგანატის საამქრო კარგა ხანია ამუშავდა, მაგრამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. აღლაძე არც ახლა აკლებს მას თავის მზრუნველობას და ყოველდღიურად ადევნებს თვალს მის მუშაობას.

საქართველოს ქიმიური მრეწველობის მოწინავე საწარმო — რუსთავის აზოტ-ტუკის ქარხნის კალიუმის პერმანგანატის საამქრო.



სიტყვა

ენრიკე სერპა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— არ გინდა რამე გიყიდო? სოფელში მივდივარ, — შეეკითხა ხუან ფრანცისკო დედას, რომელიც გულგრილად, უძრავად გარინდებული და პირქუშ სიჩუმეში შთანთქმული, ცეცხლის პირას იჯდა. ეს იყო მაღალი, გაძვალტყავებული ქალი. ნაოჭიან, ჩაცვენილ ლოყებიდან მეტისმეტად წინ წამოწეული ყვრიმალები ამობურთვოდა. ჭაღარა თმები კი ნაცრის გროვასავით ეყარა თავზე. იგი გაფართოებული თვალებით იმზირებოდა შორს, გარშემო მდებარე საგნების ზემოთ. შვილი რომ დაელაპარაკა, არც კი განძრეულა, თითქოს არ ესმოდა მისი. მიუკარებელი, გაქვავებული, არაფრისმთქმელი თვალებით მიშტერებოდა ცეცხლს და ხის კოვზით რაღაც საკმაზს ურევდა ქვაბში. ბოლოს წარმოთქვა:

— არა, მე არაფერი არ მინდა. შეგიძლია წახვიდე.

ქალს ხმა აუკანკალდა შეუკავებელი ბრაზით, თითქოსდა შვილის იქ ყოფნა აღიზიანებდა. ვაჟი მიხვდა ყველაფერს, მაგრამ მაინც ვერ გადასწყვიტა წასვლა. იგი შეიპყრო ღრმა მწუხარებამ, რომელიც გულს უკლავდა, კუნთებს უსუსტებდა და ართმევდა ძალ-ღონეს. ყოველგვარ მის მოძრაობას სჭირდებოდა განუზომელი ძალა, მაგრამ მას უნდა გაეკეთებინა ყოველივე ეს. დიდი გაჭირვებით შემობრუნდა, მხრებჩამოშვებული, თითქოს ზურგით მძიმე ტვირთს ეზიდებოდა, და ნელი ლასლასით სამზარეულოდან გავიდა. დამცირებული და განადგურებული იყო უსამართლობით, რომლის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. სინდისის ქენჯნით გატანჯული, უნებლიეთ ხელებშებორკილი, მთვრალივით აბორიალებული კაზმავდა ცხენს.

აი, უკვე რამდენიმე კვირაა, რაც დედა მას უცხოსავით ეპყრობა, ეპყრობა როგორც მტერს. სიმართლე რომ ითქვას, განსაკუთრებული სინაზით არასოდეს ეპყრობოდა. შვილს ვერ მოეგონებინა წარსულში ვერც ერთი დღე, რომ ეგრძნო დედის ალერსი სხვა დედების მსგავსად. თუმცა ხუან ფრანცისკოს არასდროს ეპარებოდა ეჭვი დედის სიყვარულში. მაგრამ ახლა, უკანასკნელ სამ კვირაში, როცა დედამისმა გაიგო, ხულიო პერესი დაბრუნდაო, ყველაფერი შეიცვალა. ამ საშინელი ამბის გაგებისთანავე, იმავ ღამეს, ის ვეღარ დაელოდა ხუანის დაბრუნებას და გაიქცა მის საძებრად. ხუანი სახლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ამუშავებდა მიწის ნაკვეთს და იქ წყნარი საღამოს სიჩუმეში, მშვიდ და უღრუბლო ცის ქვეშ, ღრმად გადახნულ მიწაზე, სადაც სიცოცხლე უნდა აღმოცენებულიყო, მან შვილის გულში სიკვდილისა და შურისძიების თესლი გადისროლა.

— ხულიო პერესი დაბაშია, — განუცხადა მან. დედის სიტყვების მკვეთრი და მკაცრი კილო დაუნდობელი იყო, როგორც ბასრი დანა.

ხუან ფრანცისკომ პასუხი დაიგვიანა. იგი ჩაჩოქილი ფხეკდა სახნისზე მიწებებულ მიწას. მან იგრძნო, თუ როგორ ჩამოეღვენთა შუბლიდან ლოყებზე ოფლის მძიმე წვეთები. ხუანი წამოდგა და ფეხით სრესა დაუწყო მიწის გოროხს, თან უნებურად არიდებდა თვალს დედის გამოხედვას, ბოლოს ვეღარ მოითმინა და უპასუხა:

— დიახ, ვიცი, უკვე მითხრეს.

ქალს სახე მწარედ დაემანჭა გაკვირვებისაგან.

— აჰ, შენ უკვე გითხრეს! — დაარღვია მან დაძაბული სიჩუმე — მერე და, რას აპირებ?

— მე?.. არაფერს! რა შემიძლია გავაკეთო?

— ის მამაშენის მკვლელია, სულმდაბალი მკვლელი. მუხანათურად მოკლა იგი საფარიდან, ეს ყველამ იცის! სხვაგვარად ვერ შესძლებდა გასწორებოდა...

ქალმა ხელები მოკუმშა, სუნთქვა შეეკრა, ანთებული თვალებით უცდიდა შვილს, რომ გაეგო მისი გადაწყვეტილება... როცა დაინახა, ხუანი ადრინდებულად სდუმდა, ბნედიანივით გაიმეორა:

— ის მამაშენის მკვლელია... მამაშენის!..

ხუან ფრანცისკომ უნებურად და ოდნავ შესამჩნევად აიჩეჩა მხრები:

— მან ხომ მოიხადა სასჯელი, შენ ხომ იცი, ციხეშიც იჯდა.

ტრაგიკულად და უფრო დაძაბულად მოისმა დედის ხმა:

— ის მამაშენის მკვლელია. სახრჩობელა დაიმსახურა, მაგრამ არ დასჯეს, არც კი მოუხდია სასჯელი ბოლომდე, აპატიეს! მკვლელს აპატიეს, ოჰ ღმერთო, სად არის სამართალი ღარიბებისათვის!

— მაგრამ ასეა თუ ისე...

ხუან ფრანცისკომ არ დაამთავრა, არ იცოდა — რა ეთქვა, დედამ იმავე კილოთი გაიმეორა:

— ახლა რას აპირებ?

— მე? არ ვიცი! რა შემიძლია გავაკეთო? მითხარი!

ქალმა მძიმედ გადააქნია თავი.

— არავის არ შეუძლია გითხრას, რა უნდა გააკეთო შენ, დედასაც კი არ შეუძლია. სინდისს შეეკითხე. დაე, შენმა სინდისმა გითხრას.

მაგრამ ხუან ფრანცისკომ იცოდა, კარგად იცოდა, თუ რა სურდა დედას. საშინელი სიცხადით წარმოუდგა თვალწინ მამის სიკვდილის დღე. გახევებული მიცვალებული, ჭუჭყში და სისხლში მოსვრილი, მაგიდაზე განრთხმული, საშინელი შესახედავი იყო. თვალისა და თავის ქალის უდიდესი ნაწილის ნაცვლად, პირი დაეღო უზარმაზარ ხვრელს, შუშასავით დანისლული მეორე თვალი დაჭყეტოდა. პირზე შეხმობოდა სისხლის წვეთები. ჭრილობებზე ბზუილით ირეოდნენ ბუზები. იმ წუთს შეშინებულ ხუან ფრანცისკოს არ შეეძლო განესაზღვრა და ეგრძნო თავისი უბედურების სიღრმე და უეცარი ობლობის სიმწარე. შეეცადა ჩუმად გაპარულიყო სახლიდან, მაგრამ დედამ ულმობელი ხელი ჩაავლო კისერში. კინწისკვრით მიაგდო მიცვალებულთან, მერე, გაქვავებულმა და თვალებგამშრალმა, სიძულვილისაგან ჩახლეჩილი ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა:

— უყურე მას! უყურე კარგად მამაშენს! ეს მამაშენია, მამაშენი, და იგი მოკლეს, წაგართვეს შენ! დღეიდან ვეღარასოდეს ნახავ მას! დაიმახსოვრე, ვინ მოკლა! შენ გაუსწორდები მას!

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დედა სიცილს გადაეჩვია და თითქოს იმისთვის ცხოვრობდა, რომ მტკიცედ დაემარხა სიძულვილისა და შურისძიების წყურვილი. ის ცდილობდა გაეღვივებინა შურისძიების გრძნობა შვილის გულში და ამიტომაც ხუანის ბავშვობაც მოწამლული იყო სიძულვილის შხამიანი სუნთქვით.

ხოლო მას შემდეგ, რაც ხუან ფრანცისკოს ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა, შეწყდა შურისმაძიებელი და ქარაგმული ლაპარაკი, მრავალმნიშვნელოვანი დუმილიც კი. დედა კმაყოფილდებოდა იმით, რომ ბრძანებდა:

— წამოდი, გავლესოთ შენი დანა.

ხანდახან ბავშვი ცდილობდა მომიზეზებას:

— არაა საჭირო, დანა კარგად ჭრის.

მაგრამ დედა მის ლაპარაკს არასოდეს ყურადღებას არ აქცევდა. ბავშვს შეკამათების უფლება არ ჰქონდა. დედის უფლებამოსილი, გააფთრებული ხმა ბრძანებდა:

— წამოდი, გავლესოთ შენი დანა.

. . .

დუქანში ხუან ფრანცისკოს გამოჩენისთანავე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამ საღამოს, როგორც ყოველთვის, აქ ხალხი დომინოს სათამაშოდ შეკრებილიყო. როცა ხუან ფრანცისკო შემოვიდა, ერთი გამხდარი კაცი რაღაც ამბავს ყვებოდა. მას მწვანე პიჯაკი, ცისფერი, თეთრად დაწინწკლული ყელსახვევი და ყვითელი ფეხსაცმელები ეცვა. ხოლო გადაჭიმული თხელი და ხმელი სახის კანი მკვდარივით ფერმკრთალი მოჩანდა მზემოკიდებულ გლეხთა სახეებს შორის. პირის მარჯვენა კუთხეში დაუდევრად გაჩრილი სიგარა ოდნავ ხრჩოლავდა წვრილად შეკრეჭილ ულვაშებს შორის. დარდიმანდულად კეფაზე მოგდებული ჩალის შლაპა კიდევ უფრო აშკარად აჩენდა მის თავხედ და ურცხვ გარეგნობას და რაღაც ბუნდოვან მანკიერების იერს ანიჭებდა მთელ მის სახეს. ეტყობოდა, აქაური არ იყო. ხუანს არასოდეს ენახა ეს კაცი სოფელში. ხუან ფრანცისკოს გამოჩენამ საერთო შეშფოთება გამოიწვია. მისი სალამის პასუხად არეული ყრუ ხმა გაისმა, უცნობიც კი გაჩუმდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ, ბოლოს, სიჩუმე დაარღვია ერთ-ერთმა მოთამაშემ:

— ცალთვალაა, — თქვა მან და ხაჭუნით გააგორა მაგიდაზე კამათელი, — თუ შაში დაჯდა, ტყუილად ნუ გაირჯები, წაგებული გაქვს.

— დიახ, მე ასეთი კამათლები უამრავი მაქვს, — განზრახ ხმამაღლა წამოძახა მეორემ, რათა გამეფებული დაძაბულობა შეენელებინა.

ხუან ფრანცისკო ვერც მიხვდა, როგორი დაძაბულობა გამოიწვია მისმა მოსვლამ. მან დახლს მეორე მხრიდან შემოუარა. დახლის პატრონი დონ ბრაულიო უკან დაედევნა, მან დაინახა, რომ ის სავსებით მშვიდად იყო და ანიშნა მოთამაშეებს. ამის გამო მათი ცნობისმოყვარეობა შენელდა და კვლავ განაგრძეს თამაში. მაგრამ ჰაერში მაინც დაჰქროდა რაღაც საშიშროება, რომელიც გაიფანტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვითკმაყოფილმა უცნობმა განაახლა ხუან ფრანცისკოს გამოჩენის გამო შეწყვეტილი ამბავი. დაამთავრა თუ არა თხრობა, გამოემშვიდობა ყველას და დუქნიდან გავიდა.

მისი წასვლის შემდეგ დიდი ხნით დუმილმა დაისადგურა.

— ყოჩაღი ბიჭია! ციხემაც კი ვერ გამოსცვალა, — წარმოთქვა ერთმა მოთამაშეთაგანმა.

ხუან ფრანცისკოს გული შეუფართხალდა.

— ვინ არის? — შეეკითხა ის დონ ბრაულიოს. მან რაღაც ჩაიბურდღუნა, ხუან ფრანცისკომ ვერაფერი გიგო.

— ე! უმაქნისი ყოყოჩაა! ყველაფერი ეს ტრაბახია და ლაყბობა, — მოუჭრა მეორე მოთამაშემ.

ამ დროს გაისმა ბოროტებით აღსავსე ხმა:

— პანჩო ლოპესის შესახებ მას არ უცრუენია.

ხუან ფრანცისკოს მოეჩვენა, თითქოს ელვამ სახე დაუწვა. ღელვებისაგან აკანკალებულმა და შეშფოთებულმა ხრინწიანად წამოილაპარაკა:

— ესე იგი... ის იყო?

ფოლადისავით მოელვარე გამოხედვამ დაბნია მედუქნე, რომელიც უხალისოდ დაემოწმა.

— დიახ... მხოლოდ იცი თუ არა, ვაჟო...

ხუან ფრანცისკოს არც კი ესმოდა დონ ბრაულიოს სიტყვები. შინაგანად იგრძნო, ის მამაჩემის მკვლელიაო, და მისი არსების საიდუმლო უფსკრულში ელერდა მბრძანებლური, ყოვლის შთანმთქმელი და ძალოვანი სისხლის ხმა, მან დაკარგა აზროვნების უნარი, დაავიწყდა სინდისის ქენჯნა, რომელიც მას კაცისმკვლელობის ყოველგვარ აზრს უხშობდა. ყველაფერი გაქრა, შურისძიებისადმი ინსტინქტური, ულმობელი და შმაგი მისწრაფების გარდა. ვერც კი გაიგო მის ზურგს უკან ამტყდარი ჩოჩქოლი. იგი სწრაფად შემობრუნდა. გონებადაბნელებული გამოვიდა ქუჩაში და ცხენს შემოახტა.

როდესაც სოფლიდან გამოემგზავრა, ეზოს მოშორებით მან გაარჩია მანძილის სიშორის გამო დაპატარავებული ადამიანის ფიგურა. „ის არის“ — გაიფიქრა ხუან ფრანცისკომ და ცხენს დეზები შემოკრა. გააფთრებული მიეჭრა კაცთან, ის დარწმუნებული იყო, რომ არ შემცდარა, რომ ეს იყო ხულიო პერესი, მხრჩოლავი სიგარით, მოკლე ულვაშებითა და ურცხვი, გამომწვევი გამოხედვით. ერთი ნახტომი და, ხუან ფრანცისკო პერესის პირისპირ აღმოჩნდა. პერესს უცებ მოაგონდა, რომ ეს ყმაწვილი რამდენიმე წუთის წინ დუქანში ნახა და ტუჩებზე ალერსიანი ღიმი მოერია, მაგრამ ხუან ფრანცისკოს პირველსავე სიტყვაზე, ღიმილი უცებ გაქრა და სახე საშინლად დაემანჭა.

— მე პანჩო ლოპესის შვილი ვარ. ხომ გახსოვთ პანჩო ლოპესი? ახლავე მოგკლავთ. ისე კი არა, როგორც მოკალით მამაჩემი, ძაღლივით, ქურდულად. თავი დაიცავით!

შიშისაგან შეძრწუნებულმა ხულიო პერესმა ხელი ასწია. იმავ წამს ალმა იფეთქა და რევოლვერიც გავარდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია ხუან ფრანცისკომ მოწინააღმდეგის ხელში ჩაბღუჯული რევოლვერი, მაგრამ შეშინებულმა პერესმა მიზანში სწორად ვერ ამოიღო და ტყვიამ ყურთან გაიწივლა. მეორე გასროლა უფრო მარჯვე გამოდგა, ტყვიამ ხუან ფრანცისკოს ლავიწს ზემოთ გაუარა. სიბრაზისაგან რეტდასხმულმა, სიძულვილით გახელებულმა ხუანმა მაჩეტა[1] იძრო და ხელუკუღმა მოუქნია მტერს, ისე როგორც ლერწამს მოჭრიან ხოლმე.

და თითქოს ბუნდოვან სიზმარში დაინახა, თუ როგორ ჩამოეკიდა მხარს ჩამოკვეთილი პერესის მარცხენა ხელი. მან ისევ აღმართა მახვილი.

— ნუ მომკლავ, თუ ღმერთი გწამს, ნუ მომკლავ, — შეევედრა კაცი და ცხენიდან ძირს ჩამოვარდა. ის რაღაც ბავშვური მოძრაობით ცდილობდა სახე დაეფარა მხარზე ჩამოკიდებული მარცხენა ხელით.

მაგრამ ხუან ფრანცისკო შეუკავებელი შურისძიებისა და მტრის განადგურების ჟინით იყო შეპყრობილი. მასში იყო დედის შთაგონებათა მთელი შხამი, მთელი სიმწარე და სატკივარი ღვიძლი დედისა, დაუნდობელი სიძულვილი, რომელსაც ჰაერთან ერთად სუნთქავდა მშობლიურ სახლში. ყოველივე ამან გამსჭვალა იგი დაუნდობლობისა და შეუბრალებლობის გრძნობით. მან ვერც კი გაიგო მტრის შუდარა, არც ესმოდა მისი ხმა. განა ის გრძნობდა,

[1] მ ა ჩ ე ტ ა — გრძელი დანა.

თუ რას ჩადიოდა, როცა მისი მახვილი კვლავ დაეშვა და ჩაახშო სასოწარკვეთილი გოდება იმედდაკარგული ხულიო პერესისა. მძიმე და საშინელი დარტყმისაგან კეფა შუაზე გაიპო, კაცი შეხტა, იქვე დაასკდა მიწას, და მოიკრუნჩხა თავმოკვეთილ ჩიტივით. მისი ხელ-ფეხი ზამბარასავით იკრუნჩხებოდა და იშლებოდა. კრუნჩხვა თანდათან შენელდა და ბოლოს სულ შეწყდა. პერესი უსულოდ გაშლართულიყო, გაზზე გადაეგდო მარცხენა ხელი, მარჯვენა კი მაგრად მიეკრა მკერდზე. მუშტები შეეკუმშა, თავქვეშ სისხლის ტბორი იდგა. ხუან ფრანცისკო მიხვდა, მტერი უკვე მკვდარი იყო. როცა შურისძიების წყურვილი დაცხრა და დაჭიმული ნერვებიც მოეშვა, ყმაწვილმა საშინელი დაღლილობა იგრძნო. იგი ნება-ნება დაეშვა მიწაზე და ღრმა ბურანში შეეჭრა. მას მოეჩვენა, თითქოს იგი უგრძნობლად შთაინთქა ბნელ ღრუბელში. და იქ იჯდა უმოძრაოდ, გაქვავებული. ასე გავიდა უსაზღვროდ ბევრი დრო და ბოლოს მის გაბრუებულ თავში ბუნდოვანი აზრები აციმციმდნენ. მან იგრძნო, რომ მარცხენა მხარეს, გულთან ნელთბილი სითხე მოსჩქეფდა. მოიფათურა ხელი ხალათზე და თითი რაღაც წებოვანს შეახო. „ეტყობა სისხლია, დაჭრილი ვარ“,— უსიცოცხლოდ წაილუღლუღა მან. თუმცა იგი არავითარ ტკივილს არ გრძნობდა, გარდა საშინელი დაღლილობისა. ბარბაცით მივიდა ცხენთან, ტანი არ ემორჩილებოდა და რომ არ წაქცეულიყო, ხელებით და შუბლით დაეყრდნო უნაგირს, ესიამოვნა გრილ ტყავზე მიკარება, გავიდა რამდენიმე წუთი, ცხენმა ნაბიჯი გადადგა, ხუან ფრანცისკო ძალმოკრეფით ჩაებღუჯა უნაგირს, რომ არ წაქცეულიყო.

ამ დროს გონების დამხშველი ბურუსი გაარღვია მკვეთრმა და ბრძანებლურმა აზრმა: „დედამ უნდა გაიგოს, დედამ უნდა გაიგოს“. ცხენზე შეჯდომა დაპირა, სამჯერ სცადა, დიდხანს იწვალა და ბოლოს გაჭირვებით უნაგირზე მოექცა. იგი იჯდა მოკუზული, თავჩაკიდებული, უნაგირზე ხელებჩაბღუჯული. მას თავის გადარჩენის ინსტინქტიც არ გაჩნდა. ძალიან უძნელდებოდა აღვირის ხელში დაჭერა, მაგრამ ცხენმა ალღოთი გასწია სახლისკენ.

აი სახლიც, ხუან ფრანცისკოს ძალ-ღონე ეყო მხოლოდ იმისთვის, რომ გრძნობადაკარგული ჩამოშვებულიყო მიწაზე.

დედას შიშისაგან მკვდრის ფერი დაედო და ვაი-ვიშით მივარდა:

— შვილო, შვილიკო, რა დაგემართა?

ხუან ფრანცისკომ გასისხლიანებულ ხალათზე მიუთითა და წაილუღლუღა:

— მე შევებრძოლე ხულიო პერეს...

დედის სახე უცებ გაქვავდა: ალაპარაკდა არა ის, არამედ გამყინავი ხმა სიძულვილისა და შურისძიებისა.

— მერე?

— მოვკალი!

ათი წლის მანძილზე ქალს პირველად გაეღიმა. წარმოუდგენელი სიამოვნებისა და სინაზის ტალღამ ანაზდეულად შესძრა ქალის შემსუბუქებული სული, წლითიწლობით რომ ათბობდა მის გაშეშებულ სხეულს. მან აცახცახებული ხელი ალერსით გადაუსვა შვილს თავზე და აღფრთოვანებული ხმით წამოიძახა:

— შვილო, შვილიკო, ახლა კი ნამდვილი შვილი ხარ ჩემი!

თარგმანი **ბორის მირცხულავასი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიგერ პოცელი

სპორტის ბედისწერა

ინგლისის ფეხბურთის საუკეთესო გუნდი, რომელიც უკანასკნელ წლებში შარავანდედით მოსავდა მშობლიური სპორტის სახელს, ტრაგიკულად დაილუპა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ თვითმფრინავის ნანგრევებქვეშ იწვა ბავარიის თოვლში.

დაახლოებით ორი წლის წინ სხვადასხვა ქვეყნის სპორტის სპეციალისტებმა ინგლისს ყველაზე საპატიო ადგილი მიაკუთვნეს ფეხბურთში. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1958 წლის პირველობის აშკარა პრეტენდენტს წარმოადგენდა. ასეთი იყო საერთო აზრი და ბევრმაც საკუთარი თვალით ნახა, რომ თერთმეტი კაცისგან შემდგარი ეროვნული გუნდი ყველაფერს აკეთებდა თავიანთი ქვეყნის ფეხბურთის ოდესღაც შელახული რეპუტაციის აღსადგენად.

1945 წელს შოტლანდიის ნაციონალური ფეხბურთის გუნდის ყოფილმა მოთამაშემ მატ ბაზბიმ ეკონომიური თვალსაზრისით უაღრესად მძიმე და რთულ პირობებში ჩამოაყალიბა ფეხბურთის გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელიც 1947 წელსვე თავიანთი ქვეყნის პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილზე გამოვიდა. ამ გუნდმა 1948 წელს იგივე ადგილი შეინარჩუნა და თან თასის მფლობელიც გახდა. შემდეგ მომდევნო ორ წელს გუნდი იმავე ადგილზე დარჩა. 1952 წლის სეზონში მატ ბაზბიმ მთლიანად დაშალა თავისი გუნდი და 16-19 წლის ასაკის მოთამაშეები მოიწვია, რომელსაც შემდეგ „ბაზბი ბების“ (ბაზბის ბიჭები) დაერქვა. ეს ახალგაზრდები 1953 წლის პირველობის გათამაშებაში გამოვიდნენ მერვე ადგილზე, 1954 წელს — მეოთხე ადგილზე, ხოლო 1956 და 1957 წლებში მათ უკვე ინგლისის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვეს. ისინი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეებად ითვლებოდნენ, მათ ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში რევოლუცია მოახდინეს. ისინი თამაშობდნენ ახალი თანამედროვე დაცვისა და თავდასხმის სტილით. გამუდმებით უტევდნენ კარს. ეს გუნდი ძირითად ბირთვს წარმოადგენდა, საიდანაც უნდა შემდგარიყო ნაციონალური ნაკრები.

და ახლა მათგან რვა ახალგაზრდა მოთამაშე მკვდარია. აქედან ოთხი: ტომი ტეილორი, როგერ ბირნე, დავით პეგი და დუნკან ედვარდი ინგლისის ნაკრები გუნდის მოთამაშეები იყვნენ.

ეს ჩინებული გუნდი თვითმფრინავით დაბრუნდა ბელგრადიდან, სადაც ევროპის თასის პირველობაზე „წითელი ვარსკვლავის“ წინააღმდეგ ითამაშა. თვითმფრინავი მიუნხენში დაეშვა. შემდეგ ორი უშედეგო ცდა აფრენისა, მესამე აფრენა უნდა მომხდარიყო 6 თებერვალს 16.04 საათზე... მაგრამ მოვუსმინოთ თვით ამ ამბის მოწმეს:

„კაფეში ვიჯექი და თვითმფრინავების აფრენას ვუყურებდი... მეორდებოდა ერთი და იგივე სურათი. ერთი მეორის მიყოლებით ადიოდნენ მანქანები ცაში. სასტარტო მოედანზე მორიგი თვითმფრინავი ელოდა აფრენის ბრძანებას. აი უკვე ისიც გასრიალდა. სისწრაფე თანდათან მატულობდა. აქეთ-იქით ცვიოდა თვლებიდან ასხლეტილი თოვლის ნაფლეთები. უკვე დრო იყო თვითმფრინავის დედამიწიდან მოწყვეტისა, მაგრამ ის მაინც მიწაზე მიჰქროდა უფრო სწრაფად და სწრაფად. ვერა და ვერ აფრინდა. გავიფიქრე, ნეტავ რაშიამეთქი საქმე, თვითმფრინავი უკვე მიუახლოვდა აეროდრომის მოედნის კიდეს, მაგრამ მას აფრენის არავითარი ნიშანი არ ემჩნეოდა, მიწაზე მიჰქროდა სწრაფად. და აი უცებ მანქანიდან ამოვარდა უზარმაზარი ალი. მე დავიყვირე და წამოვხტი. ალს შავი კვამლი ამოჰყვა. ჩემს გვერდით ვიღაცამ წამოიყვირა: — რა საშინელებაა, რა საშინელება...

22 მკვდარი, აქედან 8 მოთამაშე და 8 ინგლისელი სპორტული ჟურნალისტი. მთელმა ქვეყანამ გაიზიარა ეს მწუხარება. ბელგრადის „წითელმა ვარსკვლავმა“ „იუნაიტედის“ უკანასკნელმა მოწინააღმდეგემ, წინადადება შეიტანა, რომ შეწყდეს მიმდინარე წლის ევროპის პირველობის გათამაშება და დაღუპულ გუნდს მიეკუთვნოს პირველობის თასი.

თვითმფრინავში, რომელიც სტოკჰოლმს მიფრინავდა, იტალიის ფეხბურთის საზოგადოების წარმომადგენელი დოქტორ ბარასი იჯდა. მან კომპენჰაგენში გაიგო მიუნხენში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ და მწარედ ატირდა. მისი ფიქრები წარსულს გადასწვდა...

იტალიის ფეხბურთელთა გუნდი „ტორინო“ დღისით დაჯდა ლისაბონის აეროდრომზე ორმოტორიან თვითმფრინავში. მოთამაშეები კარგ გუნებაზე იყვნენ. მათ პორტუგალიის ნაკრებ გუნდს „ბენფიკას“ 3:1 მოუგეს. ეს მორიგი წარმატება იყო, რასაც მიჩვეულები იყვნენ ყოჩაღი ტორინელები. ისინი 1946 წლიდან მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებად ითვლებოდნენ. თვითმფრინავი მშობლიურ აეროდრომისაკენ დაეშვა. ნისლის გამო არაფერი ჩანდა. მაგრამ დარტყმამ ლითონის ფრინველი შეანჯღრია. თვითმფრინავი ამოტრიალდა. სიკვდილს ვერავინ გადაურჩა. ერთი დარტყმით გაქრა იტალიის ხოთგზიის ჩემპიონი „ტორინო“. მაშინ რიო დი ჟანეიროში მოეწყო მსოფლიო პირველობა ფეხბურთში. წელს კი შვეიცარიაში. მაშინ დაიღუპა „ტორინო“, დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ — სამწუხარო პარალელია.

„ველტიუგენდ“
(„მსოფლიო ახალგაზრდობა“)

გერმანოლოგიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

ბაბუ

მოთხრობა

კლიმენტი გოგიბერაძე

პარასკევი გათენდა. საყვირის ხმა ოთახში ყრუდ რომ შემოვიდა, ლევან გონიაშვილი საუზმობდა. მართამ შემნახველი სალაროს წიგნაკი და მის მიერ იმ თვეში დაზოგილი ორი ათთუმნიანი მიაწოდა.

— აბა, დღეს ბარემ ეს ფულიც შეიტანე.

— ხელფასის დროს მეც დავუმატებ და ერთად შევიტან!

— ხელფასამდე კარგი ერთი კვირა წინ გვიდევს, შემოგვეჭმება.

ლევანმა ფული და წიგნაკი ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ საწოლზე დაიხარა, მძინარე გურამს ლოყაზე აკოცა და ოთახიდან გავიდა.

ლევან გონიაშვილი მთავარი საწყობის გამგეა, რა გინდა, სულო და გულო, რა არა აქვს საწყობში!

ამბობენ, თაფლში ურევსო ხელს, მაგრამ თითებს ვერ ილოკავს, შნო არა აქვსო.

შარშან ლევანი ერთი თვის ხელფასით დააჯილდოეს. ბრძანებაში პირდაპირ ეწერა: უმწიკვლო მუშაობისათვისო... ექსპედიტორ სიმონ ყოჩიშვილმა ლევანი რომ ამხანაგებში დაინახა, შორიდან ხელი აუწია და დაუძახა:

— უმწიკვლო ლევანს გაუმარჯოს!

იმ დღიდან ყოჩიშვილის ამფსონებმა ლევანს „უმწიკვლო“ შეარქვეს. საწყობის გამგეს ეს ნათლობა გულთან არ მიუტანია, ახალგაზრდები არიან, ენა ექავებათო.

ლევანი საწყობში უბრალო მტვირთავად მოვიდა, მაშინ არც ერთი ჭალარა არ ერია, ხუჭუჭი თმა ტალღატალღად ეყარა თავზე, მუხის მორივით ჯმუხი და ბეჭებგანიერი იყო. ხუთფუთიან ტომარას ისე წამოიკიდებდა, თითქოს ხუთი კილო ბუმბული ყოფილიყო. ბევრი მის ძალ-ღონეს შენატროდა, ბევრსაც მისი სილამაზე შურდა. „გამრჯე ბიჭიაო“, აქებდა მაშინდელი საწყობის გამგე.

ეს გამრჯე ბიჭი ჯერ გამგის მოადგილედ დანიშნეს და შემდეგ მთელი საწყობი ჩააბარეს. მაშინ საფეთქლებთან ემჩნეოდა თითო-ოროლა ჭალარა. მას შემდეგ თვრამეტი წელი გავიდა, დრომ სულ გადაუძოვა ლამაზი თმა, წვერ-ულვაში გაუთეთრა, მაგრამ ძალღონეს მაინც ვერაფერი დააკლო, ახლაც ახალბედა მტვირთავს მაგალითი რომ უჩვენოს წამოიკიდებს ხოლმე მძიმე ყუთს და მანქანისაკენ სირბილ-სირბილით მიაქანებს.

ლევანმა ქალი არც ისე გვიან შეირთო. ანგარიშისა და თადარიგის კაცმა ამ ათი წლის წინათ, გურამი რომ დაიბადა, შემნახველ სალაროში ხუთი თუმანი შეიტანა, „კაპიკს კაპიკზე დავდებ და ბიჭი საქორწინოდ რომ აიყრება, რიგიან ბინას ვუყიდიო“. ამ ფულმა ათ წელიწადში ბევრი იმატა და იბარტყა, დღესაც ოცი თუმანი რომ დაუმატა, დამრგვალდა, თოთხმეტი ათასი გახდა.

შაბაში მოახლოვდა. ლევანმა ახლად მიღებული და გაცემული საქონლის საბუთები წიგნში შეიტანა, ცეცხლგამძლე ყუთი დალუქა, კარების ბოქლომები და კლიტეები მაგიდაზე დააგდო. ამასობაში საყვირის ხმაც გაისმა. ლევანი კარს კეტავდა, როცა სიმონ ყოჩიშვილმა პირამდე დატვირთული მანქანა მოაგდო.

ლევანმა ძარაში ერთიმეორეზე აკოკოლავებულ ხის ყუთებს ახედა.

— ეს ფეხსაცმელები საიდან?!

— ციდან, ციდან, — მიუგო სიმონმა, — აბა, ჩქარა, დავცალოთ!

სიმონმა ერთი ყუთი თვითონ შეიგდო მხარზე და საწყობში შეარბენინა.

გაოცებულმა ლევანმა თვალი გააყოლა.

— მიშველე, კაცო, მეჩქარება!

ლევანმა სანამ ერთი ყუთი წამოიკიდა, სიმონმა სამი შეარბენინა საწყობში. შოფერი ძარაზე იყო ასული და იქიდან ყუთებს აწვდიდა.

— მოიცა, კაცო, დავთვალო! — გვიან გაახსენდა ლევანს.

— გენდობი, გენდობი, აბა, ჩქარა! მეორე გზაც უნდა მოვასწრო!

— კი, მაგრამ საბუთები?!

— ჯიბეში მაქვს, ერთად მოგცემ, ნუ გეშინია!

არა, ლევანს არ ეშინია, ეს ხომ პირველი არ არის! ყოჩიშვილი მის საწყობში ტრიალებს, გააქვს და შემოაქვს საქონელი, საბუთებს ყოველთვის წესიერად უდგენს.

ახლა რა ღმერთი გაუწყრება! არა, ყოჩიშვილი სხვებივით ცუდ საქმეში არასოდეს არ შეუნიშავს. ლევანს სინდისმა არ მისცა უფლება მისთვის უნდობლობა გამოეცხადებინა.

მანქანა მალე დასცალეს, ყოჩიშვილმა კაბინიდან თავი გამოჰყო და ლევანს ღიმილით თვალი ჩაუკრა.

— უმწიკვლოვ, მომიცადე, ერთ წუთში აქ გავჩნდები!

— კარგი, კარგი, აბა, ჩქარა!

ლევანი ყუთების თვლას შეუდგა, თითო ყუთში ასი ცალი ძვირფასი ფეხსაცმელი იდო, კარგად გამოთვალა, გამოიანგარიშა, საერთო ჯამი გამოიყვანა, ყუთების ნომრები ცალკე ქაღალდზე ჩამოწერა. სანამ ყოჩიშვილი მოვიდოდა, ამ საქმით გაერთო.

მეორე მანქანაც სულმოუთქმელად დასცალეს, ყოჩიშვილმა შოფერი გაუშვა, თვითონ საწყობში ლევანის წინ გაჩერდა, რაღაც ფიქრებში წავიდა, ხმა ვერ ამოიღო.

— აჰა, მოიტა საბუთი!

— ამ წუთში! — ყოჩიშვილმა პიჯაკის ჯერ ერთ ჯიბეში ჩაიყო ხელი, მერე მეორეში, მოქექა და მოსინჯა შარვლის ჯიბეებიც, შემდეგ გაცრეცილი პორტფელიც გახსნა, შიგ ქაღალდებში დიდხანს აფათურა და ურია ხელი.

— ჰოი, ღმერთო მომკალი, სახლში დამრჩენია, მანქანამ ტლაპო მომაწუწა და პიჯაკი გამოვიცვალე. ჰო, გამახსენდა, იმ პიჯაკის ჯიბეშია, ხვალ მოგიტან, არ მენდობი?!

— კარგი, გენდობი, მეტი რა ჩარა მაქვს!

ლევანმა საწყობი დაკეტა და ტრამვაის გაჩერებისკენ გაემართა. გვერდში სიმონი მიჰყვებოდა, იღლიაში თავისი გაცრეცილი პორტფელი ჰქონდა ამოჩრილი, ხმას არ იღებდა, თავჩაღუნული მიდიოდა.

— მე ტრამვაით უნდა წავიდე, — უთხრა ლევანმა, — შენ, შინ არ მიდიხარ?

— კი, მაგრამ სახლამდე სულს ვერ მივატან, მშია. წამოდი, თითო რამე ვჭამოთ!

— არა, არა, სახლში სადილი მელოდება!

— სადილი მეც მელოდება, მაგრამ მიხაკასთან გული გავიმაგროთ და შინ სადილი უფრო შეგვერგება!

სიმონმა ბოლოს მაინც დაიყოლია ლევანი. მიხაკას სასაუზმეც იქვე იყო.

მიხაკასთან პურ-მარილი გაუტკბათ და გვიან გამოვიდნენ. სიმონი ბანცალებდა, ლევანმა ის ტაქსში ჩასვა და შინ გაუშვა, თვითონ უფრო ყოჩაღად იყო, ფეხით გაუდგა გზას.

ცხელოდა. მაისის მზე ჩასვლის წინ უფრო აცხუნებდა და ანათებდა თბილისს.

ლევანმა ხელები უკან შემოიწყო და ნელა გაჰყვა ხეივანს. გამვლელ-გამომვლელთ ყურადღებას არ აქცევდა, არც არავის უთმობდა გზას, შურდულივით პირდაპირ მიდიოდა, მიდიოდა ამაყად, როგორც უდარდელ კაცს სჩვევია ხოლმე. შარვლის ჯიბე ძალიან ამობურთული ჰქონდა. შიგ უხვად იდო გატკეცილი ფული, რომელიც თანდათან დამძიმდა და შარვალი ჩამოეჩაჩა, მაგრამ აი მისი სახლიც...



გურამი ეზოში თამაშობდა. მამამ მისი ხმა შორიდან გაიგონა და დაუძახა. გურამმა მიირბინა მამასთან, იგონა დატუქსავდა და მოიბუზა. მაგრამ ლევანმა შოკოლადის ფილა მისცა. მაგრამ გამოართვა და გვერდში გაჰყვა.

— მამა, შენ მთვრალი ხარ?

— არა!

— მაშ რატომ ხარ წითელი? დედამ ხომ გითხრა, არ დაიგვიანოო. ახლა დედა იჩხუბებს! — ტიტინებდა ბიჭუნა.

მართა მართლაც მწყრალად დაუხვდა ქმარს.

— იფ, რა კარგია, გამოთვერი?!

ლევნმა ქუდი მოიხადა და სკამზე დააგდო.

— კარგი დაგემართა, ჩვენ აქ სასადილზე გელოდებით, შენ კი რესტორანში ხარობ!

— აბა, შენც გაიხარე!

ლევანმა ფული მიაწოდა.

მართამ ფულს ხელი დასტაცა, მაგრამ უცებ შეკრთა, გაოცდა, ფული კალთაში ჩამალა და იკითხა.

— კაცო, ამდენი ფული?

— ჰო, ამდენი. ჩაიცვი, დაიხურე, ვისზე რა ნაკლები ხარ?

— კი, მაგრამ... — მართამ ჩაიცინა.

— კარგზე, კარგი ფარჩა და ატლასი იყიდე. აი, ახალი მოდის კაბა რომ არის, რა ჰქვია?

— მესმის, მაგრამ სალაროდან გამოიტანე?!

— არა, არა, ნუ გეშინია. ხვალ ათ ამდენს მოვიტან, ნუ გეშინია!

ლევანი გაჩუმდა, სურიდან წყალი დაისხა, დალია. არა, რისი უნდა ეშინოდეს მართას, როცა ქმარმა კალთა ფულით გაუვსო, მაშ, რატომ წამოცდა ლევანს ეს გამაფთრხილებელი სიტყვა. ამაზე ფიქრმა წაიღო ლევანი და შემკრთალი თვალები ცოლს მიაპყრო.

მართას სახეზე ღიმილი და გატაცება ერთმანეთს ცვლიდნენ. სანამ ცოლი ჰკითხავდა, „ასე რამ გაგამდიდრაო“, ლევანმა დაასწრო:

— ხვავიანად დამაჯილდოეს. აბა, თვრამეტი წელიწადი ტყუილად ვიმუშავე?!

ოთახში არავინ არ იყო, გურამი ისევ ეზოში თამაშობდა. მაგრამ ლევანმა მაინც ჩურჩულით განაგრძო, — არავის გაუმხილო, არავის, რომ ფული გავიჩინდა, თორემ გვეხესხებიან. მერე მშვიდობით. მოვალეს და ფულს ორივეს ერთად დავკარგავთ.

— ვის ვეტყვი, ბეჩა, ასე მიცნობ მე!.. ოჰ, ნეტავი, ცოტა ადრე იყოს, უნივერმაღში წავიდოდი! — აჩქარდა მართა, კედლის საათს გახედა, უკვე რვა სრულდებოდა.

მართამ ფული უჯრაში ჩადო, ქმრის გვერდით დაჯდა, ავტოკალამი წინ დაუდო და უთხრა:

— შენ ხომ გიყვარს ანგარიში, მოდი, ჩამოწერე რა და რა ვიყიდო, აბა ვნახოთ ამ ფულით რა მოგვივა!

— არაფერი საანგარიშო და დასაგეგმავი არა მაქვს, დაგაკლდება, კიდევ მოგცემ, ნუ გეშინია!

ცოლი გასტრონომში ჩავიდა ტაბი-

(გაგრძელება იხ. მე-17 გვ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმერეთი. დედა

გამოჩენილი ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე (1889—1952) მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედია.

იგი თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში დაულაღავად ეძებდა ახალ გზებსა და გამოხატვის თავისებურ ფორმებს და ემსახურებოდა მხატვართა ახალი თაობების აღზრდის კეთილშობილ საქმეს.

დავით კაკაბაძის საყვარელი თემა პეიზაჟი იყო. იგი ბრწყინვალე ტილოებს ქმნიდა, როგორც ზეთის საღებავებით, ასევე აკვარელითა და გრაფიკული საშუალებებით. მხატვარი ნაყოფიერად მუშაობდა თეატრსა და კინოში. მის ფუნჯს ეკუთვნის რამდენიმე ათეული ფილმის, დრამატული და საოპერო სპექტაკლის გაფორმება.

ამ ნომერში გარეკანსა და ჩანართ გვერდებზე ვაქვეყნებთ დავით კაკაბაძის რამდენიმე ფერწერულ ნამუშევარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. კაკაბაძე (ავტოპორტრეტი)

წაღვერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრეტანი

სვანეთი. პეიზაჟი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვანეთი. მადნის დამუშავება

რა მოაქვთ ქართველ არქეოლოგებს დედაქალაქის იუბილეზე*

გ. ლომთათიძე

განსაკუთრებით ვრცელი და მრავლისმთქმელი გამოდგა ის ჭრილი, რომელიც გადახსნა ექსპედიციამ ერეკლე მეორის მოედანზე მდებარე მცირე ბაღში და რომლის სიღრმემ 7 მეტრს ჩააცილა. ბოლოდროინდელ, ზედაპირულ ფენაზე რომ აღარა ვთქვათ რა (შიგ რუსული მონეტებიც კი იყო), ამ ჭრილში გამოირჩევა სამი უმთავრესი პერიოდის შესაბამისი ნამოსახლარი ფენა, არქეოლოგიურად „შინაარსიანი“: XVII საუკუნისა, XI-XIII საუკუნეებისა (ზოგადად თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ხანას რომ ვუწოდებთ და ყველა არქეოლოგიურ განათხარში რომ მკაფიოდ გამოირჩევა ჭურჭლითა თუ სხვა ნაშთებით) და ე. წ. ადრეული შუა საუკუნეებისა, IV-IX ს.ს. გარდა საკუთრივ ნაგებობათა (მეტწილად რიყისქვით ნაშენთა) კედელ-საძირკვლის ნაშთებისა, ამ ფენებში თავი იჩინა თონეებმა, კერებმა და კედლებამომწვარმა ორმოებმა, რომლებიც ადრევე იყო ავსილი მიწითა და სხვადასხვა გადანაყარით. ფენათა და ორმოთა დათარიღება საკმაოდ გააადვილა იმ გარემოებამ, რომ მათში — როგორც ქალაქურ ნამოსახლარს შეეფერება—საკმაოდ მრავლად იყო თიხისა თუ მინის ჭურჭლის ნამტვრევი და, აგრეთვე, ხპილენძისა თუ ვერცხლის ფული.

XI-XIII საუკუნეთა ფენა არსებითად ახალს არაფერს შეიცავდა იმასთან შედარებით, რაც ადრე გამოაშზეურა კერამიკული სახელოსნოს ნაშთების თხრამ 300 არაგველის ბაღში და, აგრეთვე, რამდენიმე მნიშვნელოვანმა შემთხვევითმა აღმოჩენამ ქალაქის სხვადასხვა უბნებში (ისან-ავლაბარში, ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობისას, ბესიკის ქუჩაზე, „ლურჯი მონასტრის“ გალავანში და სხვ.). სამაგიეროდ, უაღრესად საყურადღებო და ახლისმეტყველ ნაშთებს შეიცავდნენ ამ ჭრილში გაშიშვლებული უძველესი ფენები. ასე, მაგალითად, მათ მოგვცეს მოთეთრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (ხშირად მთელ-მთელიც), რომელიც აშკარად გამოირჩევა შუა საუკუნეთა, უკვე კარგად ცნობილი ჭურჭლისაგან და იერით უფრო მოგვაგონებს ე. წ. გვიან-ანტიკური დროის კერამიკას (კარგად ცნობილს მცხეთის, ახ. წ. I-III ს.ს. სამარხებში), ისე, რომ შესაძლო ხდება მისი მიკუთვნება III-IV საუკუნეებისათვის, ანტიკურიდან ფეოდალურზე გარდამავალი ხანისათვის. ამრიგად, ერეკლე მეორის მოედანზე პირველად იქნა გამოვლენილი, მეცნიერული თხრით, ის ნამოსახლარი კულტურული ფენა, რომელიც ხნოვანებით წინ უნდა უსწრებდეს ქართლის დედაქალაქად თბილისის ქცევის თარიღს (ჩვენი მატიანეების მიხედვით რომ ირკვევა), მაგრამ რომელიც მაინც უკვე ქალაქურ სამოსახლოს დაუტოვებია. ამ ვარაუდს აძლიერებს იმავე ფენაში აღმოჩენილი ერთი შესანიშნავი ძეგლი ძველი ხელოვნებისა. ეს არის მონაცრისფრო მაგარი ქვის მოზრდილი, ჩამოსაკიდი საბეჭდავი, რომლის ბრტყელ ზედაპირზე ამოჭრილია წვერულვაშიანი და თავსაბურავიანი მამაკაცის პროფილი, ხოლო მის აქეთ-იქით—ორი ფოთლოვანი შტო. ცხადია, რომ არქეოლოგებს ხელთ ჩაუვარდათ ე. წ. პორტრეტული გეგმა, რომელიც უწარწერო კია, მაგრამ სტილისტური ნიშნებით IV-V საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ. ფიქრობენ, რომ ეს პორტრეტი გამოხატავს ვიღაც დიდკაცს, ძალაუფლებით მოსილ პირს, რომელსაც მნიშვნელოვან ქალაქში უცხოვრია და ისე უმართავს სათანადო მხარე. სხვანაირად რომ ითქვას, ჩვენ წინაშე წარმომდგარი უნდა იყოს თბილისში მჯდარი ხელისუფალი — ჩანს, იმდროინდელი, როდესაც თბილისი ჯერ კიდევ არ ექციათ ქართლის დედაქალაქად ვახტანგ გორგასალსა და მის მემკვიდრე დაჩის. ის კი სხვა საკითხია, თუ როგორ მოხვედრილა დიდკაცის საბეჭდავი ჩვეულებრივი თიხის ჭურჭლისა და სხვა საგნების შემცველ ფენაში...

საქართველოს არქეოლოგიამ უკვე მრავლად იცის ამგვარი სახელობითი საბეჭდავები, (II-V საუკუნეებისა), რომლებზედაც გამოსახული არიან მათი პატრონი დიდკაცები და რომლებიც იხმარებოდნენ ამა თუ იმ საბუთზე ან საკუთრების დასაცავ ფირფიტაზე აღსაბეჭდად, მფლობელთა ვინაობის დასადასტურებლად.

შედარებით უფრო ახალ (VIII-IX ს. ს.) ფენაში აღმოჩნდა თავისებური მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც ტექნოლოგიურადაც და მხატვრულადაც აშკარად განსხვავდება XI-XIII საუკუნეთა საყოველთაოდ ცნობილი მოჭიქული ჭურჭლისაგან. ამიტომ ეს მონაპოვარი გარკვეულ წვლილს შეიტანს (უჯარმაში და ზოგ სხვა ადგილას მოპოვებულ ასეთსავე კერამიკასთან ერთად) ქართული მხატვრული თიხის ჭურჭლის ისტორიაში — შეავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჯერჯერობით კიდევ იგრძნობა სწორედ ადრეული შუა საუკუნეებისთვის.

რაც შეეხება ერეკლე მეორის მოედანზე განათხარის უახლეს, XVII საუკუნის ფენას, მასში შემორჩენილი ნაშთებიდან ყურადღებას იქცევს თიხისმილოვანი წყალსადენი, რომელიც, ჩანს, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიემართებოდა — ისევე, როგორც თბილისში სადღეისოდ აღმოჩენილი, შუა საუკუნეთა რამდენიმე სხვა წყალსადენი („ლურჯი მონასტრის“ გალავანში, გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის შენობის გვერდით, „300 არაგველის“ ბაღზე ჩამომავალ „ოხერხევში“ და სხვ.). ეს გასაგებიცაა: მტკვრის მარჯვენა ნაპირას გაწლაგებული უბნებისათვის სასმელი წყლის მიწოდება სწორედ დასავლეთით ამართული მთაწმინდის კლდეებში მრავლად გამომავალი წყაროებიდან შეიძლებოდა. აქვე უნდა გავიხსენოთ ოქროყანის მდამოებში ამ სამოდე წლის წინ, სტალინის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის მიწის სამუშაოთა დროს აღმოჩენილი, საკმაოდ გრძელი ტრასის მქონე მილსადენი (აგურებით ორფერად გადახურული და ადგილ-ადგილ მოჭიქული მილებისაგან შედგენილი), რომელსაც წყაროს წყალი გამოქვაბულიდან თბილისის დედაციხეში („ნარიყალაში“) მოჰყავდა. გარდა სასმელი წყლის სადენებისა, ფეოდალურ თბილისში მრავლად იყო სარწყავი წყლის სადენი არხები თუ მილები. ცნობილია, რომ ჩვენი ქალაქი მუდამ განთქმული იყო თავისი ბაღ-ვენახებით, ხოლო ამ უკანასკნელთათვის კი რწყვა აუცილებელი იყო, აქაური ჰავის სიმცხუნვარისა გამო...

* * *

ყველა ის არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, არსებითად შუა საუკუნეებს, ფეოდალურ ხანას ეკუთვნის და მხოლოდ მცირეოდენი თუ წარმოგვიდგენს იმ დროს, როდესაც თბილისი ჯერ კიდევ არაა დედაქალაქი, მაგრამ, ასე ვთქვათ, სავსებით „გამზადებულია“ საამისოდ. იგი გვევლინება გვიანი ანტიკური ეპოქის მიწურულს, უკვე საკმაოდ წამოზრდილ და მნიშვნელოვან სამოსახლოდ, სადაც კარგა დიდი ხელისუფალი ზის. აქ უნდა გავიხსენოთ „ქართლის მოქცევის“ ცნობა, რომ სპარსთა მეფის პიტიახში „მოვიდა ტფილისად, ქალაქციხედ“ და თავის საჯდომ ადგილად გაიხადა. იგი. რა თქმა უნდა, უცხო სახელმწიფოს ამ მრხელეს უკვე სავსებით გამართული და გამაგრებული ქალაქი უნდა დახვედროდა აქ.

მაგრამ არც ეს, პიტიახშის მოსვლამდე არსებული ქალაქი იქნებოდა უცბად, ერთი დაკვრით აღმოცენებული „ცარიელ ადგილას“. ეს არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, აქაო და წერილობითი წყაროები არაფერს გვეუბნებიან ქალაქის უფრო ადრინდელი ისტორიისასო. სხვა რომ არა იყოს რა, თბილისში, გაღმაცა და გამოღმაც, მრავლადაა მარჯვე სამოსახლო და ადვილად დასაცავ-გასამაგრებელი გორა-მაღლობები და ჩვენ წინაპრებს უსათუოდ ადრევე უნდა დაეფასებინათ ისინი —



ამ სახელოსნოს ნანგრევთა შორის აღმოჩენილი ნიმუშები მოჭიქული თიხის ჭურჭლისა: ა) სასმისი ჯამი, რომელზედაც, სხვადასხვა ფერადებით, შევარდნია გამოხატული, ბ) ხელადის ნაკლული ყელი, რომელიც გვირგვინისანი ქალის თავ-ყელს გამოხატავდა.

ჯერ კიდევ მაშინ უნდა დასახლებულიყვნენ მათზე, როდესაც მტკვრის ხეობის ამ ნაწილში ფეხმოკიდებული ქართველი ტომი იმდენად მომრავლდა, რომ აუთვისებელს აღარ დასტოვებდა აღარც ერთ ადგილს, სადაც უშიშრად დამკვიდრება და მიწათმოქმედებისა თუ სხვა რიგი მეურნეობის გაშლა შეიძლებოდა.

ჩვენს არქეოლოგებს უკვე თამამად შეუძლიათ განცხადება, რომ მართლაც ასე მომხდარა და დღევანდელი თბილისიცა და მისი მიდამოებიც ჯერ კიდევ ამ 5.000 წლის წინ, ლითონის პირველად შემოღების ხანაში ქცეულა მკვიდრი მოსახლეობის ბუდე-ბუდე საცხოვრისად (ალბათ, საგვარეულოებად დანაწილებული). ამას უკვე მარტო შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვით კი აღარ ასკვნიან, არამედ მეტ-ნაკლები მასშტაბის მეცნიერული გათხრისა და განათხარის გააზრიანების შედეგად.

თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაჭიმულ შავნაბადა-თელეთის ქედზე თითქოს ნაპოვნია პალეოლითის (ძველი ქვის ხანის) ქვის იარაღთა ნატეხები, მაგრამ ჯერჯერობით ესოდენ ძველი ნაშთების არსებობა დანამდვილებით არაა დადგენილი. არც მომდევნო, ახალი ქვის ხანის (ნეოლითის) ნაშთებია სადმე აღნიშნული. მაგრამ ამ უკანასკნელის მომდევნო, ენეოლითის (სპილენძ-ქვისხანის) ნაშთები კი საკუთარი ხელითა აქვს ამოთხრილი, დიდუბეში, პროფ. გ. ნიორაძეს, ქართული არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთ შემქმნელსა და სწორედ უძველესი კულტურის ნაშთების ცნობილ მკვლევარს. მან შეისწავლა დიდუბეში მოპოვებული ნაირ-ნაირი, თავისებური, ძალიან ძველი იერის მქონე თიხის ჭურჭელი, ქვისა და ძვლის იარაღები და დაასკვნა, რომ ისინი უნდა მიეკუთვნონ ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულს. მის შემდეგ სხვა არქეოლოგებმა შესაძლოდ მიიჩნიეს იმ მონაპოვრის უფრო ზუსტად დათარიღება და სახელდობრ, ენეოლითის ადრეული ფენის გამოყოფა. აქვე უნდა ითქვას, რომ ენეოლითის დროინდელი თიხის ჭურჭელი მანამდე ჩვენში გათხრით აღმოჩენილი იყო მხოლოდ სოფ. კიკეთში და იქაც ვერ იქნა დათარიღებული. ასე რომ დიდუბის ენეოლითი ამ ძველი კულტურულ-ისტორიული პერიოდის პირველი, სწორად გამოცნობილი ძეგლი იყო არა მარტო თბილისში, არამედ საერთოდ საქართველოში.

შემდეგი კულტურულ-ისტორიული ხანა, რომელიც უფრო ინტენსიურადაა თხრით გამოკვლეული (არქეოლოგ. დ. ქორიძის მიერ) [1], არის ე. წ.



სამასი არაგველის ბაღში 1948 წელს გათხრილი ნაშთები კერამიკული სახელოსნოს 4 ქურისა (ნახატი). სახელოსნო განადგურებულია XIII საუკუნის მე-2 ნახევარში — ჩანს, მონღოლთა ერთ-ერთი შემოხევისას.

---

* დასასრული. იხ. ჟურნ. „დროშა“ № 4.

[1] „თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I, ენეოლითი — გვიანი ბრინჯაოს პერიოდი“, 1955.

გვიანი ბრინჯაოს ხანა, ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და უფრო კი ბოლო საუკუნეებს რომ მოიცავს. ბრინჯაოს ხანის ადრეული და შუა საფეხურები კი ჯერჯერობით ნაკლებად ჩანს (აღსანიშნავია მხოლოდ ერთი თავხებიური სამარი ცული, ღრმა-ღელეში ნაპოვნი). გათხრა, მშენებლობისას შემთხვევით აღმოჩენასთან დაკავშირებით, წარმოებდა მტკვრის მარცხნივ მდებარე ორ მოპირდაპირე გარეუბანში: ღრმა-ღელეში (სადაც 7 სამარხი გაითხარა, 1949-1950 წლებში) და ნავთლუღში (სადაც 8 სამარხი გაითხარა, 1950 წელს, ორხევსა და მტკვარს შორის). ამ ორივე სამაროვანში მრავლად აღმოჩნდა ნაირ-ნაირი საუურადღებო ნივთები, იმდროინდელი ჩვეულებისამებრ ჩატანებული დაკრძალულთათვის: შავად ან ლეგაფერად გამომწვარი თიხის ჭურჭლეული; ბრინჯაოს ქვაბი, ისრისპირები, შუბისპირები, კაუჭი, ე. წ. აღმოსავლურ-ქართული ტიპის სამარი ცული და სატევრები; ქვის მძივები; თიხისაგან გამომწვარი ფეხსაცმელისებრი საგანი და სხვ. ამ სამარხეულ ნივთებს (ღრმა-ღელეში ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებისას, ხოლო ორხევთან — ძვ. წ. XII-XI ს. ს.), ბევრი რამ აღმოაჩნდათ საერთო აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა, განსაკუთრებით კი მტკვარს ჩრდილოეთით მდებარე კუთხეებში (მცხეთაში, კახეთში) აღმოჩენილ სამარხეულ ნივთებთან. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შუა მტკვარს გასწვრივ მსახლობელ ქართველ ტომებს ამ სამი ათასზე მეტი წლის წინ უკვე ბევრი რამ ჰქონიათ კულტურულად საზიარო, თუმცა ზოგ რამეში მათი კულტურა — საერთოდ აშკარად თავისთავადი და მაღალ დონეზე მდგარი —კუთხე-კუთხე ადგილობრივ თავისებურებასაც იჩენდა. არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ ნარიყალაზე შემთხვევით ნაპოვნი ერთი ბრინჯაოს სატევარი. იგი იმას უნდა მოწმობდეს, რომ ის დიდი მაღლობი, რომელზედაც შემდეგ ქალაქის დედაციხე აუშენებიათ, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, ამ 3.500-იოდე წლის წინ ყოფილა გამოყენებული—საფიქრებელია, გამაგრებული სამოსახლო „გორას“ სახით. სავსებით კანონზომიერი იქნება, თუ გათხრის შედეგად იქ შუა საუკუნეთა ნაშენობის ქვეშ ანტიკურიც იჩენს თავს.

ერეკლე მეორის მოედანზე 1956 წელს თხრისას აღმოჩენილი, ქვის საბეჭდავის ანაბეჭდი თაბაშირზე. საბეჭდავზე გამოსახულია ახალი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეთა დიდკაცის პროფილი.

არც ე. წ. ანტიკური ხანა (ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი და ახ. წ. I-III საუკუნეები) გამოიყურება „ცარიელად“ თბილისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიაში, თუმცა იმ დროინდელი ძეგლები ჯერ მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილნი არიან თავმოყრილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. აღსანიშნავია: ბაქტრიული, ბოსფორული და სხვა უცხოური მონეტები, ძვ. წ. III-II საუკუნეებისა (ნაპოვნი კეცხოველის ქუჩაზე, ორთაჭალაში და სხვ.). ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეთაოვის დამახასიათებელი წითელი თიხის ჭურჭელი, რომაული ფული და წვრილი სამკაული (კეცხოველის, ბესიკისა და საბა-სულხანის ქუჩებზე საბურთალოსა და ავლაბარში ნაპოვნი); იმავე დროის სამარხების ინვენტარისათვის ტიპიური თიხისა და მინის ჭურჭელი (ღრმა-ღელეში, პლასტმასის ქარხნის საამქროს გაფართოებისას აღმოჩენილ სამარხებში ნაპოვნი, 1957 წლის ზაფხულში).

ამრიგად, არქეოლოგიური მასალა— შემთხვევით აღმოჩენილი თუ საგანგებოდ ნათხარ-ნაკვლევი— დამაჯერებლად მოწმობს, რომ შუა საუკუნეთა თბილისს ძველისძველი, ხუთი ათასი, სამი ათასი, ორი ათასი წლის წინანდელი ფენები უგია ძირს და რომ იგი, როგორც ქალაქი, აღმოცენებულა ამ ადგილებში მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არსებული, ერთმეორის შორიახლოს ფეხმოდგმული სამოსახლოების ნიადაგზე.

თბილისის შენსწავლელი არქეოლოგებმა— უძველესი ხანის, ანტიკური ხანისა თუ შუა საუკუნეთა სპეციალისტების — საპატიო და გადაუდებელი ამოცანაა, უფრო მხნედ და სისტემატურად განაგრძონ დაწყებული საქმე. იქ, სადაც წერილობითი წყაროები სდუმან ან სიტყვაძუნწობენ თბილისის წარსულის შესახებ, არქეოლოგებმა ამ ძეგლებს უნდა გააწევინონ მათი მაგიერობა, ხოლო სადაც ეს წყაროები უფრო მეტყველნი არიან, შეავსონ, შეამოწმონ და დააზუსტონ მათი ცნობები (მაგალითად, თუნდაც ნახევრად ლეგენდური თხრობა ქალაქის დაარსების შესახებ).

კარგა ხანია, მოელიან არქეოლოგის წერაქვს თბილისის ციხე-კოშკთა (უპირველეს ყოვლისა, „ნარიყალად“ წოდებული დედაციხის) ნანგრევები, ძველ ტაძართა გალავნები. ანტიკური და უფრო ადრინდელი ნაშთების შემცველი ადგილები. ასე, მაგალითად, შესამოწმებელია ცნობა, თითქოს მეტეხის ტაძრის გვერდით მდგარი საპყრობილის დანგრევისას მიწაში თავი ეჩინოს ანტიკური დროის ნაშენობის ნაშთებს.

არქეოლოგებს შეუძლიათ და ევალებათ კიდევაც, გაცილებით უფრო თვალნათლივ, უკეთ ხორცშესხმული წარმოადგინონ საკვარელი, პატივსაცემი ჭაღარით მოსილი დედაქალაქის „არქეოლოგიური ისტორია“. განსაკუთრებით უმახვილებს მათ ამ მოვალეობას, გრძნობას თბილისის დედაქალაქობის 1500 წლის იუბილე, რომლისთვისაც ასე ხალისიანად ემზადება მთელი ჩვენი ქვეყანა.

დღესდღეობით კი იმის თქმა მაინც შეგვიძლია თამამად, რომ თბილისის არქეოლოგიას ნამდვილად გამოუჩნდნენ მომზადებული და გამრჯე მზრუნველები. დავიწყებას მიეცა ის სავალალო ვითარება, რომელიც გულს უკლავდა გაზეთ „ივერიის“ უსახელო თანამშრომელს, ამ 70 წლის წინ რომ შენატროდა „განათლებულსა და არქეოლოგთა მთელ ქვეყნებს“, რადგან ხედავდა, თუ რა უპატრონოდ იკარგებოდა ძველი თბილისის უბნებში მრავლად აღმოჩენილი „ხაჩენი საარქეოლოგიო ნივთები“.

მინერალური წყლების კურორტები

როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც დიდი პოპულარობით სარგებლობს კავკასიის მინერალური წყლების კურორტები — კისლოვოდსკი, ესენტუკი, პიატიგორსკი, ჟელეზნოვოდსკი.

ამ კურორტების მინერალური წყლების საუკეთესო ღირსებები, შესანიშნავი ბუნება და დამსვენებელთა მომსახურების მაღალი დონე, წლის თითქმის ყველა დროში უამრავ დამსვენებელს იზიდავს.

ხაბჭოთა მთავრობამ კურორტების კეთილმოწყობისათვის, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობისათვის მილიარდობით მანეთი დახარჯა.

კავკასიის მინერალური წყლების კურორტების ჯგუფში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი კურორტია კისლოვოდსკი, იგი გაშენებულია ზღვის დონედან 800-950 მეტრის სიმაღლეზე, მდინარე ოლხოვსკისა და ბერიოზოვკის ლამაზ ხეობაში. კურორტი-ქალაქი ყოველ მხრიდან გარშემორტყმულია მთებით, რომლებიც აქაურ ჰავას თავის ელფერს, განსაკუთრებულ სისუფთავესა და სამკურნალო თვისებებს ანიჭებს. კისლოვოდსკი საკავშირო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტია.

თავისი მნიშვნელობით შესანიშნავი კურორტია ესენტუკი. მისი გარეუბნები წარმოადგენენ გაშლილ მინდვრებს, რომლებიც სუბალპიურ ზონაში გადადის. მედიცინაში ესენტუკის წყალი წარმატებითაა გამოყენებული კუჭ-ნაწლავისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევების სამკურნალოდ.

კურორტის ხეები, პარკების სიუხვე, ხეხილის შესანიშნავი ბაღები, მიმზიდველი ხეივნები, საშუალებას აძლევენ დამსვენებლებს კარგად გაატარონ შვებულების დღეები, წარმატებით ჩაატარონ მკურნალობა. ყველაფერ ამას დიდად უწყობს ხელს საუკეთესო სანატორიუმები და კლინიკები, აქ არის საუკეთესო ტალახის სამკურნალო, რომელიც ამ ჯგუფის კურორტების მშვენებას წარმოადგენს.



კავკასიის მინერალური წყლების უძველესი კურორტია პიატიგორსკი, რომელსაც 150 წლის არსებობის ისტორია აქვს. ქალაქი გაშენებულია მდინარე პოდკუმოკზე, მაშუყის მთის ფერდობზე, ზღვის დონედან 500 მეტრის სიმაღლეზე. შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, მთისა და ბარის ჰავის კარგი შეხამება, სხვადასხვა მინერალური წყლების არსებობა, აგრეთვე, სამკურნალო ტალახი — პიატიგორსკს ჩვენი ქვეყნის კურორტებში ერთ-ერთ პირველ ადგილზე აყენებს.

ესენტუკი. ქვედა აბაზანა.

კურორტი ჟელეზნოვოდსკი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს სხვებთან შედარებით. აქ 20 მინერალური წყაროა, რომლებიც თავისი შემადგენლობითა და თვისებებით ისეთივეა, როგორც ჩეხოსლოვაკიის კურორტის კარლოვივარის მსოფლიოში განძმული წყლები. ამ წყლებს იყენებენ მცირესისხლიანობის, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

ამჟამად, კავკასიის მინერალური წყლების კურორტებზე 12 სხვადასხვა სახის 77 მინერალური წყაროა ექსპლოატაციაში, რომელიც იძლევა 6 მილიონ ლიტრ წყალს დღე-ღამეში. კურორტებზე მინერალურ წყლებთან ერთად ხმარობენ უმაღლესი სამკურნალო თვისების მქონე ტალახს, რომელიც პიატიგორსკიდან 11 კილომეტრის დაშორებით, მარილიან ტბის ფსკერზე მდებარეობს.

კავკასიის მინერალური წყლების კურორტებზე ყოველწლიურად 250-300 ათასი ავადმყოფი მკურნალობს. აქ შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ კურორტზე ჩამოსულმა თვითეულმა მშრომელმა რაციონალურად გამოიყენოს ყოველი დღე, სავსებით აღადგინოს თავისი ჯანმრთელობა.



პიატიგორსკი.

ჯოხი

სერგო კლდიაშვილი

მხატვარი ზ. ლეუავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ზურგიშარას იმ დიდ საურმე გზას უწოდებენ ჩემს სოფელში, რომელიც იქაურობას შუაზე ჰყოფს და ხერხემალივით სიგრძეზე მიჰყვება. მისი შეფენება ორივე მხრით დაფარულია სიმინდის ყანებით, ვენახებით და ხეებით დაჩრდილულ ეზოებში ჩადგმული სახლებით. ჰოდა, შუადღისას ამ ზურგიშარაზე — ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა — თავი მოეყარათ კუთხეშეზობლებს მინაგო ტოფაძის ნამოსახლარზე და ეინარ მიხალაინეს აცილებდნენ. თითო ხელადა ღვინო და ცოტაოდენი ხორაგეული ყველას მოეტანა, ლეღვის ჩრდილში მოლზე სუფრა გაეშალათ და შემოსხდომოდნენ. დედაკაცებს საგზალი მოემზადებიათ და ხურჯინში აწყობდნენ.

ეინარი სოფელს სტოვებდა და თავის ქვეყანაში ბრუნდებოდა.

ყველა გულდაწყვეტილია. ორმოცდაათი წელიწადი გვერდი-გვერდ ცხოვრობდე, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდე, ახალგაზრდობა ერთად გაატარო, შეაბერდე და, ბოლოს, ასე უეცრად დაშორდე — დაგწყდება კაცს გული, მაშ რა იქნება!

თავმოყრილ მეზობლებს არ უნდათ გამოტირებულივით გაისტუმრონ ეინარი, ისედაც შორი გზა ცრემლით დაუმძიმონ და ცდილობენ ხალისიანად იყვნენ, მაგრამ მაინც ვერ ფარავენ, რომ დანაღვლიანებული არიან.

— გახსოვს, ეინარ, აქ რომ პირველად მოხველი? — ეკითხება ეზეკია.

თანხმობის ნიშნად ეინარი თავს აქნევს. როგორ არ ახსოვს! მაშინ სულ ახალგაზრდა იყო. ჯარისკაცობა მოათავა და გაუშვეს. პირდაპირ თავის ქვეყანაში კი იმიტომ ვერ წავიდა, რომ თავისიანი იქ აღარავინ ეგულებოდა: დედ-მამა და ორი ძმა ოკეანეს გადაღმა გადასახლებულიყვნენ. ეინარს თვითონაც გადაწყვეტილი ჰქონდა მათ კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ საამისო საშუალება რომ არ გაჩნდა, ასე მოიაზრა: ქირაზე წავა სადმე, საჭირო ფულს თავს მოუყრის და გაემგზავრება... ქალაქში რომ სამუშაოზე ვერსად ჩადგა, სოფელს მიაშურა. სოფელ-სოფელ ხეტიალში კი გაზაფხულის ერთ დღეს ზურგიშარაზე შემოაღამდა, მინაგო ტოფაძის სახლის წინ შეჩერდა და ღამის გასათევი ითხოვა. ჩვენებური ლაპარაკი რომ არ იცოდა, ხელები მოიშველა და ამით . ანიშნა რა უნდოდა.

განსვენებულ მინაგოს შემდეგში არა ერთხელ უთქვამს ხუმრობით:

„მაშინვე შევატყვე, ალალმართალი კაცი იყო და უარი ვერ ვუთხარი. ან კი რისი შიში უნდა მქონოდა? ავაზაკიც რომ ყოფილიყო, ჩემს ცარიელ ქოხში რას გამორჩებოდა. შემოვიყვანე, შუაცეცხლთან ხუფრა დავუდგი, ვაკახშე და დასაწოლი კუთხე მივუჩინე. რა ვიცოდი, თუ მერე ჩემი ხიძე გახდებოდა, თორემ ვარიას მაინც დავუკლავდი და უფრო რბილად მოვუსვენებდიო“.

— ოჰ, რა ვაუკაცი იყავი! — ახლა უკვე მოხუც ეინარს მხარზე ხელს უთათუნებს თედორე.

ეინარის ჭაბუკობის გახსენებამ მივიწყებული თავიხი წარსული მოაგონა ყველას და ოცნებით იმ დროს ევლებიან, როცა მასთან ერთად ახალგაზრდები იყვნენ.

— თვალტანად მართლა კარგი იყო, მარა, პირველად რომ შევხედე, გადაცმული ქალიშვილი შეგონა, — ალერსიანად შეჰყურებს სიდონია.

— გამოტყდი, დედაკაცო, რომ მაშინვე ჩაგიკარდა გულში! — იცინის ეზეკია. — რამდენჯერ დამინახავს, ის რომ გვერდით ჩაგვლიდათ გოგოებს, ოხრავდით და მუშტებს იბრაგუნებდით მკერდში.

— უი, გაჭრა შენი თავი! — სიდონია ცდილობს

ისე მოაჩვენოს თავი, თითქოს გული მოუვიდა, ნამდვილად კი სულაც არ სწყენია. — შენ რომ ყველაფერი უხიაგი უნდა თქვა!

სიდონია მოხუცებულობაშიც თამამი და ხუმარაა. იცის, რომ იმ შორეული წარსულის ამბავს ახლა არავინ უძრახავს, მაგრამ შვილიშვილი უზის გვერდით და ამიტომ ერიდება გაამხილოს, თუ როგორ აჩქროლებია ხოლმე გული, როცა ქალიშვილობაში ეინარისთვის შეუხედნია.

— არა, გამოტყდი, სიდონია, გამოტყდი! — ხითხითებენ მამაკაცები.

— მუშტის ბრაგუნის რა მოგახსენო და, არ დავფიცავ, მისი თმის ფერი კი მომწონდა. ნამჯა ხომ გინახავთ? ჰოდა, სწორედ იმ ფერის თმა ჰქონდა. თვალებიც უცნაური, წყაროში რომ წყალი მოჩანს, სულ იმნაირი.

— კიდევ რა მოგწონდა მისი? — ხარხარებს ეზეკია. — ჰო, თქვი ბოლომდე!

— რა და... — ცალ თვალს ჭუტავს და დანაოჭებულ ტუჩებს აცმაცუნებს სიდონია — ისეთი თეთრი პირისკანი ჰქონდა, გაპენტილი ბამბა გეგონებოდა. შენ კი არ გგავდა, შე საწყალო, თათარივით რომ შავი იყავი ყოველთვის!

— ბევრი უპრაწავდით თვალებს, მაგრამ ცხონებულმა აღათიმ გაჯობათ ყველას! — სიცილით ამბობს ბესარიონი.

თუ როგორ ჩაესიძა ეინარი მინაგო ტოფაძეს, ყველამ იცოდა: — ხანშიშესულმა და ხეიბარმა გლეხმა, რომელსაც აღათის გარდა შვილი არ ჰყოლია, იმ გზაფხულზე თავის სახლში დაიტოვა უცხო ყმაწვილი ყანა-ვენახის დასამუშავებლად. ის ისეთი საზრიანი და ერთგული გამოდგა, რომ მინაგო ლოცავდა იმ დღეს, როცა განგებამ ვაუის მაგიერი მიაყენა კარზე. საოჯახო საქმით დატვირთულ აღათისაც დიდად ესაღავათა, როცა ოჯახში მამაკაცის ხელი დატრიალდა და ამიტომ ქალიშვილი ყოველნაირად ულოლიავებდა, რომ ის მეტ ხანს დარჩენილიყო მათთან. მაგრამ ეინარიც რომ აღარ იჩქაროდა წასვლას?! ვინ არ იცის, რომ იქ, სადაც ჯანით ხავსე გოგო და ვაჟი ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს, ქოხში იქნება ეს თუ სასახლეში, უჩინარი ვინმე ათასნაირ აკანათს დააგებს ხოლმე. თუ ამასთანავე გოგო მწყაზარია და ისეთი კისკისი იცის, რომ ძალიან დანაღვლიანებულ კაცსაც შუბლის ნაოჭებს გაუსწორებს და გულზე დაწოლილ დარდის მძიმე ტვირთს — ჩამოხსნის, თვალით უხილავი აკანათი მაგრად ჩაებღაუჭება ვაუის ფეხებს, ხელს, ფიქრს, თვალებსაც.

ეინარი შერჩა ზურგიშარას იმ ზაფხულზე, შემოდგომაზედაც. მერე ისევ ახალ ზაფხულს და შემოდგომას და, ბოლოს, სამუდამოდ დარჩა.

— ღმერთმა აცხონოს, კარგი სამეზობლო დედაკაცი იყო აღათი, — თითქმის თავისთვის ლაპარაკობს საჩინო. — ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენი ეინარიც არ იფიქრებდა წასვლას.

— აცხონოს, — ჭიქას ივსებენ მამაკაცები.

— აცხონოს... — ჩუმად ამბობს ეინარი, ღვინოში ჭადის ნატეხს აწებს და შესანდობარს სვამს. ეინარმა დიდი ხანია ყველა საჭირო წესი ისწავლა და კიდევაც ზუსტად იცავს.

რამდენიმე თვეა აღათი გარდაიცვალა. მარტო დარჩენილმა ეინარმა ყველაფერი შეახრულა, რაც სულის საქმე მოითხოვდა, ამის შემდეგ გაჰყიდა სახლი, კარ-მიდამო და დიდი ხნის უნახავ თავის ქვეყანაში წასვლა გადაწყვიტა.

— დამავიწყდა, რა ქვია იმ შენს სოფელს? — ეკითხება თედორე.

— ლუსოვაარი... — ახსენებს ეინარი.

— ნამდვილია, ლუსოვაარი... — იმეორებს თედორე. — ბევრჯერ გამიგონია შენგან. ასე მახსოვს, ტბის პირადაა...

ჰო, დიდი ტბის პირადაა გაშენებული. უკან კი ფიჭვნარი და არყის ხეების ტყე აკრავს. ზამთარში ტყეს რომ ყინვა გათანგავს, ხეების ტკაცანი ისმის. მკაცრი ბუნებაა ლუსოვაარში, ხალხი კი გამრჯე და კეთილი. უმთავრესად მეთევზეები არიან, ამით ცხოვრობენ. რამდენჯერ მონატრებია ეინარს იქაური ზამთარი და ყინვაც კი. ისე მონატრებია, რომ გულში ნამდვილი ტკივილი უგრძვნია.

— შორს კი არის ის დალოცვილი, — თავს აქნევს ძალზე მოხუცი ანანია.

ანანიასაც ახსოვს ეინარის ნაამბობი: აქედან ისე შორსაა ის ქვეყანა, რომ იქ დედამიწა თავდება. იმის იქით უსასრულო ზღვა იწყება, სადაც ყინულის მთები ცურავენ. დიახ, დიახ, ნამდვილი ყინულის მთები. მზე ვერ ადნობს მათ, რადგან იქაური მზე უღონოა. ზურგიშარაზე რომ დააცხუნებს და ოფლს მოგადენს, იმას კი არ გავს...

— ლეღვი ხარობს იმ სოფელში? — კითხულობს ილია.

ეინარი თავს აქნევს უარის ნიშნად.

— ვენახი?

— არც ვენახი.

— აბა, ასე მითქვამს, ცხოვრება გაგიძნელდება აქ მიჩვეულს, — აფრთხილებს ილია.

ეინარმა თვითონაც იცის, რომ გაუძნელდება.

— კი მარა, ადამიანო, ვისთან მიხვალ იქ? — გულშემატკივრად მიმართავს იორამი. — გეგულება ვინმე ნაცნობი მაინც?

ეინარი ხელისგულებს შლის. მართლაცდა, ვის ნახავს? ძველები. ცხადია, დაიხოცნენ; ტოლებს, ალბათ, დავიწყებული ჰყავთ; ახალგაზრდებმა კი მისი არსებობაც არ იციან.

— ჰოდა, მაშ ვის ნახავ იქ? ვინ დაგხვდება?

ეინარი სდუმს, გულში კი ფიქრობს: დახვდება ლუსოვაარი და ტბა, სადაც მებადურები აფრიან ნავებს მიაცურებენ.

— არ მოგვინატრებ შენს მეზობლებს? აღარ გაგვიხსენებ? — ნაღვლიანად შეჰყურებს თედორე.

ეინარი ყველას თვალს ავლებს ისეთი სიყვარულით, რომ სიტყვა ზედმეტია.

— იქ რომ გკითხავენ, ამდენ ხანს სად და როგორ ცხოვრობდიო, ასე იტყოდი, უბედური ვიყავიო?

— რავა გეკადრება! — სოფლურად უქცევს

ეინარი, თუმცა ლაპარაკში აქამდე უცხოური კილო გაჰკრავს. — ბედნიერად მომახუცეთ და თქვენი აუგი ვთქვა? აბა აღარ ყოფილა ქვეყნად პატიოსნება და ეგაა!

— შენ აგაშენა ღმერთმა, თუ დაგვიფასე, — ისმის გარშემო.

წუთით ყველა გაჩუმებულა.

— იმ შენი ლუსოვაარის სადღეგრძელო იყოს,— ჭიქას ივსებს ეზეკია და სხვასაც უსხამს.

საუბარი გრძელდება. ხან ეინარს მიმართავენ, ხან თავის ჭირ-ვარამზე ჩამოაგდებენ სიტყვას. მზე თანდათან მაღლა იწევს. ჩრდილი მუქდება. მზის მხურვალებით გახარებულ ჭრიჭინობელებს გაუთავებელი ჭრიჭინი გააქვთ.

კიდევ სვამენ და ერთმანეთს ადღეგრძელებენ.

ყველას სადღეგრძელო ჩამოთავდა და ეინარი სუფრიდან დგება. დანარჩენებიც წამოიშალნენ.

— აბა, იპოლიტე, ბიჭო!

ეინარის ნათლული იპოლიტე თექვსმეტი წლის ბიჭია. ის სადგურზე მიჰყვება ნათლიას.

— წავიდეთ, თვარა სიცხე შეგაწუხებს მერე, — აჩქარებს იპოლიტე და საგზალით გატენილ ხურჯინს მხარზე იკიდებს.

ყველა შარაზე გამოდის და ეინარს მიაცილებს.

ეინარი სათითაოდ ეხვევა და ეთხოვება მეზობლებს. წყლისფერი თვალები დასველებული და ამღვრეული აქვს. დედაკაცები იცრემლებიან და თავშეკავებულად მოთქვამენ.

— რას მისტირი, სიდონია? — ამშვიდებს ბესარიონი. — გზაზე დამდგარი კაცი კი არ უნდა გამოიტირო, შე ქალო, უნდა გაამხნეო.

ამას სიტყვით ამბობს, თორემ გული თვითონაც აჩვილებული აქვს.

ეინარი უკანასკნელად პირჯვარს ისახავს ხუთივე თითით, როგორც მისი რჯული მოითხოვს და მძიმედ მიდის. წინ იპოლიტე მიჩქარჩქობს.

მდუმარედ დგანან და უყურებენ, როგორ შორდება აქაურობას ეინარი. ის თანდათან პატარავდება და თითქოს დნება სივრცეში.

— ღმერთმა კეთილად ჩაიყვანოს, — სიჩუმეს არღვევს თედორე და სევდიანად გასცქერის დაცარიელებულ გზას.

— რაღა დროს მისი წასვლა იყო! — გულნაკლულად ამბობს ხაჩინო.

— ვერ გაუმკუნებ, ჩემო ძმაო, — თავს აქნევს ეზეკია — უცხო მხარეში სასახლე რომ ამიშენო, საბოლოოდ მაინც ჩემი ზურგიშარა მომენატრება და წამოვალ. აბა როგორ! არა, ნამდვილად კაი კაცი ყოფილა, თავის კუთხეს რომ დაუბრუნდა. რომელი პატიოსანი კაცი დაივიწყებს თავის ქვეყანას?

— ეგ კი, მარა, ყინულებში რა გააძლებიებს იმ დალოცვილს, — ლაპარაკში ებმება ბესარიონი.— აქ არ ერჩია? ამისთანა ლამაზ სოფელს კაცი მიატოვებს?

— დედაშენს გაცვლიდი შენ? — უეცრად ხმას იმაღლებს ეზეკია.

ბესარიონს ვერ გაუგია რას ეკითხება და გაკვირვებული შესცქერის.

— მე შენ გეკითხები, დედაშენს გაცვლიდი იმიტომ, რომ სხვა დედაკაცი უფრო ლამაზი იყო?

— მაგის გამო დედა ვის გაუცვლია, შე კაი კაცო...

— ჰოდა ასეა ესეც! — ამბობს თავისი აზრის სიმართლეში დაჯერებული ეზეკია.

— ეგ კი, მარა... — ბესარიონი ცდილობს შეედაოს, მაგრამ თვითონაც გრძნობს, რომ ეზეკიას გასაბათილებლად ვერაფერს იტყვის და დუმილს რჩებობს.

მამაკაცები უკანვე შედიან მინაგოს ნაეზოვარში და ლეღვის ჩრდილში მოლზე გაშლილ სუფრას უბრუნდებიან.

— ეს ხე მისი დარგული უნდა იყოს, — ამბობს თედორე და განიერ ტოტებს შეჰყურებს.

— მისი დარგულია, — უმოწმებს რამდენიმე ხმა.

— მინაგოს რომ ჩაესიძა, იმ წელიწადს გამომართვა ნერგი, — საბოლოოდ ადასტურებს ეზეკია.

კიდევ დარჩენილა ხელადებში ღვინო. ერთმანეთის სადღეგრძელოს სვამენ და შინ გზაზე დამდგარხაც კეთილ ნატვრას უგზავნიან. ლეღვის ტოტები ირხევა და ფოთლები შრიალებს, თითქოს რაღაცას უამბობს მოლზე დამსხდართ.

ძველი კავკასიის ფაქტებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული გამოცანა

1861 წელს ოტომანის პორტა (ოსმალეთის მთავრობა) შეეკითხა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს: ხომ არ იქნება რუსეთის მთავრობა წინააღმდეგი, რომ დაკმაყოფილოს 2500 ოჯახის შუამდგომლობა აკისკიდან (კავკასიაში) ოსმალეთში გადასახლების შესახებ.



არსებული წესების თანახმად ვიცე-კანცლერმა თავადმა გორჩაკოვმა სთხოვა ამის შესახებ დასკვნა თავად გრიგოლ ორბელიანს, რომელიც ამ დროს კავკასიის მეფის ნაცვლის მოვალეობას ასრულებდა.

თბილისში გაცხარდა მუშაობა. გადასინჯეს დასახლებულ ადგილთა ყველა სიები, შეისწავლეს ძველი და ახალი გეოგრაფიული რუკები, მაგრამ ვერავითარი აკისკა ვერ აღმოაჩინეს.

გრ. ორბელიანმა უპასუხა გორჩაკოვს და რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში თავად ლობანოვროსტოვსკის, რომ არ შეუძლია დასკვნის მოცემა, ვინაიდან გამოურკვეველია თუ სად არის ეს აკისკა, რომელიც არც ერთ რუკაზე და არც ერთ საქმეში არ მოიხსენიება.

ამ საკითხის გამო მიწერ-მოწერა რამდენიმე წელს გაგრძელდა. პეტერბურგიდან მოითხოვდნენ დასკვნის დაჩქარებას, თბილისიდან მოითხოვდნენ აკისკის ადგილმდებარეობის მითითებას... ბოლოს, 1867 წელს საქმე ჩაბარეს არქივს რადგან ვერ გამოიცნეს ეს გეოგრაფიული გამოცანა.

საქმე კი სულ უბრალო იყო — აკისკა ანუ ახისკა ქალაქ ახალციხის თურქული დასახლებაა.

(„ტიფლისკი ლისტოკის“ ილუსტრირებული დამატება № 20, 1900 წ.).

არქიტექტურული დანაშაული

თბილისის გენერალ-გუბერნატორი და საქართველოს სამოქალაქო ნაწილის მმართველი სიპიაგინი საამშენებლო საქმის დიდი მოყვარული იყო. თავისი მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან (1827 წელი) სიპიაგინმა დაარსა ქალაქის კეთილმოწყობის საგანგებო კომიტეტი და დაავალა მას სასტიკად თვალი ედევნებინა ახალი მშენებლობისათვის, რადგან იმ დროს ქალაქში ვისაც სად მოეპრიანებოდა იქ იწყებდა მშენებლობას და აშენებდა როგორც უნდოდა, ყოველგვარი არქიტექტურული წესებისა და ნორმების დარღვევით.

სიპიაგინმა მაგრა მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. განსაზღვრა გასაშენებელი ადგილები და მოითხოვა, რომ შენობათა ფასადები წინასწარ კომიტეტის მიერ ყოფილიყო დამტკიცებული. ამ წესის დამრღვევთ მოელოდათ სასჯელი, ყოველგვარი შეწყნარების გარეშე.

თბილისელმა მოქალაქემ ავეტიკ ხარაზოვმა წარადგინა კომიტეტში ასაშენებლად განზრახული სახლის ნახატი. კომიტეტმა მოიწონა იგი და მუშაობა გაჩაღდა. შენობა დამთავრებას უახლოვდებოდა, როდესაც საგუბერნიო არქიტექტორმა ბარაშკინმა დაათვალიერა მშენებლობა და კინაღამ გული შეუწუხდა:—ხარაზოვს ნება დართეს რომ აეგო იონური სტილის კოლონები, მან კი თვითნებურად შეცვალა პროექტი და დორიული კოლონები ააგო.

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ დორიულ კოლონებს იონური კარნიზი დაუტოვა.

ბარაშკინმა მაშინვე აკრძალა მუშაობის გაგრძელება და პოლიციის მეშვეობით შეატყობინა იონური კარნიზით დამშვენებული დორიული კოლონების მოყვარულს, რომ „ეს დაუშვებელია და ეწინააღმდეგება არქიტექტურული წესების სიმკაცრეს“.

ხარაზოვმა ეს აკრძალვა არაფრად ჩააგდო და განაგრძო მშენებლობა, თანაც მეტი მუშა დააყენა სამუშაოზე და ცდილობდა კარნიზის დაფარვას.

საქმე გადავიდა კომიტეტში. კოლონების იონური ორდენი აღდგენილ იქნა, ხოლო ხარაზოვის უხეშობისა და ჯიუტობის გამო პოლიციას ეცნობა, რათა სათანადო სასჯელი მიეღო... თუ რა სასჯელი დაედო მას ამ არქიტექტურული დანაშაულისათვის, არ არის ცნობილი.

ენამახვილი იმერელი

ეს ამბავი „ჭეშმარიტი ანეკდოტის“ სათაურით დაბეჭდილი იყო „საქართველოს გაზეთის“ № 11-ში (1820 წ. 12 მარტი), რომლის მასალები, (რუსულად თარგმნილი) დაცული იყო საცენზურო კომიტეტში, თვით გაზეთის ეს ნომერი კი არ შენახულა.

„ერთმა კომისიონერმა, რომელიც იმერეთის რომელიღაც ადგილას სურსათს ამზადებდა, გლეხისაგან პური შეისყიდა. მოხდა ისე რომ კომისიონერი გარდაიცვალა და ვერ მოასწრო გლეხისათვის ოცი ცარიელი ტომრის დაბრუნება. საპროვიანტო კომისიამ გაგზავნა მოხელეები, რათა წესისამებრ აეწერათ კომისიონერის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება. გლეხმა რომ გაიგო ეს ამბავი, გამოცხადდა ხსენებულ მოხელეებთან და სთხოვა მისი ტომრების დაბრუნება, მაგრამ მას უპასუხეს, რომ ვინაიდან კომისიონერი მოკვდა, მას შეუძლია ეს ტომრები მხოლოდ ღმერთს სთხოვოს... გლეხი დაბრუნდა სახლში და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მივიდა მოხელეებთან და უთხრა, რომ თანახმად მათი განკარგულებისა, იგი შეეევედრა ღმერთს, ხოლო ღმერთმა მიუთითა მას, რომ ტომრებისათვის მიმართოს კომისიას და თუკი კომისია არ დაგიჯერებს, მაშინ შეეკითხონ ღმერთს.

მოხელეებმა სავსებით სარწმუნოდ მიიღეს ამ გლეხის ჭკუამახვილობა და დაუბრუნეს ტომრები“.

ხ. ბანელი

ჰიპნოზი და მისი გამოყენება მედიცინაში

ჰიპნოზი წარმოადგენს ფსიქოთერაპიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს.

ფსიქოთერაპია გულისხმობს ექიმის დამამშვიდებელ, დამაწყნარებელ და გამამხნევებელ მოქმედებას ავადმყოფზე.

მკურნალის ასეთი ზეგავლენა განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს დაავადებულზე, რადგანაც უღვიძებს და უძლიერებს მას გამოჯანმრთელების რწმენას. ავადმყოფის ამ განცდას კი, როგორც ეს დადასტურებულია მეცნიერულად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს განკურნებისათვის.

სპეციალურ დაკვირვებათა შედეგად გამორკვეულია, რომ ფსიქოთერაპიით მკურნალობის ეფექტი მთლიანადაა დაფუძნებული შთაგონებაზე.

დადასტურებულია, რომ დადებითი ხასიათის გრძნობები ბიოლოგიურად აძლიერებენ ორგანიზმს, იმ დროს, როდესაც უარყოფითი შინაარსის ემოციები აკნინებენ და აავადებენ მას.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ფსიქოთერაპიული ზეგავლენა ავადმყოფზე ყოველთვის დადებითი განცდის წარმომქმნელია, სრულიად გასაგები ხდება ამ მეთოდის რეალური მნიშვნელობა სნეულებასთან ბრძოლის საქმეში.

აღნიშნულის გამო საბჭოთა მედიცინა ფართოდ იყენებს ფსიქოთერაპიის სხვადასხვა მეთოდებს.

ამ მეთოდთა შორის ჰიპნოზს საპატიო ადგილი უკავია.

ჰიპნოზი — ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ძილს.

ცნობილია, რომ მას წარმატებით იყენებდნენ, როგორც სამკურნალო მეთოდს, ძველ ეგვიპტესა და ინდოეთში.

შემდეგში, იმავე მიზნებისათვის, ჰიპნოზი იხმარებოდა საშუალო საუკუნეებშიაც.

საინტერესოა, რომ ამ პერიოდში მკურნალობის ეს მეთოდი მთლიანად ჩაგდებული ჰქონდა ხელში სამღვდელოებას.

რამდენადაც რელიგიის მსახურნი ცდილობდნენ ყოველთვის ხალხისათვის გზის აბნევას, ჰიპნოზის გამოყენებაშიაც არ ღალატობდნენ თავის საქმეს. სამღვდელოების მიერ ჰიპნოზი გამოცხადებული იყო, როგორც ზეძალათა მოქმედების გამოვლინება. ამ მისტიკურ და იდუმალების ბურუსით მოსილ განმარტებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ჰიპნოზური მდგომარეობის განვითარება მეტად თავისებურია.

უფრო მოგვიანებით, სახელდობრ მე-17, მე-18, მე-19 საუკუნეებში, განსაკუთრებით ევროპაში, ჰიპნოზს დაეუფლნენ სხვადასხვა კერძო პირები. ჭათ, ჰიპნოზის ირგვლივ, სამღვდელოების მიერ უკვე შექმნილ მისტიკურობის შარავანდედს, პირადი გამდიდრების მიზნით, უფრო მეტი იდუმალება მოჰფინეს.

ექიმბაშებმა მკურნალობის ეს მეთოდი ყველა დაავადებათა სამკურნალო ღონისძიებად გამოაცხადეს.

მისტიფიკაციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ხალხში. ათასობით აწყდებოდა ავადმყოფები მისტიფიკატორთა „სამკურნალო კაბინეტებს“.

ხალხში უფრო მეტი სენსაციის შესაქმნელად, ჰიპნოტიზორებმა, ჰიპნოზის შესახებ, თავისი საკუთარი „თეორიაც“ კი წამოაყენეს...

ამ „თეორიის“ მიხედვით, ზოგიერთი რჩეული ადამიანები (ე. ი. თვითონ ისინი) დაჯილდოებულნი არიან დაბადებიდანვე ე. წ. „ცხოველური მაგნეტიზმის“ ძალით, რომელიც თითქოს იმორჩილებს სხვა ადამიანს, იწვევს მასში ჰიპნოზურ მდგომარეობას და ამრიგად ჰკურნავს მას სნეულებისაგან.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ევროპის სხვადასხვა კუთხეში გაისმა მოწინავე მეცნიერთა ხმა იმის შესახებ, რომ ჰიპნოზი, როგორც მოვლენა სრულიად გასაგებია და არავითარ შემთხვევაში არაჩვეულებრივობას არ წარმოადგენსო.

მკვლევართა ამ ჭეშმარიტმა მეცნიერულმა აზრმა ვერ ჰპოვა მხარდაჭერა კაპიტალისტურ სამყაროში.

დღესაც, ევროპის მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და, განსაკუთრებით კი ამერიკაში, ჰიპნოზის ბუნება კვლავინდებურად მოსილია მისტიციზმით.

კაპიტალისტური ქვეყნების ცრუმეცნიერები თავისი ფულიანი პატრონების შეკვეთის შესაბამისად, ცდილობენ ცრუ თეორიების შემწეობით დაუმტკიცონ მშრომელთა მასებს, რომ ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური მოვლენები თავისი ბუნების მხრივ, თითქოს არაჩვეულებრივნი არიან.

მთელი რიგი ბიოლოგიური საკითხების გადაწყვეტა ასეთ ასპექტში კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ კაპიტალისტური სამყარო ამჟამად მთლიანადაა მოქცეული მორალური დეგრადაციის უფსკრულში.

სრულიად გასაგები მიზეზების გამო ჰიპნოზის ფიზიოლოგიური საფუძვლების საბოლოო დაზუსტება მოხდა საბჭოთა კავშირში.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ფართო საზოგადოება, ჰიპნოზს, როგორც ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ მოვლენას, ნაკლებად იცნობს. სტყვა ჰიპნოზი მთელ რიგ ამხანაგებში ჯერაც თავისებურ წარმოდგენას იწვევს. უპირველესად ყოვლისა, ასეთ პირებს ჰიპნოზისა ეშინიათ, მიაჩნიათ იგი რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენად, ხოლო მეორეს მხრივ, ის პირნი, რომელნიც აწარმოებენ ჰიპნოზს, წარმოდგენილი ჰყავთ როგორც განსაკუთრებული ნიჭით და შესაძლებლობებით დაჯილდოებული ადამიანები.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ასეთი შეხედულება ყალბია და არავითარ შემთხვევაში სინამდვილეს არ შეეფერება, ხოლო მისი არსებობა დღევანდლამდე, ზოგიერთ პირთა წარმოდგენებში, უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, საკითხის უცოდინარობით და, მეორეს მხრივ, კი იმ თავისებურებათა ანარეკლით თანამედროვეობაში, რომელიც გამოყოლილი აქვს ჰიპნოზს თავისი წარსულიდან.

ჰიპნოზის ბუნების მეცნიერული ახსნა დაკავშირებულია აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სახელთან.

ი. პ. პავლოვი საკუთარ დაკვირვებათა შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ჰიპნოზური მდგომარეობა და ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური ძილი ერთი და იგივე ხასიათის მოვლენაა. მისი აზრით, ამ ორი მდგომარეობის შორის არსებული განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივია: იმ დროს, როდესაც ფიზიოლოგიური ძილის გამომწვევი ე. წ. შეკავებითი პროცესი ფართოდაა მოდებული თავის ტვინის ყველა ნაწილში, ჰიპნოზური მდგომარეობის დროს, იმავე ხასიათის შეკავებითი პროცესი, თავისი გავრცელების მხრივ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, საგრძნობლად შეზღუდულია. ეს შეზღუდვა, ი. პ. პავლოვის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ შეკავება არ ვრცელდება თავის ტვინის გარკვეულ არეებზე, კერძოდ ე. წ. სმენითი ანალიზატორის ცენტრალურ ნაწილზე. პირიქით, თავის ტვინის ეს ნაწილი, ი. პ. პავლოვის თანახმად, იმყოფება აღგზნების მდგომარეობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ტვინის ქერქის ეს პუნქტი ფხიზელ მდგომარეობაშია. სწორედ ამ თავისებურებით ხსნის აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი იმ ფაქტს, რომ ჰიპნოზურ ძილში მყოფი ადამიანი არ ჰკარგავს სიტყვიერ კონტაქტს ექიმთან.

პუნქტს, რომელიც ფხიზლობის მდგომარეობაშია, სადარაჯო პუნქტი ეწოდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ჰიპნოზური მდგომარეობა ჩვეულებრივი ძილია იმ განსხვავებით, რომ იგი გამოწვეულია ხელოვნურად და — მისი არსებობისას შეკავებას განიცდის თავის ტვინის, მხოლოდ ზოგიერთი ნაწილი.

ჰიპნოზური ძილის გამოწვევა შედარებით ადვილი საქმეა, ამიტომ სავსებით მართალია დებულება, რომელიც ლაპარაკობს, რომ „ყოველი ადამიანი ჰიპნოტიზორია“; მაგრამ ამ მეთოდით წარმატებითი მკურნალობისათვის აუცილებელია სპეციალური გამოცდილება და, რაც მთავარია, მკურნავი ექიმი უნდა სარგებლობდეს ავადმყოფის თვალში დიდი ავტორიტეტით.

ჰიპნოზურ მდგომარეობას იწვევენ მრავალი წესით. ყველა ამ წესს საფუძვლად უდევს ერთი ძირითადი პრინციპი: საჭიროა ობიექტს, ვისაც შთაგონებენ ჰიპნოზურ ძილს, დაუღალონ ან მხედველობა, ან სმენა, ან კანის შეხებითი მგრძნობელობა. დაღლას აღწევენ რიტმიული, მონოტონური ხმაურით (მეტრონომი), ასეთივე მონოტონური სიტყვიერი შთაგონებით, ბრჭყვიალა საგნების ზემოქმედებით მხედველობის ორგანოზე, კანზე რიტმიულად ხელის შეხებით და სხვ.

გავერკვეთ, თუ როგორ იწვევს ჰიპნოზურ ძილს გრძნობითი ორგანოების დაღლა.

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ექსპერიმენტების შედეგად დამტკიცდა, რომ გრძნობითი ორგანოების დაღლა გადაეცემა თავის ტვინის ქერქის გარკვეულ არეებს, რომელნიც ამის ნიადაგზე იფიტებიან. გამოფიტვის შედეგად თავის ტვინის ამ ნაწილებში ჩნდება შეკავებითი პროცესი, რომელიც შემდეგ, ფიზიოლოგიური კანონების თანახმად, ვრცელდება თავის ტვინის სხვა მიდამოებზე. შეკავების გავრცელება კი თავის ტვინის ნაწილებზე, როგორც ეს აღნიშნული გვაქვს ზემოთ, იწვევს ჰიპნოზური ძილის მდგომარეობას.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჰიპნოზური მდგომარეობა როდი უნივთარდება ყველას. არიან პირები, რომელთა გადაყვანა ჰიპნოზურ ძილში ვერ ხერხდება. შემთხვევათა უმრავლესობაში ჰიპნოზის განხორციელება ადვილია ე. წ. ნევროტიულ, მგრძნობიარე პირებზე. შევჩნეულია ისიც რომ ახალგაზრდები უფრო ადვილად ემორჩილებიან ჰიპნოზს, ვიდრე წლოვანები.

ჩვეულებრივად განარჩევენ ჰიპნოზური ძილის სამ სტადიას: ზერელეს, საშუალო სიღრმისას და ღრმას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სრულიად არა სწორი შეხედულება იმის შესახებ, რომ ჰიპნოზური მდგომარეობის გამოწვევისათვის თითქოს ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა ადამიანის „ძლიერ ნებას“. ეს აზრი სრულიად მიუღებელია და არავითარ შემთხვევაში სინამდვილეს არ ასახავს.

ამა თუ იმ სიღრმის ჰიპნოზურ ძილში გადასვლა ინდივიდუალურია. უფრო ხშირად ვითარდება ჰიპნოზური მდგომარეობის პირველი და მეორე სტადიები, შედარებით იშვიათია ღრმა ჰიპნოზური ძილი. სამკურნალო ეფექტიანობის თვალსაზრისით ჰიპნოზური მდგომარეობის სამივე სტადია თანაბარფასოვანია.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მექანიზმები უდევს საფუძვლად ჰიპნოზით მკურნალობას. ძირითადი სამკურნალო მოქმედება მდგომარეობს იმ შთაგონებაში, რომელსაც აწარმოებს ექიმი ავადმყოფის მიმართ, რომელიც გადაყვანილია საამისოდ ჰიპნოზურ ძილში.

მთელი რიგი ავტორები იზიარებენ აზრს, რომ შთაგონება ჰიპნოზური ძილის პირობებში, მეტად ხელსაყრელია. მკვლევარები ასაბუთებენ ამ შეხედულებას შემდეგი მოსაზრებით: იმდენად, რამდენადაც ჰიპნოზური ძილის დროს თავის ტვინის ქერქის უმეტესი ნაწილი შეკავებას განიცდის, ავადმყოფი შთაგონებას ღებულობს ყოველგვარი კრიტიკისა და წინააღმდეგობის გაწევის გარეშე. ასეთი ხასიათის შთაგონება, მათი აზრით, თავისი შედეგების მხრივ განსაკუთრებულად ნაყოფიერია.

ჩვენ თავის ადგილზე აღვნიშნეთ, რომ მკურნალის ფსიქოთერაპიული ჩარევა მოქმედობს დადებითად ყველა დაავადებაზე; მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ფსიქოთერაპიით იკურნება ყველა ავადმყოფობა. რიგ დაავადებათა დროს ფსიქოთერაპიას აქვს მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო გარემოება: ფსიქოთერაპია ე. წ. ფსიქოპროფილაქტიკის სახით ფართოდ შეიჭრა მთელ რიგ სტაციონარებში.

უტყუარი მასალის საფუძველზე დადასტურდა ფსიქოპროფილაქტიკის უდიდესი როლი შშობიარობის გაუმტკივარების საქმეში. იგივე ფსიქოპროფილაქტიკის მეთოდი წარმატებით გამოიყენება ქირურგიულ პრაქტიკაში.

რომელ დაავადებათა დროს შეიძლება ჰიპნოზი გამოყენებული იქნას, როგორც უშუალოდ სნეულებაზე მოქმედი სამკურნალო ღონისძიება.

ავადმყოფობათა ასეთ ჯგუფს ეკუთვნის ის სნეულებანი, რომელნიც ცნობილია მედიცინაში ფუნქციურ ნერვულ დაავადებათა სახელწოდებით. ამ სნეულებათა დროს ორგანიზმში ტლანქ, ორგანიულ ცვლილებებს ადგილი არა აქვს; მათი განვითარების მიზეზად მიჩნეულია ორგანიზმის ბიოქიმიური პროცესების მოუწესრიგებლობა, რომელიც განხილება როგორც შედეგი თავის ტვინის ქერქის ცენტრალური რეგულიაციის მოშლისა. ასეთ დაავადებათა შორის აღსანიშნავია: ჰისტერიული მდგომარეობანი, ფსიქასთენია, ნევრასთენია, აკვიატებული შიში, მავნე ჩვევანი (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია), ფსიქონევროზები, შინაგან ორგანთა ნევროზები და სხვ.

აღნიშნულის გამო ჰიპნოზურ შთაგონებას, ფსიქოთერაპიის სხვა მეთოდებთან შედარებით, უპირატესობას ვერ მივცემთ. ეს მეთოდი მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორც ყველა სამკურნალო ღონისძიება მოითხოვს მკურნალისაგან ზუსტ ინდივიდუალიზაციას.

ფსიქოთერაპიის ამ მეთოდის გამოყენება პრაქტიკაში მოითხოვს ექიმისაგან დიდ გამოცდილებას, დახელოვნებას და ტაქტს, წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფი განკურნების მაგივრ შესაძლოა დამატებითად დაზიანდეს.

მით უფრო გაუგებარია შემთხვევები, როდესაც ჰიპნოზი ქცეულია ხოლმე ხანდახან ესტრადულ სანახაობად. ასეთი სეანსების სახალხოდ დაშვება, მეცნიერული თვალსაზრისით, ყოვლად მიუღებელია, რადგანაც ჰიპნოზური შთაგონება უვიც ჰიპნოტიზორების ხელში განსაკუთრებულად მავნედ მოქმედებს საზოგადოებაზე.

ჰიპნოზი, როგორც ერთ-ერთი სამკურნალო ღონისძიება, მხოლოდ მედიცინის მუშაკთა, და ისიც კვალიფიცირებული სპეციალისტების, კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს.

პროფესორი ი. მენთეშაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

იოანე საგაიტი თუ სინაიტი?

შალვა ნუცუბიძე

იოანე მოსხის ირგვლივ დღეს დიდი მითქმა-მოთქმაა მსოფლიო მეცნიერებაში. მასზე სწერენ და მის ამბავს არკვევენ ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ მეცნიერებაში. მას შემდეგ, რაც, სავსებით სანდო ისტორიულ დოკუმენტაციაზე დამყარებით, წამოყენებული იქნა თეზა, რომელიც ამტკიცებს, რომ VII საუკუნის დასაწყისის ქართული ძეგლი „სიბრძნე ბალაჰვარისა" ავტორი იოანე მოსხია (იხ. ჩვენი **К происхождению греческого романа о Варлааме и Иосафе**, თბ. 1956, გვ. 94-142), ამ საკითხისადმი ყურადღება არ წელდება. ეს საკითხი ღირსია ცალკე განხილვისა, მაგრამ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ერთი გარემოება, დაკავშირებული იოანე მოსხის სახელთან.

საკითხი ეხება იოანეს სახელთან ორი განსხვავებული სახელწოდების დაკავშირებას: „საბაიტისა" და „სინაიტის". მართლაც და, ბერძნულ წყაროებში იოანე მოსხი აღნიშნულია როგორც „საბაიტად", ისე „სინაიტად". ამ მოვლენას უდავოდ ესაჭიროება გამორკვევა, რადგან ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი გარემოება.

ბერძნული სიტყვახმარების „საბაიტი" („საბაიტოს") სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ქართულ „საბაწმიდელს", რაც ქართული წყაროებით უკავშირდება იოანეს სახელს და იწარმოება საბაწმიდის სავანისაგან, რაც როგორღაც გამოხატავდა იოანე მოსხის კავშირს ამ სავანესთან. ასეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ბერძნულ სიტყვა „სინაიტასაც", ე. ი. ამით იოანე, აგრეთვე, უკავშირდება სინას მთაზე არსებულ სამოღვაწო ცენტრს. მათი გამოყენების მხრივ არსებითი განსხვავება ამ ორ სახელწოდებას შორის არ უნდა იყოს. ამიტომ, არავითარ პრობლემად არ იქცევა, როცა მოღვაწეს რომელიმე ადგილთან — იქნება ეს საბაწმიდა, სინა, თუ ათონი ანუ მთაწმიდა და სხვ. — დაკავშირებით ეწოდება საბაწმიდელი, სინაელი. ათონელი, მთაწმიდელი და ა. შ. რა თქმა უნდა, სხვა საკითხია, როცა დასადგენია თვითონ ფაქტი — იყო თუ არა ესა თუ ის მოღვაწე მართლაც დაკავშირებული ამა თუ იმ ადგილთან. [1]

ამდენად, მაგალითად, მთაწმიდელობა ან სხვა მისდაგვარი, მაინცდამაინც არაა საძებარი და საკვლევი. ამ საკითხების სპეციალისტი აკადემ. კორნელი კეკელიძე აღნიშნავს: „სახელწოდება „საბაწმიდელი" შეიძლება მივსცეთ ყველას, ვინც კი აღნიშნულ ლავრაში მოღვაწეობდა; მაგრამ საგანგებოდ და სპეციალურად ასეთს სახელს ატარებდნენ ხოლმე „მამასახლისები" ან „წინამძღვრები" ამა ლავრისა" („ლიტერატურული ძიებანი", 111, 1946, გვ. 269 აკად. კ. კეკელიძის ნაშრომი „მარტვირი ქართველი"). გამოდის, რომ ასეთი მოღვაწეობის ადგილთან დაკავშირებული სახელწოდება შესაძლებელი ყოფილა ფართო და ვიწრო მნიშვნელობით: პირველი საზოგადოდ მოღვაწეობასთან ყოფილა დაკავშირებული, ხოლო მეორე — თანამდებობრივ მდგომარეობასთან.

იოანე საბაწმიდელის შესახებ ცნობილია, რომ იგი ერთ ხანს მოღვაწეობდა საბაწმიდის მონასტერში, თუმცა თანამდებობა არა ჰქონია, მეორეს მხრივ, არ მოიპოვება ცნობები მისი ასეთივე ხანგრძლივი მოღვაწეობის შესახებ სინას მთაზე და, მიუხედავად ამისა, სინაელის („სინაიტის") წოდება მაინც უკავშირდება მის სახელს. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ იგივე იოანე ხაკმაოდ ხანგრძლივად მოღვაწეობდა თეოდოსეს მონასტერში, სადაც მას დამოწაფებული ჰყავდა სოფრონი, მომავალი იერუსალიმელი პატრიარქი (VII ს. პირველ ნახევრისა). მიუხედავად ამისა, მას — იოანეს — არც ერთი ძეგლი არ იხსენიებს როგორც „თეოდოსიელს".

აკად. კ. კეკელიძე სამართლიანად აცხადებს, რომ „ხახელწოდება „საბაწმიდელი" შეიძლება მივსცეთ ყველას, ვინც კი აღნიშნულ ლავრაში მოღვაწეობდაო", მაგრამ აქედანვე ცხადია, რომ აქ სავალდებულო არაფერი იყო და იოანე საბაწმიდელის შემთხვევაშიც სწორედ ისე მოქცეულან, როცა მას არ უწოდეს „თეოდოსიელი". ცხადია, რომ იოანე მარტო იმის გამო, რომ ის თეოდოსეს მონასტერში მოღვაწეობდა, არ იქნა საგანგებო სახელწოდებით შემკული. ამავე დროს ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ იოანეს მოღვაწეობა სინას მთაზე არაა ხანგრძლივად დადგენილი, ამან მაინც არ შეუშალა ხელი, რომ იგი „სინაიტად" წოდებულიყო. პატივცემულ აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებების მიხედვით ირკვევა, რომ ამა თუ იმ სავანეში (ლავრაში) ყოფნა და მოღვაწეობა თავისთავად არ ყოფილა საკმარისი ამისდა მიხედვით სახელწოდების მიცემისათვის. ამასვე ადასტურებს იოანე საბაწმიდელის შემთხვევა. თეოდოსეს მონასტერში მისი საკმაოდ ხანგრძლივი მოღვაწეობა, როგორც ითქვა, დადასტურებულია, მაგრამ მას სათანადო სახელწოდება (თეოდოსიელი) არ მიუღია.

იოანე, როგორც ითქვა, სინას მთაზე მაინცადამაინც ნამოღვაწარი არ ჩანს და ამის შესახებ შორეული ცნობები არსებობს, მაგრამ მას „სინაიტის" სახელწოდება მაინც შერჩა. ეს ორი დასახელებული გარემოება საბოლოოდ ნათელჰყოფს, რომ მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა რომელიმე მონასტერში მოღვაწეობას არ ჰქონია.

თვით თანამდებობრივი მდგომარეობა („მამასახლისობა", „წინამძღვრობა"), როგორც საფუძველი ადგილმოღვაწეობის მიხედვით სახელწოდების მიცემისა, ჩანს, თავისთავად კი არ იყო გადამწყვეტი, არამედ იგი გარკვეულ სამწერლო „ხაკითხავ" წიგნთა შექმნასთან იყო დაკავშირებული. გრიგორი მარტვირის (VI-VII ს.) საბაწმიდელობის ახსნასთან დაკავშირებით პატივცემული აკადემიკოსის კორნელი კეკელიძის მიერ მოყვანილი ხაბუთი — მარტვირის წიგნიც ადასტურებს, რომ სწორედ ამ წიგნის შეთხზვა აღმოჩნდა გადამწყვეტი (აკად. კ. კეკელიძე. დახასელებული ნაშრომი და ადგილი). ამდენად, ეს ეჭვიანებოდა ესა თუ ის ხასოლიერო მოღვაწე არც გამხდარიყო თანამდებობრივი პირი, მაგრამ თავისი სამწერლო დამსახურებით მაინც დაემკვიდრებინა სახელწოდება სამოღვაწო ადგილის მიხედვით.

სწორედ ასეთ მდგომარეობას უნდა ჰქონდეს ადგილი იოანეს შემთხვევაში: მას შერჩა ორი სახელწოდება — „საბაწმიდელი" (ოფორო ხშირად) და „სინაიტი" იმის მიხედვით, რომ ის ორივე ადგილს — საბაწმიდას და სინას — დაუკავშირდა თავისი სამწერლო მოღვაწეობით. ეს უკანასკნელი გარემოება დადასტურებულია ბერძნული ტექსტებით (იხ. ჩვენი „ბერძნული რომანის წარმოშობა" — გვ. 30 და სხვ.). არაა საჭირო განსაკუთრებულად შევჩერდეთ სინას ხელნაწერებში დაცული № 78 ხელნაწერში (287 გვერდზე) გაკეთებულ მინაწერზე, რომელიც 1031 წლით თარიღდება, სადაც დასახელებულია იოანე „ბოლოგოთელი", რაც იმავე დროს „სინაელს" უნდა ნიშნავდეს (ბოლოგოთა სინაზეა). მართალია, თავის თავს ეს იოანე ბოლგოთელი „სოფრონ პატრიარქის მოწაფედ" აცხადებს, მაგრამ სიტყვა „მოწაფემან", როგორც მინაწერშია, თუ იგი შეცდომით არაა დაწერილი სიტყვა „მოძღვარ)მან"-ის, ნაცვლად, ჩვენთვის არაფრის გამრკვევი არაა და პროფ. ა. ცაგარელის შენიშვნა, რომ აქ მეორე სოფრონ პატრიარქზეა ლაპარაკი — ბევრს არაფერს ნიშნავს.

როგორც ცნობილია, სინას მონასტრის ქართული ხელნაწერის აღწერილობაში ნათქვამია, რომ „სამოთხის" მოქმედ პირთა ისტორიების აღწერა მოახდინა „იოანე, მოძღვარმან სოფრონ პატრიარქისამან", (და არა „მოწაფემან"). ეს ნუსხა, ა. ცაგარლის მიხედვით, ითვლება XIV-XV საუკუნისად. ნამდვილად კი იგი X ს. ნუსხადაა მიჩნეული. ამ სიტყვას — „მოძღუარს" — თავისებური ბედი ჰქონია: იგი X საუკ. გადამწერმა ასე შემოინახა, ხოლო XIX საუკ. იგი პროფ. ალ. ცაგარელმა რუსულად სიტყვა „**духовник**"-ად თარგმნა, რაც, აშკარაა, სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან, როგორც ვიცით, არსებობდა იოანე მოსხი — მასწავლებელი, აღმზრდელი სოფრონისა (შემდეგში პატრიარქისა). (იხ. **А. Цагарели, Памятники грузинской старины в с. Земле и на Синае, 1883, С П Б** გვ. 239).

უახლოესმა მკვლევარმა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ცნობილმა ორიენტალისტმა ჟერარდ გარიტმა გაასწორა პროფ. ა. ცაგარლის შეცდომა და სიტყვა მოძღვარი ლათინურად თარგმნა როგორც **magister** (იხ. **Gerard Garitte**, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, ლუვენი, 1956 წ. გვ. 140).

ამ ცნებებს ჩვენი საკითხისათვის ის მნიშვნელობა აქვთ, რომ იოანე მოსხის სახელთან, რომელიც ცნობილია, როგორც სოფრონ პალესტინელი პატრიარქის აღმზრდელი-მასწავლებელი, ასევე უდავოდ დაკავშირებულია სახელწოდება „სინაიტი". როგორც აღინიშნა, ამ გარემოებას სინას ქართულ მინაწერში მოყვანილი სახელწოდება „ბოლგოთელი" (ხელნაწ. № 78, იხ. ჟერარდ გარიტის დას. ნაშრომი, გვ. 233-34) არ სცვლის და, საფიქრებელია, არც ეხება. ამის შემდეგ შეიძლება გარკვეულად ჩაითვალოს, რომ სინას მთაზე ჩატარებულა ერთი ნაწილი იოანე მოსხის მოღვაწეობისა, რომელიც მის მიერ იქ, სავსებით ან ნაწილობრივ, შესრულებულ თხზულებასთან არის დაკავშირებული, რა გარემოებაც დაედო საფუძვლად იოანეს „სინაიტობას".

ამ გარემოებას ადასტურებს სინას მთაზე აღმოჩენილი ის ხელნაწერი, რომლის ნუსხას ალ. ცაგარელი XIV ს. ვარაუდობს და რომელშიაც დაცულია წიგნი ზედწერით: „ამას წიგნსა ეწოდების „სამოთხე", რომელსა შინა წერილ არიან: საქმენი და განგებანი წმიდათა მამათა და ქრისტეს მოყუარეთა დედათანი... რომელნი იგი **აღწერა იოანე**, მოძღუარმან **სოფრონ პატრიარქისამან**". ამ ზედწერაში არაა მოხსენებული იოანეს სახელწოდება „სინაიტი" არც „მოსხი", როგორც მისი ქართველ ტომთაგან წარმოშობის მაჩვენებელი, მაგრამ აქ ნათქვამია, რომ ეს იოანე იყო სოფრონ პატრიარქის „მოძღვარი" და ამით ყველაფერია თქმული, რაც სხვა წყაროებით ამომწურავადაა დასახელებული (იხ. ჩვენი დასახ. ნაშრომი და ციტ. ადგილები). ჩვენ დღეს ამ საკითხებს არ ვეხებით; ჩვენთვის აქ სხვა რამეა მთავარი; როგორც ვნახეთ, იოანეს, რომელიც მოსხად იგულისხმება სოფრონ პატრიარქთან კავშირის გამო, შერჩენია ორი სახელწოდება: „საბაიტი" და „სინაიტი" და თანდათანობით ირკვევა ამ ორმაგი სახელწოდების საბაბი და ისტორიულ-კულტურული გარემო.

ერთი ამ სახელწოდებათაგანი — „სინაელი" („ბერძნული „სინაიტოს"), დამოუკიდებლად მეტი თუ ნაკლები ხნით სინას მონასტერში ყოფნისა და მოღვაწეობისაგან, არსებითად დაკავშირებულია ნოველათა იმ კრებულის შედგენასთან, რომელსაც, ცნობილია, „სამოთხე" ეწოდებოდა (ბერძნულად „ლიმონარიოს" ანუ „პარადაიზოს"). სინას მთაზე ეს თხზულება იოანე მოსხის სიცოცხლეშივე გაჩენილა და ქართულ ენაზე ყოფილა. ქართულ ნუსხაში შემონახულ აღწერილობაში არაფერია ნათქვამი, რომ „სამოთხე" ბერძნულადაც არსებობდა. დაუშვებელია, რომ „სამოთხის" ქართული ტექსტის აღმწერელს არ სცოდნოდა, რომ კრებული „სამოთხე" ბერძნულადაც არსებობდა, რადგან, როგორც აქვე ჩანს, კარგად იცოდა, რომ სოფრონ პატრიარქი მოწაფე იყო იოანე მოსხისა. და რომ მან ამ თავის მოწაფეს კრებული „სამოთხე" მიუძღვნა და როგორც შესავალი „სამოთხისა", რომელშიც ეს მიძღვნაა მოთავსებული, ისე მთელი ტექსტი სავანგებოდ ბერძნულადაც იყო შესრულებული.

ცხადია, რომ „სამოთხე" სინას მთაზე ქართულ ენაზე არსებობდა ქართულ ხელნაწერთა შორის და მისი აღწერილობა არ მიუთითებს, რომ ის გადმოთარგმნილია. პირიქით, იმ კრებულში, რომელშიაც „სამოთხეა" მოთავსებული, მისი წინამორბედი ძეგლის შესახებ ნათქვამია, რომ „სიტყუანი იგი ეკლესიისათვის **ითარგმნეს**"... ხოლო ამის შემდეგ მომდევნო „სამოთხის" შესახებ არაა აღნიშნული, რომ იგი ითარგმნა. ეს გარემოებაც უმნიშვნელო არ უნდა იყოს, რამდენადაც იგი ეხმაურება „სამოთხის" შესახებ ჩვენს გამოკვლევაში წამოყენებულ დებულებას, რომ „სამოთხეს" ნოველები ერთსა და იმავე დროს ქართულადაც და ბერძნულადაც დაიწერა. ჩვენს გამოკვლევაში („ბერძნული რომანის წარმოშობა და სხვ." გვ. 137-141) განხილულია, რომ ბერძნული და ქართული ნოველების რიცხვი არ ემთხვევა ერთიმეორეს და, შესაძლოა, ზოგი ქართული ნოველა ბერძნულისაგან იყოს გადმოკეთებული და — პირიქით, მაგრამ არის ერთი ბირთვი ნოველებისა, რომელიც ორივე ენაზე დამოუკიდებლად არის შექმნილი.

ეს გარემოება მოკლედ, მაგრამ შესანიშნავად დაადასტურა, პროფ. ხ. ყაუხჩიშვილმა „სამოთხის" ნოველების ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებით. (იხ. ხ. ყაუხჩიშვილის წერილი „მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი", „ცისკარი", 1958, № 1, გვ. 99-102).

დღეხდღეობით ჩვენთვის მთავარია ის, რომ სინას მთაზე იქნა დაწერილი თხზულება იოანე მოსხისა. ნოველების კრებული, საერთო სათაურით — „სამოთხე", რომლის ნიადაგზე მას „სინაიტი" ეწოდა. მართალია, ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ X საუკუნის ნუსხა ამ ძეგლისა, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას, რადგან იოანე მოსხს „სინაიტი" შეიძლებოდა წოდებოდა მხოლოდ სინას მონასტერში თავისი სახელოვანი თხზულების შესრულებისათვის.

ეს ფაქტი იმდენად მტკიცედაა დადასტურებული, რომ აქ ჩვენთვის არაა საჭირო იოანეს მიერ დასახელებული ძეგლის შესრულების თარიღის დადგენაზე საგანგებოდ ერთხელ კიდევ ლაპარაკი (იხ. ამის შესახებ ჩვენი დასახ. ნაშრ. და ადგილები). გამორკვეულია, რომ „სამოთხე" დაიწერა მანამდე, ვიდრე იოანე იძულებული იქნებოდა დასავლეთისაკენ ლტოლვილის სახით გადახვეწილიყო სოფრონთან ერთად (VII საუკუნის დასაწყისში).

ამავე იოანეს ბერძნული წყაროები ოფოდებენ საბაწმიდელს („საბაიტს"). ასეთია, მაგალითად, ადრინდელი ხელნაწერი ე. წ. ნანიანის ბიბლიოთეკისა, № 137 (იხ. ჩვენი დასახ. ნაშრომი, გვ. 51 და სხვ.), სადაც პირდაპირ ნათქვამია „იოანე საბაწმიდის სავანის ბერის" შესახებ. ეს „საბაწმიდელი" („საბაიტი")

---

[1] სახელწოდება „სინაიტი" იოანეს მიმართ დაცულია XVI. ბერძნულ ხელნაწერებში: ხელნაწერი ფრანგულ ნაც. ბიბლიოთეკის 908, მიუნიხინის ბიბლიოთეკის ორ ხელნაწერში 138 და 188 და სხვ. არსებობს შემცდარი აზრი, თითქოს „სინაიტი" გადამწერლის მიერ შეცდომით წაკითხული „საბაიტია".

უკავშირდება ახალი რედაქციით ინდური თქმულების შექმნას (როგორც ბერძნულად ისე ქართულად). ამ რთულ საკითხებს ახლა არ გამოვუდგებით: ისინი ჩვენ გავარკვიეთ და სათანადო კრიტიკული შენიშვნები დასავლეთის მეცნიერებაში ჯერ არ ჩანს (იხ. ჩვენი წერილი უნივერსიტეტის შრომებში 1958 წ. К происхождению греческого романа. Обзор научной дискуссии на Западе).

ნოველათა კრებული „სამოთხე", როგორც ეს აღნიშნულია მის შესავალში და მთელ კრებულშიაც, „სულის მარგებელ" მოთხრობებს („ფსიხოფელეს") შეიცავს, რომელიც, ყოვლის უწინარეს, ძმათა საკითხავად და ზნეობრივი წარმატებისათვის იყო გამიზნული. ამდენად იგი სავსებით შეეფერებოდა იმ წიგნთა ნაირობას, როგორსაც წარმოადგენდა „საკითხავი" გრიგორი მარტვირისა, და რომლის მიხედვით იგი სულიერ წინამძღვრად გამოდიოდა სწორედ საბაწმიდას ლავრაში.

დღეს ცნობილია, რომ ასეთი უაღრესად „სულთამარგებელი" ეწოდებოდა იმ თხზულებასაც, რომელიც იყო შექმნილი იმავე საბაწმიდის მონასტერში იოანეს მიერ, მარტვირი ქართველის მოღვაწეობის მომდევნო საუკუნეში (VII) და რომელიც ასევე „საბაწმიდელად" იქნა წოდებული. რამდენადაც ამ თხზულებას, რომელსაც ეწოდებოდა „სიბრძნე ბალაჰვარისა", უკვე ზედწერაში აქვს აღნიშნული, რომ მასში მოთხრობილია „საქმენი ამის სოფლისანი, ფრიად ხარგებელნი სულისანი", ამდენად აშკარაა, რომ მისი მიზანდასახულობა იხეთივეა, როგორც მარტვირი ქართველის „საკითხავისა". ორივე შემთხვევაში წიგნის მნიშვნელობა და მიმართვა მკითხველ ძმათა მიმართ ნათელყოფს, რომ ორივეს „საბაწმიდელობა" ამაზე იყო დაფუძნებული.

მარტვირი ქართველის მიმართ ისევე არ ჩანს ნათლად მისი სხვა „ხელმძღვანელობა" თანამზრახველთა მიმართ, როგორც არ ჩანს ის არც იოანეს მიმართ, მხოლოდ ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეულ დანიშნულების ნაწარმოებთან. აქედან აშკარაა ისიც, რომ იოანეს საბაწმიდელობაც ასეთი სახელმძღვანელო თხზულების დაწერაზე იყო აგებული, ესე იგი ეს გარემოება „სიბრძნე ბალაჰვარისი"-ს შექმნაზეა დაფუძნებული.

ამდენად, ერთი და იმავე იოანესათვის ორი სახელწოდების — „საბაიტისა" და „სინაიტის" მიკუთვნება თითქოს გასაგები ხდება. ბერძნული წყაროები, რომლებიც ზევით იყო მოხსენებული, ამ ორ სახელწოდებას მიაწერენ ერთსა და იმავე პირს — იოანეს, რომელიც „საბაიტიც" არის და „სინაიტიც" [1]. მაგრამ იოანე. როგორც ავტორი „სიბრძნე ბალაჰვარისა", არაა მოხსენებული ჩვენამდე მოწეულ ქართული ძეგლის თავწერაში. ეს თავწერა, როგორც ცნობილია, გაკეთებულია ამბავის მომთხრობელის (თუ ჩამომტანის — წერილობითაც და ზეპირადაც) სახით და ეს პირი არაა თვითონ იოანე. ამდენად ცდებიან ისინი, ვინც იოანეს ინდოეთში არყოფნას საბუთად იყენებენ მისი ინდური ამბავის ქართულად გადმოკეთების შესაძლებლობის წინააღმდეგ. ზედწერა ავტორის სახელისა არ იყო იმ დროს სავალდებულო ასეთი ხასიათის ნაწერებისათვის (ხანდახან სხვებისათვისაც). იოანე მოსხის სახელი არაა აღნიშნული არც „სამოთხის" ზედწერაში, რამაც ერთ ხანს ეჭვიც გამოიწვია მისი ავტორობის გამო (იხ. ჩვენი დასახ. გამოკვლევა, გვ. 100), მაგრამ შემდეგში დადგენილ იქნა იოანე მოსხის ავტორობა. პროფ. ფრ. დელგერთან კამათის დროს ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ბერძნული წყაროების მიერ ინდური ამბავის, რომელიც ბერძნულ რედაქციას საფუძვლად დაედო, შემქმნელის სახელი სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ ის ქართული „სიბრძნე ბალაჰვართან" არ იყო დაკავშირებული. ჩვენთვის ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ფაქტი, რომ ბერძნული წყაროები ინდური თქმულების ქრისტიანულ ვარიანტის შემქმნელად იოანეს სთვლიან. და ამ გარემოებასთან დაკავშირებით მას დაუმკვიდრის „საბაიტის" სახელწოდება.

ამის შემდეგ შესაძლებელი ხდება გაირკვეს ის ფრიად თავისებური მოვლენა, რომ ერთსა და იმავე პირს — იოანეს (VI-VII) მოღვაწეს და მწიგნობარს, რომელიც თეოდოსეს, საბაწმიდასა, სინას და სხვ. მონასტრებში მოღვაწეობდა, ორი სახელწოდება დაუმკვიდრდა. უფრო ადრე დაიწერა ნოველათა კრებული „სამოთხე", რაც იოანეს სინას მთაზე პერიოდულად ყოფნასა და იქაურ ქართველობასთან კავშირს დაემთხვა. სინას მთის ხელნაწერთა აღწერას, რომლის, როგორც ვიცით, X საუკუნის ნუსხა გვაქვს შემონახული, აშკარად აღუნიშნავს ავტორი და არა მთარგმნელი: „რომელი იგი აღწერა იოანე მოძღუარმან სოფრონ პატრიარქისამან", ე. ი. იოანე მოსხმან. ყველა ამასთან დაკავშირებით იოანე მოსხი, ავტორი „სამოთხისა", იწოდა „სინაიტად". ბერძნული წყაროები იმავე იოანეს უწოდებენ, აგრეთვე, „საბაიტად", რაც იმავე წესით უკავშირდება საბაწმიდაში ინდური ამბავის ქრისტიანიზაციას ქართულ ენაზე „სიბრძნე ბალაჰვარის" სახით. ეს გარემოება სავსებით ეთანხმება დებულებას, რომ ბერძნულ წყაროებს ჰქონიათ საშუალება სცოდნოდათ, რომ არათუ „სიბრძნე ბალაჰვარისა" არის იოანე საბაიტის დაწერილი, არამედ ისიც, რომ ამავე იოანეს დაწერილია ასევე „სულთამარგებელ" მოთხრობათა კრებული, რომლის ქართული რედაქცია „სამოთხედ" იწოდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ თუ „სამოთხის" ავტორი იოანე — იოანე მოსხი იყო და „სინაიტი", იგივე იოანე სხვა ნაწარმოებთან („სიბრძნე ბალაჰვარისა") დაკავშირებით „საბაიტად" წოდებული, იგივე იოანე მოსხი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად იოანეს სახელწოდება „სინაიტი" და „საბაიტი" არათუ ერთი და იგივე პირის სახელწოდებაა და ამდენად არ შეიძლება დაისვას საკითხი — „სინაიტი" თუ „საბაიტი"? — არამედ ამ ორივე სახელწოდების მქონე იოანე — იოანე მოსხია. ამდენად მარტივად და უდავოდ მტკიცდება, რომ თხზულების— „სიბრძნე ბალაჰვარისა" — ქართული რედაქციის ავტორი არის იოანე მოსხი — ქართველი ორენოვანი მწიგნობარი (ცხოვრობდა 555-634 წ. წ.).

სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობამ, განგვიმარტა რა „სინაიტის" სახელწოდების იოანე მოსხისათვის მიკუთვნების შესაძლებლობა, გზა გაგვიხსნა „საბაიტის" ასახსნელადაც და ორთავეს იოანე მოსხთან დაკავშირებაში დაგვარწმუნა. საქმეში ჩახედულმა ამ აღმწერელმა, როდესაც ნოველათა კრებულ „სამოთხეზე" ლაპარაკობს, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ეს სათაური — „სამოთხე" ქართული რედაქციის სათაურია, რომლის გარდა და რომლის გვერდით არსებობდა ბერძნული ვარიანტი, თავისი საკუთარი სახელწოდებით („პარადიზი" ანუ „ლიმანარი"), მაგრამ მან არ აღნიშნა, რომ ქართული ბერძნულიდანაა თარგმნილი, როგორც მან, როგორც ითქვა, ეს იმავე ქართულ კრებულში „სამოთხის" წინამორბედი „სიტყვების" თარგმანობა აღნიშნა. ქართულ „სამოთხისაც" არ აწერია ავტორი, მაგრამ სინას მონასტრის ქართულ ხელნაწერების აღმწერელმა იცის, რომ ის იოანე მოსხია.

ასე მარტივად წყდება ეს დიდი ისტორიულ-კულტურული საკითხი: „სინაიტი" და „საბაიტი" — ერთი და იგივე ქართველი მწიგნობარი VI-VII ს. იოანე მოსხია, „სამოთხით" დაკავშირებული სინას მთასთან, სადაც ქართულ, ბერძნულ, არაბულ და სხვა ენებზე იქმნებოდა ძეგლები VI-VII IX-X საუკუნეებამდე, ხოლო „სიბრძნე ბალაჰვარისით" — საბაწმიდასთან.

იოანე მოსხის საკითხი, როგორც აღინიშნა, მას შემდეგ, რაც იგი აღიარებულ იქნა ჩვენს მიერ „სიბრძნე ბალაჰვარის" ავტორად, საკმაოდ მწყავე დისკუსიის საგანი გახდა დასავლეთის მეცნიერებაში. ჩვენი თეზა მეტად მოულოდნელ ამბავად მოეჩვენათ. ჩვენშიაც საკმაოდ ცნობილმა მკვლევარმა, რომელიც ზემოთაც დავახასელეთ, ჯერარდ გარიტმა, ჩვენს დებულებას ერთ-ერთ კონგრესზე „საკმაოდ პარადოქსალური" უწოდა. ეს ჩვენ არ გვაკვირვებს: ჯერ კიდევ არტურ შოპენჰაუერი ამბობდა — ყოველი ახალი აზრი ჯერ პარადოქსალურია. შემდეგ საეგებლო და ბოლოს — ნამდვილია.

ასევე შეშოოთდნენ გერმანელი მკვლევარი პროფ. ფრ. დელგერი (იხ. „ბიზანტ. ცაიხშარ.. 1957 წ. № 54). ბილგიერი მეცნიერი პაულ დივო, რომელმაც ჩვენს დებულებას „ახალი თეზა" უწოდა (იხ. ანალექტა ბოლ. 1957, № 75, გვ. 83-104) და ზოგიერთი სხვაც, რომელთაც იოანე იმთავითვე „საიდუმლოებით მოცულად" მოეჩვენა.

შეიძლება იოანე მოსხის საკითხის ეს მარტივი დასაბუთება. რის საშუალებაც მოგვცა სინას მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობის ნუსხამ, დაეხმაროს ამავე საკითხის იმ რთულ დასაბუთებას. რომელიც მოცემულია ჩვენს სპეციალურ ნაშრომში ბერძნული ბალაჰვარიანის წარმოშობის შესახებ.

1 ზოგ შემთხვევაში ბერძნულ წყაროებში ცოტაოდენ აღრევას აქვს ადგილი მაგ. ბოდლიანურ ხელნაწერში 89, იოანე დასახელებულია მოღვაწედ „წმიდისა სინაიტისა (ბერძნულად: „მონეს ტუ აგიუ სინაიტუ").

მესამე დღეს

(გაგრძელება. იხ. გვ. 10)

ლეულის ხაყიდლად, სანამ დაბრუნდებოდა, ლევანი ლოგინში დაუხვდა ჩაწოლილი.

იმ ხალამოს ლევანს მშვიდად ეძინა, გურამმა ნამცხვარით პირი ჩაიგემრიელა და დაიძინა, მაგრამ ვერ დაიძინა მართამ. ასეთ დღეში არასოდეს არ ყოფილა, ფულმა ფიქრი გაუჩინა. „მოდი, ჯუბას ვიყიდი", თქვა მან გულში, მაგრამ მოაგონდა, ზაფხული რომ იყო და ხომ ვერ ჩაიცვამდა. „კაბებს ვიყიდი, აი, ხვალ მეზობელ მხატვარს ლხინი აქვს, ახალი კაბით ვეწვევი, ლევანსაც ჩესუჩის კოსტუმს ვუყიდი, ხალხში რიგიანად გამოვჩნდებით... ლევანი თხუპნიაა, კოსტუმზე ღვინოს ჩამოისხამს".

კაბიდან ცოლის ფიქრი მიწვდა ძვირფას ავეჯს, ბინას, ოცნებამ ფოთოლივით აიტაცა, ქვეშ მიწა გამოეცალა, ლაღ ფრინველივით ჰაერში გაინავარდა.

გონს რომ მოეგო, გვიან იყო.

მალე უნდოდა გათენებულიყო, ფული ბალიშქვეშ ამოდო, შუქი გამორთო და ლოგინში ჩაწვა.

ეზოს ელნათური ფანჯარას პირდაპირ ანათებდა, მისი შუქი კედელზე ჩამოკიდებულ გიტარას დაციმციმებდა. ვარდისფერი ბაფთა პეპელასავით იჯდა ტარზე. ეს გიტარა ყოველ ხალამოს ყღერდა, მის სიმებს მართა ხან მხიარულად ამღერებდა, ხან სევდიანად აკვნესებდა, ლევანიც მღეროდა, ბიჭსაც კარგი ხმა ჰქონდა. მეზობლები უსმენდნენ მათ დაკვრა-სიმღერას, ზოგს ცოლის ხმა მოსწონდა, ზოგსაც ლევანის სატრფიალო ლექსი აცინებდა.

ამ ხალამოს მართას გიტარისკენ არც მიუხედავს, არც ლევანს მოჰგონებია სიმღერა. ახლა კი ძილგამკრთალ მართას თვითონ გიტარა იწვევდა, ერთ ხანს უცქირა განათებულ გიტარას, მერე გულში რაღაც ჩაიმღერა და შემდეგ მშვიდად ჩაიძინა.

შაბათი გათენდა.

უნივერმაღში მისი მოსაწონი რომ ვერაფერი აღმოაჩინა, ვიღაც გადამყიდველს სახლში მიადგა და მართლაც ისეთი კაბა იყიდა, რომლის მსგავსი ეზოში კი არა, უბანში არავის ეცვა.

ლევანი ადრე მოვიდა სამუშაოდან. მართა ახალ კაბაში დაუხვდა.

— როგორია? მოგწონს?!

— რა უშავს! — ლევანმა უგულოდ შეავლო თვალი კაბას, მაგიდას მიუჯდა და სადილი მოითხოვა.

— მაჭამე რამე!

— არაფერი გამიკეთებია! ვერ მოვასწარი. მოდი, ფუნიკულიორზე წავიდეთ, იქ წავიხემსოთ ცოტა და მერე ხალამოს მაინც ლხინში ვართ მიწვეულნი.

— იფ, რა კარგია, ფუნიკულიორზე კი არა, ახლა თვითმფრინავში მოინდომე სადილობა!

— კარგი, კარგი, ნუ მიჯავრდები!— მიუალერსა ცოლმა. გასჭრა მისმა ალერსმა, ლევანი გამოეწყო, ბიჭიც მორთეს, მაგრამ მართა სარკეს ვერ მოსცილდა.

— სარკე ვერაფერს შეგმატებს, გეყოფა, წავიდეთ!

— ერთ წუთს, კიდევ ერთ წუთს!— მართამ თმაზე ჯაგრისი გადაისვა, მერე შეტრიალდა და კაბას გვერდზე გახედა, ლევანმა თვალი შეავლო ცოლის კენარ ტანს, აბრეშუმის ახალ კაბაში უფრო ლამაზი ჩანდა. ასეთ კაბას სამ წელიწადს ნატრობდა მართა, ამბობდა, დამხატავსო და მართლაც დახატა, გაიფიქრა ლევანმა.

ცოლმა შეიატყო, ქმარი რომ მოთმინებას კარგავდა და მისკენ წამოვიდა, კარიდან შემოქროლილმა ნიავმა კაბის კალთები აუფრიალა, კარი დაკეტა. გასალები ქმარს ჯიბეში ჩაუგდო და წინ წავიდა. აივანი გრძლად იყო გაჭიმული. ხანამ კიბეს მიუახლოვდებოდნენ, სამი მეზობლის ბინის წინ უნდა გაევლოთ. მართა ნელა მიდიოდა, მაგრამ ქმარმა აიჩქარა. კიბესთან შემოხვდათ კარის მეზობელი, ხანოვანი სავსე კალათი ძირს დადგა და მართას გაკვირვებულმა შეხედა.

— უი, გენაცვალე, კინალამ ვერ გიცანი. შორიდან რომ დაგინახე, უცხო მეგონე, მშვიდობაში, მშვიდობაში, აბა, შეტრიალდი!.. იფ, იფ, ყოჩაღ, კი, მაგრამ ასე უცებ როგორ იყიდე ასეთი ძვირფასი კაბა, ვინმე ხომ არ გაგიძარცვავს?!

— ეს რა თქვი, რომელი მძარცველი მე მნახე. კაპიკს კაპიკზე ვადებდი... — ენაზე მოადგა ლევანს, მაგრამ ვეღარ ამოთქვა. — წავიდეთ წავიდეთ! — მკაცრად უთხრა ცოლს.

მართა კი ცნობისმოყვარე მეზობელმა არ გაუშვა, თვალს ხელიც მიაჭიდა, კაბა კარგად გასინჯა, — არა გენაცვალე, ამისთანა კაბა, უბანში არა-

ვის არ აცვია, ყველას აჯობე და თვალი დასთხარე! ახლა სად მიდიხარ?

— ხასეირნოდ!

— წადი, წადი, ვინმემ თვალი არ გკრას, ფუი, ეშმაკს!

ცოლი ეზოში დაეწია ქმარს, ხახეზე ალი მოსდებოდა. ბიჭუნაც იცინოდა.

— რას გაუჩერდი იმ ჯოჯოხეთ ამდენ ხანს?

— რატომ არ გავუჩერდებოდი, მაქებდა, ხომ არ მაგინებდა, ჩემმა კაბამ გააგიჟა, ახლა ბეწვის პალტოსაც რომ გავიკრავ, მერე უყურე შენ!

ალაყაფის კარებთან მოხუცი მეზობელი შემოხვდათ. არტილერიის პოლკოვნიკი, პოლკოვნიკმა ცოლ-ქმარს თავი დაუკრა და უსიტყვოდ ჩაუარა. ის ძალიან ახლოს იყო ლევანთან, შეხვედრისას ყოველთვის მოიკითხავდა ხოლმე, მაგრამ ახლა?..

— ბებერმა ლომმა, გეში აიღო, — მწარედ გაიფიქრა ლევანმა, — ცხვირი გვერდზე გასწია, ვითომ არც შემამჩნია. ნამდვილად ჩემს ცოლს შეხედა, მისმა კაბამ თვალი მოსჭრა, ნამდვილად ვიღაც გაუძარცვავსო, იფიქრა, და თავი მომარიდა.

— ჰა, რამ ჩაგაფიქრა? — ჰკითხა ცოლმა.

ლევანმა ხმა არ გასცა. ტაქსების გაჩერებასთან მივიდა. იქ სამიოდე კაცი იდგა და მათ უკან გაჩერდა.

— ტაქსი როდის მოვა, ბეჩა, აი, კერძო მანქანა, შოფერ, შოფერ! — ხელი დაუქნია მართამ გამვლელ მანქანას. მანქანა გაჩერდა, მაგრამ ლევანმა შოფერს მიაძახა:

— ბოდიში, ძმაო, არ მინდა. წაბრძანდით!

შოფერი წავიდა.

— რა იქნებოდა, რიგიანად ავხულიყავით ფუნიკულიორზე, მაგრამ ქვაწურია ხარ! — ფიქრებში წასულმა ლევანმა ცოლს შეხედა, — შენთვის სულ ერთია, გაქვს ფული თუ არ გაქვს, მაინც ხელს უჭერ.

ლევანს სახე მოექუფრა.

მალე მოვიდა მათი ჯერი. ჯერ ტაქსით, მერე ტრამვაით და აი, ფუნიკულიორი. ლევანი დიდხანს დაჰყურებდა თბილისს, მის წელზე ნამგალივით მორკალულ მტკვარს, ერთ ადგილას ხარაჩოებიან სახლს დაკვირდა. აქ ბინას შეპირდნენ მას. ტრესტის მმართველმა უთხრა, მოგცემო ბინას. ლევანმა იცის ტრესტის მმართველის სიტყვის ფასი, თქმა და საქმე ერთია, საცაა მშენებლობას მოათავებენ და ახალ ბინაში შევა.

— რას მიაჩერდი? ცოტა გავიაროთ, კაცო!

— გავლას მოვასწრებთ, მოიცა, — ლევანმა ხელი მოიჩრდილა და იმ სახლს დააცქერდა, — მგონი, გადაუხურავთ, კარგად ვერ დავინახე!

— თვალებს რას იწყვეტავ, მე გეტყვი, ბატონო, გუშინ ბაზრიდან რომ მოვდიოდი, გამოვიარე, გადახურული კი არა, შიგნით კედლები შელესილია, კარ-ფანჯარა ჩასმულია, ინჟინერმა მითხრა, ერთ თვეში შეგასახლებო.

— რატომ მიხვედი, სულწასული ხარ, არც კი გრცხვენია.

— რაა სირცხვილი, მე კი არა, დიდი კაცის ცოლიც იქ გახლდა.

— ვინ დიდი კაცისა?

— ევგენის ცოლი, ბინაც კი აირჩია მეორე სართულზე.

— იმას კი მისცემენ. მმართველის მოადგილეა.

— შენც მოგცემენ. ახლა პატარა კაცებს უფრო აძლევენ ბინას. აი, ჩვენც მეორე სართულზე რომ შეგვხვდეს.

— მეორე კი არა, ოღონდ მომცენ და მეექვსე იყოს, ხმას როგორ გავიღებ.

— არა. მე ანგელოზივით ცაში ვერ ვიცხოვრებ. მეექვსე სართულზე გულს რა ამატანინებს. გაბედონ და მესამე სართულზე მაღლა შემომთავაზონ.

— ჰო, კარგი, კარგი! — ლევანს გაეცინა.

— იცინე, შენ, იცინე. მე რომ არ გყავდე, რა გეშველებოდა. ავეჯის ყიდვაც არ გინდა, მაგრამ ვინ დაგიჯერებს. ის სასახელოდ მიგაჩნია, პრიუტიდან გამოსულივით ცარიელ-ტარიელი რომ მივდგეთ ახალ ბინას, მაგრამ არა, ბატონო, ხვალვე ვიყიდი, როიალს, საწოლ და სასადილოს მოწყობილობას, ბროლის ჭაღებს, ხალიჩებს, მაცივარს და კაცურად შევალ ახალ ბინაში... ეს რა არის, — მან კაბის კალთას გაჰკრა ხელი, — ამაზე უკეთესებს დავალაგებ. შენც ისე გამოგაწყობ, რომ მმართველი და მისი მოადგილე უკან ჩამოიტოვო. არ ხედავდი მეზობლებმა თვალი და სული ჩემს კაბას გამოაყოლეს. ამ შვიდასმანეთიანმა კაბამ შვიდი წლის სიცოცხლე შემმატა...

— კიდევ დიდხანს ილაპარაკებ? მთლად ენად გადაიქეცი.

— სიხარული მალაპარაკებს, ბეჩა. როცა არაფრის პატრონი არ ვიყავი, მაშინ ვმღეროდი და ვლაპარაკობდი. ახლა პირზე ბოქლომი დავიდვა?!

ლევანმა ჯერ მიიხედ-მოიხედა, მათ ახლომახლო თუმცა არავინ არ იდგა, მაგრამ მაინც ჩუმად უთხრა:

— რას ამბობ. შენ სულ გამიგიჟებ მეზობლებს.

— თუ გაგიჟდებიან, ჩემი ჯავრიც ეგ იყოს.

ლევანმა ხელები ყურებზე აიფარა.

— გაჩუმდი ქალო, ფულმა გაგაგიჟა?! ვაი, ჩემს თავს! — ეწყინა ლევანს და თვალწინ მეზობელი წარმოუდგა, თან მისი სიტყვებიც ჩაესმა ყურში. „ვინმე ხომ არ გაგიძარცვავსო“. ერთ ხანს ფიქრს აჰყვა და ხმა ვერ ამოიღო, მერე ცოლს მკლავზე ხელი სტაცა.

— წავიდეთ შინ.

— რა დროს შინ წასვლაა, რას ამბობ. შენ თუ არა, ბიჭს შია, შევიდეთ რესტორანში.

— არა, არა, შინ პური ხომ გვაქვს, ბიჭი იმასაც კარგად მიირთმევს.

მაგრამ ცოლი გაჯიუტდა. შევიდნენ რესტორანში. ცოლი და გურამი მადიანად შეექცნენ საჭმელს. ლევანს კერძისათვის ხელი არ უხლია, ერთი ნაჭერი პური აიღო, ცოტა ღვინოც დაყოლა და შემდეგ შინ წამოვიდა.

ფუნიკულიორიდან რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდნენ. აქედან უფრო ახლოს იყო მათი სახლი. წიგნის მაღაზიას რომ მიუახლოვდნენ, ბიჭმა საერთო რვეულები ნახა გამოფენილი და მამას სთხოვა, ორი ცალი მიყიდეო.

ლევანი შევიდა მაღაზიაში. დედა და შვილი გარეთ დაელოდნენ. ლევანმა თაროზე სისხლის სამართლის კანონთა კოდექსის კრებულიც დაინახა, თუმცა ეს წიგნი თვალში ეკალივით მოხვდა, მაგრამ მაინც გადმოაღებინა. ლევანს არც გადაეშალა წიგნი, ხელი აუკანკალდა, თვალები ოდნავ დახუჭა და წიგნი ჯიბეში ჩაიდო, სწორედ იმ ჯიბეში გუშინ გატკეცილი ათთუმნიანები რომ ედო. მაშინ იმ ფულით გაკეთებას მოელოდა, გზაზე წელგამართულად მიდიოდა, არავის ამჩნევდა. ფულმა უცებ სიამაყე გაუღვივა, სიხარულის ფრთა შეასხა.

ახლა კი ეს პატარა წიგნაკი ქურასავით ღვივოდა და გულს უწვავდა. ერთი კი გაიფიქრა, მოდი, ცოლს გავუმხელ ნამალავსო... მაგრამ ენა ვერ მოიბრუნა და თავისი დარდი ისევ თავის გულში უფრო ღრმად ჩაიხვია.

ლევანს შინ მიეჩქარებოდა, მაგრამ მართამ გაუჭირა საქმე, ხან ვიტრინასთან ჩერდებოდა, ხან მაღაზიაში შედიოდა, ზოგან ავეჯს ათვალიერებდა, ზოგან ძვირფას შალეულს კითხულობდა. ერთგან ჩესუჩა მოეწონა და დახლიდარს უთხრა, ექვსი მეტრი გადამიჭერიო, მაგრამ ლევანმა ცხელი თვალები უჩვენა, მაგის კოსტუმი რა ჩემი საქმეაო.

— არ გინდა და ნუ გინდა! — გაიბუტა მართა და შინ მისვლამდე ხმა არ ამოუღია.

შინ, ოთახში ცნობისმოყვარე მეზობლებიც შემოჰყვნენ. ეზოს უცებ მოსდებია მართამ ახალი კაბა იყიდაო.

— დედა, მართლა, ძვირფასია!

— რა გიხდება, გხატავს პირდაპირ.

— რა დაგიჯდა?

მიაყარეს კითხვები.

— ძვირი მივეცი, მაგრამ არ ვდარდობ, კარგს კარგი ფასი აქვს!

— კიდევ რა იყიდე?

— პალტო გავაბარე, კოსტუმს შევიკერავ და მერე სახლს მივხედავ.

— ხალიჩები დაგავიწყდა და ოქროვერცხლი, — გაიცინა ლევანმა, მაგრამ ეს სიცილი სიცილს არ ჰგავდა, — რას ატყუილებ, ქალო, ამ პატიოსან ხალხს, საიდან? რომელ თანხიდან ყიდულობ?—ლევანს მარცხენა წარბი აუკანკალდა, შუბლი გაუწითლდა, მართამ შეატყო, რომ გაბრაზდა და უკან დაიხია.

— ღმერთია მოწყალე, ვიყიდით!

— ჯერ ახალგაზრდები ხართ, ყველაფერს მოესწრებით!

თქვეს მეზობლებმა და გავიდნენ.

ლევანმა მართას თვალები გადაუბრიალა, ენა გაქვს გრძელი, ენაო და კუთხეში მიჯდა. ცოლი რომ საოჯახო საქმეებში გაერთო, მან ის წიგნი ამოიღო და კითხვას შეუდგა.

ბევრი არ უკითხავს, რამდენიმე გვერდი რომ გადაფურცლა, მერე ფიქრმა წაიღო. თვალწინ წარმოუდგა ცივი საკანი, თავისი წვერმოშვებული ბანჯგვლიანი სახე. ჩამოკონკილი გურამი. გათხოვილი ცოლი, მართალია, ასე იქნება, — გულში თქვა მან, — არავინ დამინდობს, არავინ!

წიგნი ფანჯრის რაფაზე ჩამოსდო. ამ დროს მართაც მიუახლოვდა, მხარზე ალერსიანად ხელი დაუთათუნა, რაღაც ცივი და სველი ხელი ჰქონდა, ლევანს ტანში ბურძგლი აეშალა.

— ადვოკატობას ხომ არ იწყებ, კაცო. რად გინდა ეს წიგნი?!

— შენ მოგიტანე, კითხვა გიყვარს, წაიკითხე! — ბრაზით მიუგო ლევანმა.

ამ წიგნის წაკითხვამ დარდს დარდი დაუმატა, იქნებ წამეძინოსო, და ლოგინში გვიან ჩაწვა, ხან თვალებს ძალით ხუჭავდა, ხან საბანს წაიხურავდა თავზე, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა.

იმ პატარა წიგნმა ძილი და მოსვენება დაუკარგა.

ფანჯარასთან მიდგმულ საწოლში გურამს ეძინა. მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოედო, თმა შუბლზე ჩამოშლოდა, სახეზე ელნათურის მოლურჯო შუქი ადგა... „ნეტავ შენ, ჩემო შვილო, — გულში გაივლო მამამ, — არხეინად გძინავს. ნეტავ სულ ასე უდარდელი იყო. ნეტავი... ნეტავი“. ... გურამი ლოგინში შეირხა, საბანში ჩამალული ხელი ამოიღო და დაიძახა:

— დედა, წყალი!

მამა წამოდგა, ჭიქაში წყალი ჩაასხა, ჯერ კიდევ თვალმოჭუტულ ბიჭს ხელი მიაშველა და ლოგინზე წამოსვა. გურამმა წყალი დალია და ისევ შეიფუთნა. მამამ საბანი გადაუწია, და ლოგინში ჩაუწვა. გურამს ხმა არ ამოუღია, მკერდზე მიეხუტა. მამას გული გაუთბა და ჩაეძინა.

არ გაუვლია დიდხანს, მამას ისევ გაეღვიძა, გურამს მკლავი თავქვეშიდან გამოაცალა და ლოგინზე წამოჯდა. ჯერ კიდევ ძილის ბურანში იყო, მაგრამ მართას სიმღერამ სულ გამოაფხიზლა, ფოსტლებში ფეხი გაუყარა და ფანჯარასთან მივიდა. მის პირდაპირ ოთახში მხატვარი ნუცა კოზირიძე იდგა, მარტოხელა ქალი იყო, საბრალო დღე და ღამეს ასწორებდა, ხატავდა, მაგრამ მისი ნახატი მის სახლიდან არ გამოდიოდა. ლევანს ებრალებოდა და როცა შინ კარგი საღილი ჰქონდა, ყოველთვის ჰპატიჟებდა ხოლმე, მერე გურამიც მოანათვლინა და სულ გაიშინაურა.

ნუცამ თავისი სურათების გამოფენა მოაწყო ხელოვნების მუშაკთა სახლში. გაზეთებმა შეაქეს მისი ნახელავი, ბევრი მყიდველი და თაყვანისმცემელი გაუჩნდა და წელში გაიმართა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად დღეს წვეულება ჰქონდა. პირველად ლევანი დაჰპატიჟა, მაგრამ ლევანმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და მარტო მართა წავიდა.

ახლა, ამ შუაღამის ბინდბუნდში ნუცას სტუმრები გახურებულ ქეიფში იყვნენ. მართა გიტარას უკრავდა და მღეროდა. ლევანმა ხმაში შეატყო, რომ ცოლი ცოტა შეღვინიანებული იყო. „მხიარულობს,—გაიფიქრა მან,— ასეა, როცა კაცს დარდი არა აქვს“.

ლევანმა კარი გადარაზა და წიგნების კარადის ქვედა უჯრა გამოსწია. უჯრაში ძველისძველი საბუთები, შრომის წიგნაკი, ომში მიღებული ორდენები, ნიშნობის ბეჭედი და ძველებური ოქროს საათი ედო. წელიწადში ერთხელაც არ აღებდა, მაგრამ ახლა გატკეცული ათთუმნიანებით სავსე მოეჩვენა. ამ ფულის არსებობა ცოლმა არ იცოდა და ლევანსაც უმძიმდა მისი გამხელა. ფულის შოვნას ჭკუა უნდა, მაგრამ ათჯერ მეტი ჭკუა უნდა მის ხარჯვას, ფიქრობდა ლევანი.

მართას ფულმა ფრთები შეასხა, გული სისხლით გაუვსო, სახე ღიმილით გაუბადრა.

ახლაც ეს სიხარული ამღერებდა. ცოლის ხმა გულში ჩაწვდა ლევანს. ლოყაზე ჩამოცურებული ცრემლი არ მოუწმენდია, უჯრა დაკეტა და წამოდგა.

ცრემლიანი თვალებით გადახედა მძინარ ქალაქს. ცაზე მთვარის მოყვითალო რკალი ცერზე იდგა, მოთეთრო ღრუბლები, თითქოს ქარი მიერეკებაო, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ჩქარ-ჩქარა მიდიოდნენ. მთვარეს ხან ფარავდნენ, ხან გარს უვლიდნენ. მთაწმინდიდან კი ტელესადგურის მაღალი კოშკი წითელი თვალებით დაჰყურებდა ქალაქს. ლევანი თბილისის ხან ერთი კუთხისკენ გაიხედავდა, ხან მეორე კუთხისკენ წაუვიდოდა თვალები, უყურებდა ღამის ბინდბუნდში გახვეულ ქუჩებს, სახლებს და მარტოობის გრძნობა თანდათან იპყრობდა. მას იმ წუთში ეგონა, რომ ამხელა ქალაქში ყველას მშვიდად ეძინა, ყველა უდარდელად ისვენებდა, ძილგამჭრალი და მოუსვენარი მხოლოდ თვითონ იყო, თვითონ!..

„ნუთუ ახლა სიმონ ყოჩიშვილსაც მშვიდად სძინავს?“ — გულში გაიცინა მან. ლევანი ახლა ფიქრით ექსპედიტორს მიწვდა, გაიხსენა როგორ აძალებდა სიმონი ღვინოს და შემდეგ ჯიბეში ფულიც ჩაუდო.

— აბა, სიმონ, ჩემს ცოდვაში ნუ ჩადგები!

— რა ცოდვაში, უმწიკვლოვ! ფულს გაძლევ, ნაგავს კი არა, თუ შნო გაქვს ჭამე. ვინმემ თუ მოგაკითხა, უთხარი ფეხსაცმელები ყოჩიშვილმა მოიტანათქო, მე დამიჭერენ, შენ მადლობას გეტყვიან, მეტი რა გინდა!

— მეტი რა მინდა? მოიცა, მოიცა... — უთხრა ლევანმა, მაგრამ სიმონმა არ მოუცადა, ჩაჯდა მანქანაში, ფანჯრიდან ხელი დაუქნია, გაუცინა და წავიდა.

შემდეგ... ფიქრი გაუწყდა ლევანს. მართა შემოვიდა. ლევანმა მისკენ მიიხედა, ნუთუ ეს ჩემი ცოლია? არა, არა, ასეთი ახალგაზრდა ხომ ამ ათი წლის წინათ იყო.

— რას მიყურებ, ვერ მიცანი?.. თავი რას მოიავადმყოფე, იცი რა დრო გავატარე?!

— ჰო, ის არის, — გაიღიმა ლევანმა. — ვიცი, მლეროდი, მესმოდა შენი სიმღერა!

— შენც წამოსულიყავი, ძილს ქეიფი არ გერჩია?

— შენ მთვრალი ხარ?

— აბა, ვერ მატყობ, როგორ ვარ მთვრალი?! — მართამ მხარზე ხელები მოხვია და ლოყაზე თავისი ცხელი ლოყა მიადო.

— ცუდი სიზმარი ვნახე, ცუდი. მთვრალი რომ არ იყო, გეტყოდი.

— თქვი, რას დაიჩემე სიმთვრალე, თქვი?

— მაშ კარგი... შენ რომ წახვედი, მართლა მტკიოდა თავი, ძლივს ჩამეძინა. ვხედავ ეშმაკი გამომეცხადა, სწორედ ისეთი, როგორიც ძველ წიგნში მინახავს. საწყობში ვიყავი. ეშმაკმა ჯერ გამიცინა, მერე ჩემს სურათს, სამმართველოში, საპატიო დაფაზე რომ არის გამოკრული, შავი ხაზი გადაუსვა.

ლევანი შეჩერდა, ამოიოხრა.

— მერე? — ჩაეკითხა ცოლი.

— მე შევეკითხე, რას ჩადიხარ-მეთქი. ის იყო გამომელვიძა.

— ჰო, ეს არაფერია, მე მეგონა, მართლა ცუდი სიზმარი ნახე!

ცოლმა დაამთქნარა და ლოგინში ჩაწვა.

გათენდა კვირა, დილიდანვე სიცხე დაეჭირა და მართას ადრე გაეღვიძა. მხიარულად წამოდგა, ფანჯრები გააღო და ოთახში მტკვრის ნიავი დატრიალდა.

— კაცო, ადექი, — უთხრა მან ქმარს, — ბაზარში წავიდეთ და დღეს რიგიანი სადილი გავაკეთოთ.

— შენ მარტო წადი, მე მომასვენე!

— კი, მაგრამ რამ დაგღალა! რამ მოგაწყინა? — მართა გაკვირვებული იყო, — როცა ფული არ გქონდა, გიტარას აგრიალებდი, ახლა რა ეშმაკი შეგიჯდა. მადლისთვის ფული ღმერთმა მოგვცა და შენ ფიქრს ეჭმევინები?

— ჰო, კარგი, წადი ბაზარში!

— რა ვიყიდო სადილად?

— რაც გინდა!

— რაც მინდა? არა, არსად არ მივდივარ, მითხარი, რა არის შენს თავს?

— არაფერი. ყოველთვის ერთ გუნებაზე ხომ არ არის კაცი. წადი ბაზარში, თორემ მერე უფრო ჩამოცხება.

— წავალ, მაგრამ შენ რაღაც გაწუხებს...

— არაფერი! — მიუგო ლევანმა და ლოგინიდან ადგა, სანამ ჩაიცვამდა, მართა ბაზარში წავიდა.

— „რაღაც გაწუხებს“, — გაიმეორა ცოლის სიტყვები ლევანმა, — მოიცა ჯერ სადა ხარ, მე რომ მაწუხებს, ის შენც მალე შეგაწუხებს.

აივანზე გამოვიდა, ონკანი მოუშვა და სახეზე წყალი შეისხა, თავზე პოლკოვნიკი წამოადგა.

— ჰო, გამარჯობა ლევან!

— გაგიმარჯოს!

— კაცო, რაა შენი გიტარის ხმა არ ისმის. ხომ არ შემოგეელია სიმღერა?

— არა, რატომ მეკითხები ასე?

— როგორ ასე. ორი დღეა შენი ხმა არ მესმის.

— არა უშავს, გაიგონებ! — გაიცინა ლევანმა, მაგრამ ნაძალადევი სიცილი, სახეზე უცებ გაუქრა. პირი დაიბანა და შინ შევიდა. მთელი დღე ხახლიდან არ გამოსულა. სადილობამდე გურამს ჭადრაკს ეთამაშებოდა. ზედიზედ აგებდა და გული მოსდიოდა, ეს ცუდის ნიშანიაო, ფიქრობდა; წინათ კი ჭიჭის მოგება ახარებდა, შვილი უნდა სჯობდეს მამასო.

— მამა, რატომ ბრაზდები? წააგე, წააგე, რა მოხდა მერე?

— არაფერი, შვილო, ითამაშე, შახი... კიდევ წააგო.

გაბრაზებული წამოხტა, მაგრამ ბიჭს მაინც აკოცა და გაუცინა.

— ჰე, მაჯობე, შვილო, მაჯობე!

ნასადილევს ისევ განაგრძეს თამაში. ახლა ლევანს მოუტრიალდა ხელი, ზედიზედ მოიგო.

— გეყოფათ ახლა! — უთხრა მართამ, ჭადრაკი შეინახა და გიტარა ჩამოხსნა კედლიდან.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ დაუკრავ!

— სწორედ რომ დავუკრავ, საცეკვაო ალბომი ახლა მაქვს.

— მაშ, იმღერე, იმღერე! — ლევანი ოთახიდან გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლებს კვირა საღამოსაც არ გაუგონიათ გიტარის ხმა.

ორშაბათ დილას სულ სხვა გუნებაზე ადგა ლევანი. არც ჩაი დაულევია, არც საუზმე წაუღია. საწყობიდან ტრესტის კანცელარიაში დარეკა, მმართველი რომ მოვიდეს, მაცნობეთო. ყოჩიშვილის ყუთებისკენ არც მოუხედავს. წუხელ სიზმარში დიდხანს უცქეროდა ამ ყუთებს. უცებ ყველა ყუთი თავისით გაიხსნა. ახალი ფეხსაცმელები ამოძრავდნენ, ბაკუნ-ბაკუნით წამოვიდნენ, ლევანმა ვერ შეაჩერა ისინი, ბრძოლაში ძალა გამოელია, წაიქცა, ფეხსაცმელები ზედ შედგნენ და ეს ამხელა კაცი ერთ წუთს გათელეს.

ლევანი მაგიდას მიუჯდა და ტელეფონის ზარს დაელოდა. თერთმეტ საათზე დაურეკეს, მმართველი მოვიდაო. ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, თვალი გადაავლო და საწყობიდან გავიდა.

ლევანი კაბინეტში რომ შევიდა, ტრესტის მმართველი წამოდგა, ხელი ჩამოართვა და სკამი შესთავაზა.

— არა, დაჯდომა არ მინდა, ცოტა ხათხოვარი მაქვს, — ლევანმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და მმართველს ქაღალდი გადასცა.

მმართველმა განცხადება ჩაიკითხა და გაოცებულმა ლევანს შეხედა.

— რატომ არ გინდა მუშაობა, გამდიდრდი?! არა, ძმაო, ყველას, ყველას, მაგრამ შენ ვერ შეგელევი. გათავისუფლება კი არა, უნდა დაგაწინაურო, ბაზის გამგედ. თუ კაცი ხარ უკან წაიღე შენი განცხადება და იმუშავე.

— არა, არ შემიძლია. დავიღალე!

— დაგასვენებ. აგარაკზე გაგიშვებ. აბა, შენი განცხადება.

ლევანმა ხელი არ გაუწოდა. მაშინ ტრესტის მმართველმა განცხადება გადახია, დაჭმუჭვნა და გადააგდო.

— წადი, იმუშავე, ახლა არ მცალია, საღამოს მოდი და მოვილაპარაკოთ.

ლევანი მძიმედ მოტრიალდა და კარი გააღო. ეზოში საპატიო დაფის წინ გაიარა, მის გაღიმებულ სურათს შეხედა და უცებ ეშმაკის შავმა ხაზმა თვალწინ გაუელვა, თავი ჩაღუნა, საწყობისკენ გაემართა. ზურგს უკან გრძნობდა უთვალავ ფეხის ხმას, შორეულ ტალღასავით გუგუნებდა ეს ხმა, ხან ზედ ყურთან მიასკდებოდა და დაფეთებული ლევანი მირბოდა.

საწყობში სიმონ ყოჩიშვილი დაუხვდა, ლევანის ჩაღამებული თვალები თვალში მოხვდა, მაგრამ მაინც გაუცინა, ხელი მაგრად ჩამოართვა, იცოდა ლევანს შვილი თავს ერჩია და ჯერ ბავშვი მოიკითხა:

— რას შვრება ბიჭი, გაახარე?!

— შენ ბიჭს რას კითხულობ, როცა ბიჭის მამას გზა-კვალი აუბნიე!

— ჰე, რას ამბობ, ლევან?

— იმას, რომ სამი დღეა სამი წუთი არ დამისვენია, შენმა ფულმა მე ცხოვრება დამინგრია... დამეხსენ, ყოჩიშვილო, თუ კაცი ხარ, ცეცხლთან ნუ მათამაშებ.

— ახლა მკრავ ხელსა. ფული რომ ჩაიჩხრიალე, ის ხომ კარგი იყო.

— მე კაცობას ვერ ვუღალატებ, რა ვქნა, საბანი რამდენზეც გამწვდება, ფეხს იმდენზე გავმართავ... აბა, შენი ფული! — და გაზეთში გახვეული ფული ზედ სახეზე მიახალა ყოჩიშვილს.

ყოჩიშვილი არ დაბნეულა, ფულს ფეხი ჰკრა და მაგიდის ქვეშ შეაგდო, მერე გაუცინა ლევანს და მოინდომა მისი სიანჩხლის ხუმრობაში გატარება.

— შენ მართლა, უმწიკვლო ყოფილხარ, კარგი, ბატონო, ფეხსაცმელებს ახლავე მოგაშორებ, ოღონდ მერე დამშვიდდი. — ისევ გაიცინა და ფეხსაცმელებისკენ გაემართა.

— თეთრ კბილს ნუ მიჩვენებ, გადი საწყობიდან! — დაიყვირა ლევანმა.

ყოჩიშვილი მოტრიალდა, ჩამობნელებულ საწყობში მისმა თვალებმა ბოროტად გაიელვეს.

— უმწიკვლოვ, ხმა კრინტი, ახლავე გაგათავებ! — ყოჩიშვილი ყელში წვდა ლევანს, ლევანმა თვალები გადმოყარა და ისე მიაყვირა, რომ საწყობს იმავე წუთს მუშები მოაწყდნენ.

სპორტული ნარევი

საოცარი ბურთი

დანიის საფეხბურთო კლუბმა — „ბოლტკლუბენ 1913“ ოთხი წლის წინათ შოტლანდიაში შეიძინა საოცარი ბურთი. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ყველა მატჩს ამ ბურთით ატარებს, იგი დღემდე ჩინებულადაა შენახული. გარდა ამისა, სწორედ ამ 4 წლის განმავლობაში კლუბს აქვს ისეთი წარმატებები, როგორიც მანამდე არასოდეს არ ჰქონია.

„ბოლტკლუბენის“ ფეხბურთელებს ლაპარაკიც არ სურთ ამ იღბლიანი ბურთის შეცვლაზე.

კლუბს ამას წინათ წერილი მოუვიდა... შოტლანდიიდან, ეკითხებოდნენ, თუ რომელ ქვეყანაში იქნა შეძენილი ეს საოცარი ბურთი.

რა აერის მსაჯი

ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთის ფედერაციამ ყველა კლუბს დაუგზავნა საგანგებო წერილი, რომელშიც კალათბურთელებს თხოვენ განსაკუთრებული პატივი სცენ მსაჯებს.

ამ წერილში ფედერაცია მოთამაშეებს განუმარტავს, თუ რა აერის მსაჯი: „კალათბურთის მსაჯი ესაა დაუღალავი მუშაკი, ფსიქოლოგი, პედაგოგი, ფსიქიატრი და მღვდელი წარმოდგენილი ერთს პიროვნებაში. მას უნდა ჰქონდეს სპილოს გამძლეობა, ლომის გამბედაობა, ლეკვის ფანტაზია, აფთრის თავხედობა, ანტილოპის სისწრაფე, ბუს სიფრთხილე, მელის ეშმაკობა და ქალწულის გული“.

აი, თურმე, რა ყოფილა კალათბურთის მსაჯი!

საგარეო საქმეთა მინისტრი—თავდასხმის ცენტრი

ბელგიისა და ჰოლანდიის პარლამენტების დეპუტატებმა გადაწყვიტეს ერთმანეთს შორის ეთამაშათ ფეხბურთის მატჩი. შედგენილ იქნა გუნდები, დაიწყო წვრთნა.

ბელგიის დეპუტატთა გუნდის კაპიტნად ერთხმად იქნა არჩეული საგარეო საქმეთა მინისტრი ვიქტორ ლაროკი. მას მიანდვეს ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პოსტი გუნდში: საგარეო საქმეთა მინისტრი თავდასხმის ცენტრს თამაშობს.

VI საუკუნის გულშემატკივრები

თავისთავად ცხადია, რომ სპორტის წარმოშობასთან ერთად, წარმოიშვნენ გულშემატკივრებიც. აი ისტორიული ცნობა.

532 წელს ბიზანტიუმში (იტალია) მიმდინარეობდა სამხედრო ეტლთა რბოლა და ორი მათგანი ერთდროულად მივიდა ფინიშთან. მსაჯები დიდხანს კამათობდნენ და ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთი ეტლი გამოაცხადეს გამარჯვებულად.

მსაჯთა გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მაყურებლებმა ატეხეს ხმამაღალი კამათი, სტვენა, ყვირილი, რაც მალე ჩხუბში გადავიდა. ცოტა ხანში ქალაქში ნამდვილი ომი დაიწყო. გულშემატკივრებმა დაწვეს და დაანგრიეს სახლების დიდი უმრავლესობა, დაჭრილებსა და დახოცილებს თვლა არა ჰქონდა.

აი როგორია ნამდვილი გულშემატკივრობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

51 კილოგრამი 140-ს წინააღმდეგ

ამას წინათ, ბუენოს აირესის ერთ-ერთ საავადმყოფოში კარგა ხანს იწვა მთელს მსოფლიოში განთქმული არგენტინელი ძალოსანი ჰუმბერტო სელვეტი, რომელმაც ვერცხლის მედლები მოიპოვა XVI ოლიმპიურ თამაშებზე მელბურნში და 1957 წლის მსოფლიო პირველობაზე თეირანში, მძიმე წონის ატლეტთა შორის.

საინტერესოა, რა მოუვიდა სელვეტს, ავად ხომ არ გახდა, ან სიმძიმის აწევისას ხომ არ დაშავდა შემთხვევით?

არა. ეს 140 კილოგრამიანი გიგანტი კიბეებზე დააგორა მისმა მეუღლემ, რომელიც სულ... 51 კილოგრამს იწონის.

— მიუხედავად ასეთი მოკრძალებული წონისა, — წერს ჰ. სელვეტი თავის განცხადებაში განქორწინების შესახებ, — ჩემს ცოლს ტყვიასავით მძიმე მუშტი აქვს. მე ეს არა ერთხელ გამომიცდია საკუთარ თავზე.

გერმანული ჰუმორი

როდესაც ტეოდორ ფონტანი ჯერ კიდევ რედაქტორად იყო ბერლინში, მას ახალგაზრდა ყოყლოჩინა მწერალმა მიუტანა ცუდი ლექსები. ზედ კი ამპარტავნული წარწერა გაუკეთა: „ვინაიდან მე სასვენი ნიშნების დასმა არ მეხერხება, გთხოვთ თქვენ თითონ დაუსვათ ისინი“.

ფონტანმა სწრაფად დაუბრუნა ლექსები აღნიშვნით: „შემდეგში თუ შეიძლება თქვენ მხოლოდ სასვენი ნიშნები დასვით, ლექსებს კი მე თითონ ჩავწერ“.

* * *

ერთხელ შემსალაროში მივიდა კლიენტი და თანამშრომელს ჰკითხა:

— რამდენია თქვენი ლატარიის ყველაზე დიდი მოგება?

— 300.000 მარკა, — მიუგო მან.

— გათამაშება როდისაა? — ჰკითხა კვლავ.

— შემდეგ კვირას,—უპასუხა ქალმა.

— აფსუს, ფული ამ კვირას მჭირდებოდა და... — დანანებით უთხრა კაცმა.

* * *

ერთი კაპასი ქალი, ინდოეთში მგზავრობისას, ავტომობილში იმდენს ანჩხლობდა რომ მოსახვევში თავი ვერ შეიკავა, გადავარდა მანქანიდან და პირდაპირ ვეფხვების ხროვაში მოხვდა.

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა და გაიგონა ქალის მძაფრი ყვირილი... მამაცურად ჩაირბინა ფერდობი... მიაღწია იმ ადგილს...

მაგრამ გვიან იყო...

ვეფხვები უკვე დამფრთხალიყვნენ.

ნარევი

მისიონერებს ბიბლიის თარგმნა განსაკუთრებით ესკიმოსური ენაზე გაუძნელდათ, რადგან ესკიმოსებმა არ იცოდნენ რა იყო ცხვარი და ბატკანი. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მათ სიტყვა „ბატკანი“ „პატარა ხელაპით“ შეცვალეს.

* * *

ჰოლივუდში, კინოქალაქში, სადაც ზამთარი არ იცის, ერთმა ვაჭარმა ლოს ანჟელოსიდან მაცივრებით თოვლის გუნდები ჩამოიტანა და თითო ნ ცენტად მიყიდა ბავშვებს.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: იმერეთის პეიზაჟი.

მხატვარი დავით კაკაბაძე.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა | ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ.

ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად. 11/VI-58 წ. გამომც. № 82. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 17.000. შეკვეთის № 302. უე 00935.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიო ჩემპიონები თბილისში

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებოდნენ შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები. ამერიკელი კალათბურთელები უძველეს სპორტსმენებად ითვლებიან მსოფლიოში, ისინი ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონები არიან.

გარდა მოსკოვისა, სტუმრები ეწვივნენ ლენინგრადსა და თბილისს, სადაც ამხანაგური შეხვედრები გამართეს ჩვენი ქვეყნის ცალკეულ კოლექტივებთან.

თბილისში ამერიკელი კალათბურთელები შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, აზერბაიჯანის და ესტონეთის ქალთა და ვაჟთა გუნდებს. თბილისელ მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრების მაღალტექნიკურმა და ოსტატურმა თამაშმა.

1. სტუმრებს თაიგულებით შეხვდნენ თბილისის აეროდრომზე.
2. წვიმს...
3. თბილისელთა ფარქვეშ? არა, ფარს „ზემოთ“!
4. ამერიკის ქალთა გუნდის მწვრთნელმა ჯონ ჰენდმა მორიგი წუთშესვენება აიღო.

ზემოთ წრეში: ბ. ბორნი — ამერიკელთა ყველაზე შედეგიანი მოთამაშე შესვენების დროსაც არ კარგავს უშედეგოდ—იგი კინოფირზე აღბეჭდავს თამაშის საინტერესო მომენტებს.

6.78/139

ეროვნული
ბიბლიოთეკა